

იხსოვნიანი



ძვანი თბილისის
თელავის

ბაღის
ბაღის
(ხელახლის
ხელახლის)

ხობის
ბაღის
საღის
ლოხ
სომხებს

ყვანა ღმრის საუბათსო
იხსოვნიანი ხობანი

კონსტანტინე ბაღისაზრდია
ღვთის აღმართების
8 ღმრად

ტომი IV

ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთა“ ერთად – 3 ლარი

მეგობრული
საჩუქარი
უძლიანი
ქართული
ფანაზიანი

უწმინდი
ოსანი
ბაღი ღმრის

ღმრული
ხელითა:
ქრისტიანობა

ლოხ ღმრის
ბაღისაზრდია
ქართული
საჩუქარი



სახიჩვი

ახალი აგებები

გაღიის ბარკიძის დაკარგული ნაწილი **6**

არქეოლოგები საბათლოში ნაქალაქარს
ბათსრიან **7**

უნიკალური აღმოჩენა ვაშლივანისა და
ჭაჭუნას ტერიტორიებზე **7**

მცენებრთა აზრით, მიაგნეს „ჯოკონდას“
პროტოტიპს **8**

წმინდა ნინო წმინდა კებრეს ტაძარში **9**

საფრანგეთში მითრას ტაძარი აღმოაჩინეს .. **10**

უკველესი უთავრო სპულატურა მქსნიკაში ... **10**

1956 წლის 5-9 მარტის ღოკუმიენტებს
წიგნად გამოცემენ **11**

ეოჩა მსოფლიო ორის აუო

ვისაც ღვებე ახსოვს **12-13**

საქითუელის საზოვხები

როგორ გაღასცა სტალინმა ლორე
სოფხებს **14-18**

ისოხიანი ებევიღიუბა

ქართული ეკლესიები სოფხეთში **19-25**

ქართული სოფხის ისოხიღიან

მაციწმაციის საწმქარი უქვეველ
ქართველ უღალგანს **26-30**

ქართუელები უსოეთში

ჯორჯ კობი — უმღიღრესი ქართველი
აგერიკაში **31-35**



სახჩქვი

<p>ისპოიჩის საიღაპოაბანი მსროლა თუ არა კარვი ოსკაღლა პრეზიდენტ კენედის? 36-41</p> <p>ასოღლო ახოიხოზი უცნობი ოსაბა ბენ ლაღენი... 42-47</p> <p>ასოღლო ჩიღიბიბი ქრისტიანობა 48-54</p> <p>ჩენაბეჩები ანსანმრობა (1915-1920) 55-59</p> <p>ბიხანის ისპოიჩი სანამ კაცობრიობა „მას იმენს“, ვრიბლი მღიღრღება 60-64</p> <p>საქეხეცი ახოიჩი რკინის აბჯარი საქართველოსი... 65-69</p>	<p>ასოხეხა თენგიზ ჩანტლაკე — ღიბილით ბანერეპული ღრო 70-74</p> <p>ქეცი თიღისი თულუხეხები 75-78</p> <p>ლკინის ფახივიანი ქართული ღკინის ჯიბი მთნობრაფიულ გუჟეჟეხი 79-82</p> <p>ახოიჩი ლაგა ბაქრაქე: „პარბი, როცა საკუთარი ჳარსული იცი, როგორც ნაწილი საერთო საკაცობრიო ისტორიისა“ 83-85</p> <p>ასოღლო ფოღლოჩი 500-წლიანი სემულთა ფლირტი. საბა 86-89</p> <p>სკანვორღი 90</p>
--	--

ჩვენს ხელისუფლების სვეტი

1045 წელს ბიზანტიელთა მიერ ანისის სამეფოს დაპყრობისა და 1065 წელს კარის (ყარსის) სამეფოს გაუქმების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სომხური სამეფო აღარ არსებულა. საუკუნეების განმავლობაში სომხური სამეფო-სამთავროების ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში ითვლებოდა. ეკლესიურადაც სომხეთში არსებული მართლმადიდებლური კათედრები – დიდი სომხეთის მიტროპოლიტის, ვალაშკერტელის, კარელის – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა.

1918 წელს საქართველომ და სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. თავიდანვე ლორეს ოლქი ამ ორი სახელმწიფოს დაპირისპირების საბაბად იქცა. მართალია, 1918 წლის დეკემბერში საქართველომ შეძლო სომხეთის დამარცხება და ლორეს ოლქის ჩრდილოეთ ნაწილზე კონტროლის დაწესება, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წელს, გასაბჭოების შემდეგ წითელი რუსეთის უშუალო ჩარევით საქართველომ მთლიანად დაკარგა ლორე და ეს პროვინცია სომხეთს გადაეცა. ამავე წელს საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის პოლიტიბიუროს დადგენილებით სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი, ე.წ. ლორეს რაიონი – 2367 კვკმ ფართობით. მოგვიანებით, 1925 წელს სომხეთს ასევე გადაეცა ბორჩალოს მაზრის კიდევ ერთი ნაწილი – 207,94 კვკმ. ერთობლიობაში 1921-1925 წლებში სომხეთს საქართველოს ტერიტორიის 2575,38 კვკმ „დაუთმეს“.

სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ასევე ათეულობით ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ახტაღის ტაძარი, თავისი შესანიშნავი ფრესკებით; თეჟარიუიქის ეკლესია; ჰუჯაბი, რომელიც დღემდე გაურკვეველი მიზეზებით სომხეთის ტერიტორიაზეა – მისი დაპატრონების მიზნით სომხეთის სახელმწიფო საზღვარი 400 მეტრით გადმოწიეს; ქობერი, საინტერესო ლაპიდარული წარწერებით; ოსკიპარი; შაჰნაზირი და სხვ.

2006 წლის 7 თებერვალს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა აღადგინა აგარაკ-ტაშირის ქართული ეპარქია (ამჟამად ეს მხარე მოქცეულია სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში და ძირითადად, სწორედ ლორეს ოლქს მოიცავს). მიუხედავად ამისა, სომხეთის ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ჩატარება მაინც ვერ ხერხდება.



1921-1925 წლებში სომხეთს საჩიხთველად 2575,38 ახამ „დაუთმეს“...

ისტორიულ-შემცენებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბიშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერილობის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91



ბედიის ბარძიმის დაკარბული ნაწილი



ქართული ოქრომჭედლობისა და ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნიმუშმა — ბედიის ოქროს ბარძიმმა (999 წ.) ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. დღეს სახეზეა მისი მხოლოდ ზედა ნაწილი.

ბარძიმი იმ საგანძურის ნაწილია, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს, ბაგრატ მესამეს ბედიის ვლადიკერნის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისთვის შეუწირავს. ბედიის ტაძარი აფხაზეთში სწორედ მისი ბრძანებით აშენდა. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს ბაგრატ მესამეს მოუხატვინებია, შეუწირავს ხატები, ჯვრები. ბედიის ბარძიმის შემწირველი კი, მეფესთან ერთად დედამისი, დედოფალი გურანდუხტიც ყოფილა.

ბედიის ბარძიმი პირველად 1865 წელს ნახა დიმიტრი ბაქრაძემ ილორის ტაძარში და გამოაქვეყნა მასზე განთავსებული გვიანდელი ხანის წარწერა. თუმცა მეცნიერს არ გამოუქვეყნებია ბარძიმის ფეხის აღწერილობა. არ არსებობს მისი ფოტოგამოსახულება ან რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია. ბარძიმის ფეხი ადრევე გამოცხადდა დაკარგულად.

საყურადღებოა, რომ დღემდე არ არსებობდა ცნობა ტაძრის სამკაულის, ოქროს ბარძიმის სრული აღწერილობის შესახებ.

თუმცა, როგორც ირკვევა, ბარძიმის ფეხი კიდევ კარგა ხანს ინახებოდა აფხაზეთში. გარდა ამისა, ევროპაში „პირველ მოგზაურ ქალად“ ცნობილმა კარლა სერენამ, აფხაზეთში მოგზაურობის შემდეგ ბედიის ბარძიმის დაკარგული ფეხის შესახებ, ფოტოს სახით ძალიან საინტერესო ინფორმაცია დაგვიტოვა.

როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ აღნიშნა, კარლა სერენას ფოტოებში აღმოჩენილია სურათი, რომელზეც აღბეჭდილია სრულიად საქართველოს კათალიკოსპატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსი ხელაიას მამა, მღვდელი ზოსიმე ხელაია ბედიის ბარძიმთან ერთად. ეს გარემოება ბედიის ბარძიმის თავდაპირველი სახით რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

ბედიის ბარძიმი, რომელიც 999 წლით თარიღდება, საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ახეოლოგები საბათლოში ნაქანახის ბათხინან

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოში არქეოლოგიურ გათხრებს გეგმავენ. მეცნიერები საბათლოში მიწის დამუშავების დროს აღმოჩენილი სვეტის ძირის წარმომავლობას შეისწავლიან. ის ერთ-ერთმა ადგილობრივმა მიწის დამუშავებისას აღმოაჩინა. ექსპერტების თქმით, შესაძლოა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაქალაქარი გაითხაროს.

„ჩვენი მიზანია დავადგინოთ ძველის რაობა და დავიცვათ შემდგომი განადგურებისგან. უნდა განვსაზღვროთ, რამდენად პერსპექტიულია და რისი გაკეთება შეიძლება მის შესასწავლად. ის, რომ მნიშვნელოვან აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, უკვე თავისთავად ცხადია“, — აღნიშნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური



მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა იულონ გაგომიძემ.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საბათლოში აღმოჩენილი უცნობი წარმომავლობის სვეტის ძირი, ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში აგებული შენობის ნაწილი უნდა იყოს. სვეტის ძირი ამჟამად ილიას უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ინახება.

ექსპერტიზის შემდეგ გახდება ცნობილი, იყო თუ არა საბათლოში რომელიღაც ლეგიონერების დროებითი სადგომი.

უნიკალური აღმოჩენა ვაშლოვანისა და ჭაჭუნას ტერიტორიაზე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივრისპირეთის ექსპედიციამ ვაშლოვანისა და ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიაზე ნამარხი ფაუნის პალეონტოლოგიური ნიმუშები აღმოაჩინა. სპეციალისტების განცხადებით, აღმოჩენილი მასალები სამეცნიერო თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინ-

ფორმაციით, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე: დათვის ხეცა და პანტიმარას ხეობაში და ჭაჭუნას ალკვეთილში, ბურდოს მთისა და ჭაჭუნას ველის ტერიტორიაზე ექსპედიციის წევრებმა 3-1,8 მლნ წლის ხორთუმიანის (მამონტისმაგვარი არსება), სვარაუდოდ მასტოდონტის (Mammutidae), 12-5 მლნ წლის ხმელთაშუაზღვის კუს (Testudo graeca), თანამედროვე შგლის წინაპრის (Praecapreolus cusanus), ნამარხი ანტილოპას (Protoryx sp.), ჰიპარიონის (Hipparion elegans) — ცხენის სამთითა წინაპრის, გარეული ღორის წინაპრისა (Propotamochoerus provincialis) და ხმელეთის ლოკოინების ახალი სახეობების ნამარხები აღმოაჩინეს.

ექსპედიციის მიზანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პალეონტოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი რეგიონის შესწავლა.





მეცნიერთა აზრით, მიაგნეს „ჯოკონდას“ პროტოტიპს

იტალიელმა არქეოლოგებმა ფლორენციაში წმინდა ურსულას სახელობის ქალთა მონასტრის ტერიტორიაზე აკლდამა აღმოაჩინეს. მეცნიერთა აზრით, აკლდამაში ლიზა ჯერარდინი დელ ჯოკონდაა დაკრძალული.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ქალია გამოსახული ლეონარდო და ვინჩის ლეგენდარულ ნახატზე „მონა ლიზა“.

სპეციალისტებმა მიწის ზედაპირზე უკვე ორი დაზიანებული კუბო ამოიტანეს და დარწმუნებული არიან, რომ ერთ-ერთ მათგანში მონა ლიზას პროტოტიპის ნეშტია.

მონაზვნების მიერ შედგენილი დოკუმენტების თანახმად ირკვევა, რომ ნაპოვნი სამარხი ნამდვილად 1542 წელს, 63 წლის ასაკში გარდაცვლილ ლიზა ჯერარდინის ეკუთვნის. მეცნიერები ძვლებიდან აღებულ დნმ-ს, ლიზა ჯერარდინის შვილების დნმ-ის სტრუქტურას შეადარებენ. მათი განცხადებით, ცნობილი

ფლორენციელი ქალბატონის სამარხის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით მათი მოსაზრება დადასტურდება.

წარმატების შემთხვევაში, მათ იმედი აქვთ, რომ თავის ქალის მიხედვით ლიზას სახესაც აღადგენენ და ამგვარად ბოლოს მოუღებენ მრავალწლიან დავას იმის შესახებ, თუ ვინ არის სინამდვილეში გამოსახული ლეონარდო და ვინჩის ლეგენდარულ ნახატზე.



თავის ქალა, რომელიც წმინდა ურსულას მონასტერში აღმოაჩინეს

წმინდა ნინო წმინდა პეტრეს ტაძარი



რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ძეგლი დაიდგება. ინიციატივა ქართულ მხარეს ეკუთვნის. ამის შესახებ წმინდა პეტრეს ტაძრის არქივისკოპოს ანჯელო კომასტრის იტალიაში ჩასულმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ აცნობა.

წმინდა ნინოს ძეგლი საგარეუდოდ, ტაძრის ეზოში ერთ-ერთ კვარცხლბეკზე, სახით ტაძრის მარცხენა ფასადისკენ დაიდგება.

ნიკა რურუას რომში ვიზიტისას ქართული მხარისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. ვატიკანის კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ არქივის პასუხისმგებელ პირთან, პადრე კუნია რამოსთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერებისთვის პირველად გაიღება კონგრეგაციის არქივის კარი.

საცავში ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, სპეციალური პროგრამის შესაბამისად, ორი წლის განმავლობაში იმუშაებს.

კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ 1622 წელს დაარსდა, რომლის არეალში საქართველოც შედიოდა. შესაბამისად, არქივში უამრავი მასალა დაცული საქართველოს შესახებ.

მისიონერები ყვებიან ქართულ კულტურაზე, გეოგრაფიაზე, პოლიტიკაზე. საცავში ინახება ქართველი მეფეებისა და რომის პაპის მიმოწერა, არსებობს 1600 წლით დათარიღებული ხის დაფა ქართული დამწერლობის ნიმუშით და კიდევ უამრავი მასალა, 1633 წლიდან მოყოლებული 1900-იან წლებამდე.

1931 წელს დაარსდა მისიონერთა ახალი ამბების სააგენტო, რომელსაც ჰქონდა ფოტოგრაფიის სამსახური. შესაბამისად, არქივში დაცულია 10 ათასამდე ნეგატივი, რომელთა შორის შესაძლოა იყოს მასალა საქართველოს შესახებ.

ამას გარდა, ვატიკანის მუზეუმის დირექტორ ანტონიო პოლუჩისთან გამართული შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ვატიკანის მუზეუმში, რაფაელის საგამოფენო დარბაზში, 2012 წლის გაზაფხულზე ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა მოეწყობა, რომელიც IV საუკუნიდან დღემდე პერიოდს მოიცავს.

მანამდე კი, 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ტრაიანეს მუზეუმში ქართული წინარექრისტიანული ხელოვნების ნიმუშები გამოიფინება.

წმინდა ჯაფარიძე



მითრას ტაძრის ნაშთებთან

საფრანგეთში მითრას ტაძარი აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა, რომლებიც გათხრებს საფრანგეთის ქალაქ ანჟეში აწარმოებდნენ, მითრას სახელზე აგებული ტაძარი აღმოაჩინეს. მითრა დღის ნათელის ინდოირანული ღვთაებაა და ბაბილონურ შხის ღვთაებასთან — შამაშთანაა გაიგივებული. ელინისტურ ხანაში მითრას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც წინა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე საბერძნეთში, რომში, ძველი ევროპის ქვეყნებშიც და კონკურენციას უწევდა ქრისტიანობას. ჩანს, ახალაღმოჩენილი სწორკუთხოვანი ნაგებობა, რომელსაც არცთუ დიდი ფართობი უკავია, III საუკუნეში უნდა აეგოთ.

საკურთხეველში აღმოჩნდა ფრიგიული თასი მითრას ტიპური რელიეფური გამოსახ-

ულებით. გამოსახულება, ჩანს ჯერ კიდევ უძველეს დროში დაზიანდა. შესაძლოა ის ქრისტიანებმა დააზიანეს, რომელთაც წარმართული კულტის აღმოფხვრა სურდათ.

არტეფაქტებს შორის, რომელთა მოპოვებაც არქეოლოგებმა მოახერხეს, არის ზეთის სანათურები, სასანთლის ფრაგმენტები, თიხის ფიგურები, IV საუკუნის ვერცხლის ბალთა და ორასამდე მონეტა. ტაძრის შიგნით აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მამლის ძვლები. მითრას ღვთაებისადმი მიძღვნილი სარიტუალო ნადიმისას მამლის კერძი ხომ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

მომზადებულია Independent-ის მასალების მიხედვით

ქვეყნის ერთ-ერთი სხედიანი მონეტა

მექსიკის INAH-ის ინსტიტუტის არქეოლოგებმა ქალაქ ზაკატეკაში მდებარე არქეოლოგიურ ზონა ელ ტეულში უძველეს უთავო სკულპტურას მიაკვლიეს. ის მეზოამერიკაში ესპანელთა გამოჩენამდე შეიქმნა და ბურთით მოთამაშეს განასახიერებს.



ფიგურა, რომელიც ადამიანის ზომისაა, მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც არქეოლოგიურ ზონაში სამუშაოები მიმდინარეობდა. 2012 წლიდან ამ ტერიტორიაზე დამთავალიერებლებს შესვლა შეეძლებათ.

აღმოჩენის ასაკი 900-1100 წელია. სკულპტურა თავიდანვე უთავო შეიქმნა. შესაძლოა ის მოამზადეს როგორც სარიტუალო შერკინების შემდეგ მსხვერპლად შესაწირი მოთამაშის თავის საყრდენი. სკულპტურის დიამეტრი 52 სანტიმეტრია, სიმაღლე კი 1 მეტრი და 97 სანტიმეტრი. ფიგურა ერთ ტონამდე იწონის.


მომზადებულია Art Daily-ის მასალების მიხედვით

1956 წლის 5-9 მაისის დოკუმენტებს ნიბნად ბამოსაემნ

„საარქივო დოკუმენტების კოლექციის გამოქვეყნება, რომელიც 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენებს ეხება“ — ასე ჰქვია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ პროექტს, რომელიც ჰაინრიხ ბილის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელშეწყობითა და შვეიცარიის საელჩოს დაფინანსებით განხორციელდა.

პროექტის შესაბამისად, IDFI-ს ექსპერტთა ჯგუფმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოსთან თანამშრომლობით მოიძია და გამოაქვეყნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის არქივებში დაცული მასალები, ასევე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არქივებიდან მიღებული საარქივო დოკუმენტების კოლექცია, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის — 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენებს შეეხება.

2011 წლის ბოლოსთვის კი 1989 წლის 9 აპრილის საარქივო მასალები გამოქვეყნდება, ხოლო 1956 წლის 5-9 მარტის დოკუმენტები წინადა გამოიცემა. მანამდე კი, მსურველებს ამ საარქივო მასალების გაცნობა IDFI-ს ვებგვერდზე შეეძლებათ.



მარშალ უსკოვისადმი გაგზავნილი მოხსენებით ბარათი, რომელშიც მოთხოვნილია, თუ როგორ არ დაემეს ქართველმა საბჭოთა ოფიცერებმა სტალინის კულტი

<http://archive.security.gov.ge/>

1956 წლის 9 მარტის მოვლენებში მონაწილეობისთვის კონსტანტინე დიმიტრის ძე ციციშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე, რომელსაც ერთობ საბჭოთა უშიშროების მიერ გადაღებული ფოტომტკიცებულება





ვისაც დაეგდა ასროვს

სიანლუ მათოვის, ვინც ომში დაღუპულ თუ დაპარულ წინაპარს ისევ ეძებს...

მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა თუ დაღუპულთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ასევე მათი სამუდამო განსასვენებლის დადგენის პროცესი მართვადება. მათ, ვისაც ომის პერიოდში დაკარგული ან დაღუპული ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონდათ ან ჰქონდათ, მაგრამ ძალზე მწირი, დეტალების დადგენა უკვე ინტერნეტის საშუალებით შეეძლებათ.

ინფორმაციას მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ბიძების, ვასილ გურგენიძისა და ივანე ფოფხაძის შესახებ რამაზ გურგენიძემ „ემემორიალისა“ და დოკუმენტაციის ცენტრის ვებგვერდებზე მიაკვლია. ოჯახებისთვის მანამდე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ვასილ გურგენიძეც და ივანე ფოფხაძეც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ.

ინტერნეტში მასალების მოძიების შემდეგ გაირკვა, რომ ლეიტენანტი ივანე ფოფხაძე 1941 წლის 19 ოქტომბერს, მალოიაროსლავეცთან გერმანელებს ჩავარდნია ტყვედ და ბანაკ „შტალაგ 342“-ში ტყვეობაში დაღუპულა 1942 წლის 18 მაისს.

მონაცემები მის შესახებ ტყვე ოფიცერთა კარტოთეკაში ინახებოდა. დოკუმენტები საჯარო არცთუ დიდი ხნის წინ გახდა.

ტყვეობაში, ბანაკ „შტალაგ IV B“-ში გარდაცვლილა 1944 წლის 5 ივნისს ლეიტენანტი ვასილ გურგენიძეც. 51-ე ქვეითთა პოლკის მეზობელი გერმანელებს ტყვედ 1942 წლის 28 ოქტომბერს, კაკასიის მისადგომებთან მიმდინარე ბრძოლებისას ჩავარდნია.

წლებულს, მაისში მშობლიურ ზუგდიდში ჩამოასვენეს და ჭითაწყარის პანთეონში დაკრძალეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული დავით ესებუას ცხედარიც. 66 წლის განმავლობაში ოჯახს ის უგზო-უკვლოდ დაკარგული ეგონა. დავით ესებუა ფრონტზე 22 წლისა გაიწვიეს და 1944 წელს ფინეთის საზღვართან, კარელიის ოლქში ბრძოლის დროს დაიღუპა. ომში დაკარგულთა მოძიების კომისიამ დავით ესებუას ცხედარი მედალიონზე ამოტვიფრული ნომრით ამოიცნო.

მეორე მსოფლიო ომში დაკარგულთა თუ დაღუპულთა შესახებ ინფორმაციის მოძიება რამდენიმე ინტერნეტრესურსის საშუალებით არის შესაძლებელი. მონაცემთა ნაწილი დაკარგული, ტყვედ ჩავარდნილი თუ დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირების შესახებ დეტალურ ცნობებს შეიცავს. მათ შორის ინფორმაციას დაღუპულთა საფლავების ადგილმდებარეობის შესახებ. ნაწილი კი მეტად მწირია და მხოლოდ უგზო-უკვლოდ დაკარგვის თარიღსა და ადგილს მიუთითებს.

მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა შე-

სახე ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ნაწილი ხელმისაწვდომი მას შემდეგ გახდა, რაც მათი ინტერნეტში განთავსება მოხერხდა.

ერთ-ერთი ორგანიზაცია, ვინც ამ თემაზე მუშაობს, საქსონიის მემორიალების გაერთიანების დოკუმენტაციის ცენტრია, რომლის ვებგვერდის მისამართია <http://www.dokst.ru> აქ განთავსდა გერმანულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებსა და სხვადასხვა იძულებით სამუშაოზე გამწესებული საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების შესახებ დაცული ყველა სახის დოკუმენტები, რომელთა საშუალებითაც მათი ოჯახის წევრებს ინფორმაციის მიღება საკმაოდ მარტივად შეუძლიათ. ამისთვის საკმარისია საძიებო სისტემაში იმ პირის სახელი და გვარი ჩაწეროთ, ვის შესახებაც ინფორმაციის მოძიება გსურთ.

საინფორმაციო ბაზა გერმანიის ფედერალური მთავრობის დავლებით საერთაშორისო პროექტის შესაბამისად მომზადდა. პროექტში სახელწოდებით „საბჭოთა და გერმანელი სამხედრო ტყვეები, მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომი პერიოდის ისტორიის საკითხები“, ასევე ჩართულია რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის საარქივო სამსახურები.

ბაზა მუდმივად ივსება და ზუსტდება. მონაცემთა ბანკი ოფიციალური დოკუმენტების სკანირების, მათი დამუშავებისა და ინტერ-

ნეტსაძიებო სისტემაში განთავსების გზით ყალიბდება.


ამ ტიპის დოკუმენტების ნაწილი უკვე ხელმისაწვდომია ინტერნეტმისამართზე www.obd-memorial.ru აქ თავმოყრილია და შესაბამისი რუსული თარგმანი ახლავს ათეულ ათასობით დოკუმენტს, რომელთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 10 მილიონი გვერდია. მათში 20 მილიონამდე კაცის შესახებ პერსონალური ინფორმაციაა თავმოყრილი. ძირითადად ეს არის ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეთა უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, ასევე დაღუპული საბჭოთა მებრძოლების სიები. ზოგჯერ მითითებულია ადგილები, სადაც ისინი დაკრძალეს.

მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა, დაკარგულთა და სამხედრო ტყვეთა შესახებ ინტერნეტში განთავსებული მონაცემთა ბაზა საქართველოსთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია.

1939-1945 წლებში სამხედრო მოქმედებებში საქართველოდან 700 000-მდე კაცი მონაწილეობდა. 300 ათასამდე დაღუპა ან დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ახლა კი ირკვევა, რომ საქსონიის მემორიალების გაერთიანების დოკუმენტაციის ცენტრის მასალებში არაოთხეულობის შესახებ აქამდე უცნობი ინფორმაციის, არამედ საფლავების მოძიებაც არის შესაძლებელი.

6060 ჰაფარაძე



გასილ გურგენიძის პირადი ბარათი საბჭოთა სამხედრო ტყვეების გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში. აღნიშნულ დოკუმენტზე დატანილია რუსული თარგმანი და მითითებულია გარდაცვალების თარიღი

როგორ გადასსა სტალინმა ლორე სომხებს



სომხეთი უძველესი დროიდან საქართველოს სამხრეთი მეზობელი იყო. სომხეთის სამეფოს თავისი სიძლიერის ხანაში (ძვ.წ. II-I სს.) რამდენჯერმე ჰქონდა დაპყრობილი ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები, XI საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული კი, სამხრეთ კავკასიაში სომხური სამეფო აღარ არსებობს. საუკუნეების განმავლობაში სომხური სამეფო-სამთავროების ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში ითვლებოდა.

1918 წელს სომხებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინეს. ახალდაარსებულმა სომხეთის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი პოლიტიკის ძირითად მიმართულებად „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა წამოაყენა. სომეხი ნაციონალისტები ყველა იმ ტერიტორიას ითხოვდნენ, სადაც ოდესმე ფეხი დაედგა სომეხს.

ვიქტორ ნოზაძე იგონებდა: „სომხებმა გაამხადეს სომხეთის რუკა პარიზის საზავო კონფერენციისათვის წარსადგენად და ამ რუკაზე, როგორც სომხეთში შემაჯავლი ტერიტორიები, აღნიშნული იყო — თბილისი, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი“.

1918 წლის დეკემბერში სომხეთის სამხედ-

რო ნაწილებმა ფართომასშტაბიანი აგრესია განახორციელეს ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქართველოს მიმართულებით.

ქართულმა ნაწილებმა მოახერხეს მტრის შეჩერება, ხოლო შემდეგ მისი განდევნა ქვეყნის ტერიტორიიდან. ამ კონფლიქტის შემდეგ სომხეთ-საქართველოს შორის გაფორმდა საგანგებო შეთანხმება, რომლითაც სადავო — ბორჩალოს მაზრის, ლორეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, მის ჩრდილოეთ ნაწილში იდგებოდა ქართული არმია, ხოლო სამხრეთ ნაწილში — სომხეთის.

მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ცდილობდა საქართველოსთან შეერთებას და ამ ხელშეკრულებას უკანონოდ მიიჩნევდა. 1919 წელს სა-



ისტორიული
ლორე-ტაშირი

ქართველოს დამფუძნებელი კრების სახელზე შედგენილ ლორეს რაიონის სოფლის მოსახლეობის მიმართვაში ვკითხულობთ:

„უხსოვარ დროს მართლმორწმუნეთა ტაძრები, ძეგლები და სასაფლაონი, რომლებიც ჩვენში აქამდე უვნებლად და დაცული, უეჭვოდ ამტკიცებს, რომ ლორეს სამუსლიმანო რაიონი მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოსი და ამ რაიონის მოსახლენი ბურჯად ედგნენ საქართველოს საზღვრებს სიმტკიცისათვის. საქართველოს მთავრობა ლორეს რაიონს რატომღაც, ვითომდა სადავო ტერიტორიად თვლის საქართველოსა და სომხეთს შორის, რაც ძლიერ დამლუპველ მდგომარეობაში გვაყენებს. ჩვენ ტფილისთან ვართ დაკავშირებული ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სულიერად და ყოველმხრივ. ამიტომ მისგან ჩამორჩება არ შეგვიძლიან, ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენს დაუყოვნებლივ საქართველოს ტერიტორიისთვის მისაერთებლად“.

მიმართვას ხელს აწერენ ლორეს რაიონის ექვსი სოფლის მცხოვრებნი.

მიუხედავად ამისა, ლორეს ოლქთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა უყოყმანოდ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას. სა-

ქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სადავო ტერიტორია მხოლოდ 1920 წლის ნოემბერში დაიკავა, ისიც სომხეთის მთავრობის თხოვნით.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ალექსანდრ ბეკზადიანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს საგანგებო ნოტიო მოსთხოვა ქართული ჯარის მიერ ლორეს ოლქის დატოვება, მაგრამ საქართველოს მთავრობამ სომხები კომუნისტების ამ პრეტენზიას დასაბუთებული პასუხი შეუთვალა.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ჩვენში ლორესთვის უკვე აღარავის ეცალა. ამით ისარგებლეს სომეხმა ბოლშევიკებმა და ოლქის შენიღბული ინკორპორაცია მოახდინეს.

გაზეთი „კომუნისტი“ ამავე წლის 15 მარტს იუწყებოდა: „4 მარტს დაიწყო მოქმედება სომხეთის კომპარტიის ცკ-ის ბიურომ. სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა გადადგა ნაბიჯი რევოლუციური წესრიგის მოსაწყობად ლორეს რაიონში, რომლის ცენტრად არჩეულია სადგური ალავერდი, დანიშნულია რეკომის თავმჯდომარისა და სამხედრო რევოლუციური კომიტეტის რწმუნებულად ამხ. საფრაზბეკოვი“.

სამწუხაროდ, ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოსთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ლორეს ოლქის მითვისებისა. დასაწყისში სომხეთის ახალჩამოყალიბებულმა საბჭოთა რეჟიმმა ლორეს ოლქში თავისი რწმუნებული დანიშნა. ფაქტობრივად, ეს ტერიტორია ამიერიდან სომხეთის მთავრობის გავლენის ზონაში მოექცა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული ტერიტორიული საკითხის სირთულეს კარგად ხედავენ ბოლშევიკები და ამიტომ უკვე 1921 წელს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ 1921 წლის 2 მაისს შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა მოემზადებინა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი.

ამ კომისიის პირველი სხდომა გაიმართა 1921 წლის 25-27 ივნისს, თბილისში. ჩვენამდე მოაღწია ამ მეტად საინტერესო სხდომის ოქმმა, რომელიც სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლის, ვ. მურადიანის მიერაა შედგენილი. სადემარკაციო კომისიის 25 ივნისის სხდომაზე სიტყ-

ლორეს ოლქი და საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს შორის სასაზღვრო ზოლი 1921 წელს. საქართველოს ისტორიის ატლასი დავით მუსხელიშვილის რედაქციით



პირობითი აღნიშვნები

- რუსეთის იმპერიაში შემავალი გუბერნიებისა და ოლქების საზღვარი, 1917 წ.
- ცვლილებები საქართველო-სომხეთის საზღვარზე 1921 წლის 6 ნოემბრის შეთანხმების მიხედვით
- საქართველოსა და სომხეთის საზღვარი თურქეთთან მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების თანახმად
- საქართველო-სომხეთის საზღვარი 1940 წლის მდგომარეობით
- საქართველოს ტერიტორია, რომელიც საბოლოოდ გადაეცა სომხეთს სსრ-ს



იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

ვით გამოვიდა სომხეთის სსრ წარმომადგენელი „ამხ. ბეკზადიანი“. იგი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებზე ისე საუბრობს, არ შეიძლება მისმა გამონათქვამებმა მკითხველს ღიმილი არ მოჰკვაროს.

სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბეკზადიანს, რომელმაც განაცხადა: სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რეესურსებიანად. ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხ. მიახნიკოვა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულებს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხ. ქართველებს, თათრებს, გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისათვის, ერთხელ და სამუდამოდ, უაღრესად გულწრფელი, მეგობრუ-



ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე

ლი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისათვის დაგვთანხმდნენ განსაზღვრული ტერიტორიების დათმობას“.

სომეხი ბოლშევიკები არა მარტო ლორეს ოლქს ითხოვდნენ საქართველოსგან, არამედ ახალქალაქის მაზრასა და ბორჩალოს მაზრის ნაწილს. სადემარკაციო კომისიამ საბოლოო შეთანხმება ვერ მოახერხა, ამიტომ შიდა საზღვრების გამიჯვნის საკითხი რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა რკპ(ბ) კავბიუროს მიანდეს.

1921 წლის 7 ივლისს კავბიურომ იოსებ სტალინის მონაწილეობით ეს საკითხი საგანგებოდ განიხილა და დაადგინა, რომ ე.წ. ნეიტრალური ზონა — ლორეს ოლქი — გადაეცეს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. რაც შეეხება ხრამისა და ახალქალაქის რაიონებს, ეს საკითხი კავბიურომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიანდო გადასაწყვეტად, რომლის დასკვნა შემდგომ ისევ კავბიუროს უნდა დაემტკიცებინა.

ამდენად, 1921 წლის 7 ივლისის დადგენილებით ლორეს ოლქზე საქართველოს პრეტენზიები საბოლოოდ გაუქმდა. ამ ეტაპზე



სომხეთის სსრ-ის წარმომადგენელი ალექსანდრე ბეკზადიანი

*შუა საუკუნეების ქართული
ციხე-ქალაქი ლორე*



ლორეს ოლქი კი არა, ხრამისა და ახალქალაქის რაიონები იყო შესანარჩუნებელი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღემდე საქართველოში გავრცელებული მთარული ხმები, თითქოსდა, სტალინმა არაფერი იცოდა საქართველოს ტერიტორიის გასაჩუქრების შესახებ და რომ ეს ყველაფერი სერგო ორჯონიკიძის ნამოქმედარი იყო, დოკუმენტებით არ დასტურდება. მეტიც, „ხალხთა დიდი ბელადი“ არათუ ყველაფრის საქმის კურსში იყო, არამედ თავად მონაწილეობდა ამ პროცესში.



ამიერკავკასიის კავშიურის დადგენილების საფუძველზე, 1921 წლის 16 ივლისს შეიკრიბა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. ნეიტრალური ზონისა და 2. ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საბჭოთა სომხეთისადმი გადაცემის საკითხები. პოლიტიბიუროს დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. დადასტურდეს რკპ ცკ-ის კავშიურის დადგენილება საბჭოთა სომხეთისათვის ამ ზონის გადაცემის შესახებ. 2. პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დაკავშირებული, ამხანაგი სომხების წინადადება მიუღებლად მიგვანჩია“. იგივე საკითხი 1921 წლის 3 აგვისტოს განიხილა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმმა. ქართველი კომუნისტების გაფართოებულმა შემადგენლობამ კვლავ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პოლიტი-

ურის გადაწყვეტილება, მაგრამ პლენუმზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ლორეს ოლქის უყოყმანოდ სომხეთისადმი გადაცემამ. სწორედ ამიტომ პლენუმის დადგენილებაში გაჩნდა ახალი მუხლი: „იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავშიურში არ ჰქონდათ საქართველოს კპ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავშიურის, ხელახლა განიხილოს ეს საკითხი. თავის მხრივ, ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში“.

მიუხედავად ქართველი კომუნისტების პრინციპული მოზონისა ლორეს ნეიტრალურ ზონაში რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, კავშიურში არ გაითვალისწინა პლენუმის ეს გადაწყვეტილება. მთლიანობაში, მართალია, ახალქალაქისა და ხრამის რაიონები დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ლორეს ოლქი ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე სომხეთის სსრ-ს გადაეცა.

ამდენად, 1921 წელს კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის კავშიურისა და საქართველოს კომპარტიის პოლიტიბიუროს დადგენილებით სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი, ე.წ. „ლორეს რაიონი — 2367 კვკმ ფართობით. მოგვიანებით, 1925 წელს სომხეთს ასევე გადაეცა ბორჩალოს მაზრის კიდევ ერთი ნაწილი 207,94 კვკმ ფართობი. ერთობლიობაში 1921-1925 წლებში სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 2575,38 კვკმ.

ჰაბა საფუძია



ქართული

ეკლესიები

სომხეთში

XI საუკუნეში სომხეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და მხარეებად დაიშალა. აღმოსავლეთ სომხეთი ქართველთა სამეფოს იურისდიქციის ქვეშ მოექცა და მას ქართველ მეფეთა მოხელეები მართავდნენ. თამარის ეპოქაში აღმოსავლეთ სომხეთის გამგებლობა საქართველოს სამეფო კარს ჩაბარებული ჰქონდა რწმენით გასომხებული ქურთებისთვის – მხარგრძელებისთვის. საერთოდ, მხარგრძელების ძველი გვარეულობა უცნობია და ისტორიაში ისინი ქართული – მხარგრძელების სახელებითაა ცნობილი.

როგორც მიღებულია, გვარი არ ითარგმნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სომხურმა ისტორიოგრაფიამ ხელოვნურად თარგმნა მხარგრძელთა გვარი და უწოდა — ერკაიაბაზუკ. მათ ჩააბარა თამარ მეფემ სომხეთი. ამ ისტორიულ ფაქტს განსხვავებული შეფასება მისცა აკადემიკოსმა სურენ ერემიანმა და შეეცადა დაესაბუთებინა, თითქოს XII-XIII საუკუნეებში აღმოსავლეთ სომხეთს ჰქონდა სრული სუვერენიტეტი და მისი გამგებელი მხარგრძელები საქართველოს სამეფოსგან დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას



ბუბა კუდავას ფოტო

წარმართავენ, რაც ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. ზაქარია და ივანე მხარგრძელები იყვნენ ქართველი მეფის მიერ ამ რეგიონში დანიშნული მოხელეები, რომელთა უფლება-მოვალეობანი ქართული კანონმდებ-

ლობით განისაზღვრებოდა. აქედან გამომდინარე, ქართველ მეფეს შეეძლო ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ გადაეწვივებოდა მხარგრძელთა ამ პოსტზე ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოკლედ, ასეთია ისტორიული სინამდვილე იმ დროის აღმოსავლეთ სომხეთში. ამ მხარეს ქართულად გოგარენე, სომხურად — გუგარქ ქვოდებოდა და მოიცავდა უძველეს ქართულ ტერიტორიას — ქვემო ქართლს. ამ მიწის პირველი ბინადარი იყო ქართველი ტომი — გუგარები. ქართველი ბოლშევიკების უგერგილობის, უფრო სწორად მათი ანტიეროვნულობის გამო, ამჟამად ეს ძირძველი ქართული ტერიტორია სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული.



სომხეთში ქალკედონიზმს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ ყველაზე აქტიური ფორმით აღნიშნული ისტორიული პირობების გამო გამოიხატა XII-XIII საუკუნეებში (მხედველობაში მაქვს აღმოსავლეთი სომხეთი). ამ პერიოდში ამენდა ქართული ქალკედონური ეკლესიები, რასაც მოწმობს საისტორიო წყაროები, ასევე ქართული ეპიტაფიები.

ახტალის ტაძარი

ახტალის ტაძარი მდინარე დებედის შუაწელთან მდებარეობს. ახტალა სომხურად

*ჩუქურთმის დეტალი. ახტალის ტაძარი
ბუბა კუდავას ფოტო*



ქართული ფრესკული მხატვრობა ახტალის ტაძარში

პლმაჰანქია, რაც სპილენძის მადანს ნიშნავს. ეს სახელწოდება მოწმობს, რომ ამ მხარეში სპილენძი მუშავდებოდა.

ძველი სომხური ისტორიოგრაფიის მიხედვით, ზაქარია მხარგრძელის ძმამ, ივანე ათაბაგმა მიიღო ქართული, დიოფიზიტური სარწმუნოება და პლმაჰანქში ააშენა ქართული ქალკედონური მონასტერი (XIII ს.). ამავე მონასტერშია დაკრძალული თავად ივანე ათაბაგი. ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელმაც დღემდე მოაღწია. იგი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა მინაშენებითა და კარიბჭეებით. ტაძრის ფასადი უხვადაა შემკული. მორთულობის სისტემა დამახასიათებელია XIII საუკუნის დასაწყისისა და შუა წლებისთვის. მხატვრობა რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. უძველესი ფენა XIII საუკუნის პირველი ნახევრისაა.

ახტალის მონასტრის საფლავების ქართული წარწერები შედარებით სრულად აღნუსხა და გააანალიზა პ. მურადიანმა. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა კი ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკული მასალა ორ კატეგორიად დაყო: სამშენებლო-მემორიალურ და ფრესკულ მხატვრობად. მეცნიერულად გამართლებულია მისივე მოსაზრება: „რამდე-

ნადაც ამ საუკუნეებში (XII-XIII) ქართველულად მიჩნეულნი იყვნენ არა მხოლოდ თვით ქართველები, არამედ ქალკედონი, ე.ი. დიოფიზიტური (ორბუნებიანი) სომეხნი, ამიტომ იგივე ქართული წარწერები სომხური სათანადო ლიტერატურული წყაროების უქონლობის (ანდა სიმცირის) გამო ერთადერთი დამადასტურებელი ფაქტია სომხური ქალკედონიზმის არსებობისა საერთოდ და დასახელებულ საუკუნეებში სომხეთში“.

აღსანიშნავია, რომ ანისის ქართული ეკლესიის შემდეგ ახტალის მონასტერი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალკედონური ცენტრი იყო.

თეზარიუმი

ძველი სახელია თაიო-ჩარუხი. სოფელ მელრადორის ახლოს არის ეკლესია, რომელსაც ეწოდება გიურჯიქილისა — ქართველთა ეკლესია. სომხურ წყაროებში ეწოდება აგრეთვე — პლმაანქს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს, რომ ამ ეკლესიის „ქართული წარწერები იმის საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ზაქარიასა და ავაგის დროს კიდევ არაერთი ქალკედონური ეკლესია აშენდა სომხეთში“. მასვე მიაჩნია ეს ქართული მონასტერი XII-XIII საუკუნეების ძეგლად.

ჰუჯაბის ტაძარი



ჰუჯაბი

ამ ტაძრის ქართულობის შესახებ არაერთი მეცნიერული ნაშრომი თუ წერილია გამოქვეყნებული. დაეინტერესდი, იყო თუ არა ეს ტოპონიმი და შესაბამისად, ტაძარი შეტანილი „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონში“, რომელიც ამ ათი წლის წინ გამოვიდა ხუთ ტომად ერევანში, სომხურ ენაზე. ჰუჯაბის შესახებ წერია: „ხუჯაპ-სომხეთის გუგარეჟის ქვეყანაში, ტაშინის გაურა ამავე სახელის მქონე სოფლის ახლოსაა. ეს ტაძარი აშენებულია XII საუკუნეში. მდებარეობს სომხეთში, კალინინის რაიონის სოფელ პრივოლნოში. ტაძარი აშენებულია ბერძნული არქიტექტურის სტილით. ბუნებრივია, დარჩა ბერძნული ხუროთმოძღვრების ნიმუშად“. ჯერ ერთი, ეს „ბერძნული სტილის“ ტაძარი ვინ ააშენა, აღნიშნული არ არის, მეორე — სომხებმა ააშენესო, ვერ თქვეს, მაგრამ ქართველთა ნაამაგარი რომ არის, შეგნებულად დამალეს. კიდევ უფრო სამწუხარო არის ის, რომ ჰუჯაბის დაპატრონების მიზ-

ნით, სომხეთის სახელმწიფო საზღვარი 400 მეტრით არის გადმოწეული, რათა ეს სამონასტრო კომპლექსი სომხეთის საზღვრებში მოხვედრილიყო. სინამდვილეში ჰუჯაბი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია — სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ძირძველ ქართულ მიწაზე (ქვემო ქართლი), მარნეულის რაიონში, სოფელ ახქერფის მახლობლად. საეკლესიო ნაგებობათაგან აღსანიშნავია XIII საუკუნის პირველი ნახევრის ტაძარი. პროპორციებით, დეკორული მორთულობითა და სტილისტური ნიშნებით მიეკუთვნება XII-XIII საუკუნეების მიჯნისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფს (ბეთანია, ჭკათახევი, ფტარეთი, წულრულაშენი, ახტალა). გუმბათის ყელი უხვადაა მოჩუქურთმებული. გარედან შემოსილია ოქროსფერი და ღვინისფერი ქვით. შიგნით მოხატულია. შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები.

პნეპანი

ამ ეკლესიას ქართულად ძელი ჭეშმარიტისა ეწოდება. ამ სახელწოდებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს. 1. ჰუნე ვანქ — ბერძენთა მონასტერი. 2. ჰუნე ვანქ — ძველი მონასტერი, ქალკედონიანთა სავანის მნიშვნელობით. ვახუშტი ამ მონასტრის შესახებ წერს: „კვალად დასავლით ამის არს მონასტერი ძელი ჭეშმარიტისა — მშვენიერი, ამ ბერდუჯის მდინარესა ზედა, უპყრავთ სომეხთვე“. პროფესორმა კ. ლაფადარიანმა სიტყვა ძელი ძველთან მსგავსების გამო ძველად აღიარა, რაც სომეხმა მეცნიერებმაც არ გაიზიარეს. ეს ცნობა პ. მურადიანმა სათუოდ მიიჩნია და აღნიშნა — ვახუშტი თავის „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“, როცა რომელიმე ეკლესიას, მონასტერს თუ ციხესიმაგრეს აღწერს, გარდა საისტორიო წყაროებისა, ყერდნობა ხალხის ისტორიულ მეხსიერებას.

გიორგი ჩუბინაშვილს ეს ძეგლი VIII-IX საუკუნეებით აქვს დათარიღებული. ამ ძეგლის დეტალურად განხილვისას ლეონ მელიქსეთბეგი მართებულად დაასკვნის: „ყოველ ეჭვის გარეშეა, რომ ეს ძეგლი თავდაპირველად სომეხ ანტიქალკედონიანთა კერა ყოფილა, შემდეგ კი XII საუკუნიდან ქალკედონიანთა ხელში გადასულა, რის აღმნიშვნელნი არიან XII-XIII სს-ის ქართული ასომთავრული წარწერები მის გარე კედლებზე“.



ქობერი

სახელწოდება მიღებულია სომხური ქობა-რიდან. ფუძე არის ქართული — ქვაბ, რომელსაც ერთვის სომხური აირ-ქვაბი. ე.ი. ქვაბთაქვაბი. როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, ქვაბთაქვაბი გამართლებულია ამ მონასტრის მდებარეობით. იგი ქვაბში, მღვიმის სიღრმეში მოთავსებული მონასტრის შთაბეჭდილებას ახდენს. ქობის ქართულობა რატომღაც საეჭვოდ მიიჩნია პ. მურადიანმა და სომხურ სიტყვიერებას დაუკავშირა. ეს სიტყვა გამოყენებულია აღარწინის წარწერაშიც. ნიკო მარი ქვაბქობ-ს ქართულიდან სომხურში შესულ სიტყვად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს სესხება მომხდარა სომხური ქალკედონურ ი წრეების მეშვეობით.

სომეხ მეცნიერთაგან ე. ლალიანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღნიშნა, ქობაირში სომხურის გარდა არის ქართული ასომთავრული წარწერები „ქართულ-მესროპიანული ასოებით“. აქ კი სამწუხაროა ის, რომ ე. ლალიანმა გაიმეორა სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ყალბი მოსაზრება მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ. სარგის ჯაღალიანცა და გ. ალაიანცს კი ქობაირის ქართული წარწერები ბერძნული ვგონათ და მონასტერს ბერძნულს უწოდებდნენ.

ქობერის ქართული და სომხური ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოიტანა მართებული დასკვნა: ქობერის ქართული



ქობერი



ქობერი

წარწერები გვხვდება მთელ რიგ შენობებზე (დიდი ეკლესია, ეგვტერი, სამრეკლო-სამარხი), სომხური გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ პატარა ეკლესიაზე. ეს უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ მონასტერს განუცდია გარდატეხა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იმ მხრივ, რომ წინათ ის ყოფილა სომეხთა ანტიქალკედონისტთა საგანე, ხოლო შემდგომ გადაქცეულა სომეხ-ქართველ ქალკედონისტთა საგანედ, რასაც სხვათა შორის, ქართული წარწერების გარდა, ამტკიცებს მთავარი ეკლესიის საკურთხევის აგებულება ქალკედონისტური რიტუალის მოთხოვნილებებისამებრ და აგრეთვე იმავე ეკლესიისა და ეგვტერის კედლის მხატვრობა ქართული ასომთავრული წარწერებითურთ.

ოსკიპარი

ვახუშტის რუკის მიხედვით მდებარეობს აღსტაფის ხეობაში, აგებულია XII-XIII საუკუნეებში. ფრესკებზე არის ქართული წარწერებიც.

შაჰნაზირი

ასე ჰქვია სოფელს ლორე-ტაშირში, რომელიც მდებარეობს ყარაღაჯის მთის ჩრდილოეთით და ლორეს ველის დასავლეთით. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ და ვახუშტის რუკაზე კი აბოცის მიდამოშია აღნიშნული. შაჰნაზირში დაცული ერთი ქართული წარწერის საფუძველზე, რომელშიც ნახსენებია „აბოზი“ ანუ, „აბოცი“, ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ ეს სახელწოდება გადმოტა-

ნილი უნდა იყოს ყაიყულის აბოციდან აქაური მოსახლეობის ლორე-ტაშირში გადმოსახლების დროს. მეცნიერი არ გამოიციხავს იმასაც, რომ შეიძლება მათ მიერ იყოს აბოციდან გადმოტანილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ლორე-ტაშირში. შაჰნაზირსა და მის მიდამოებში დაცულია რამდენიმე ქართული ასომთავრული წარწერა, აგრეთვე — ქანდაკება-ჩუქურთმა ქვაზე, რომლებიც სომეხ კათოლიკებს ჩაუტანებიათ ეკლესიების კედლებში. ე.წ. ქვემო ეკლესიაში, სამხრეთ შესავლის კარის მარჯვნივ, სარკმელქვეშ არის ცხრასტრიქონიანი ქართული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ამ ეკლესიის აღმშენებლები — ოთხი მძა ძნელაის-მენი. წარწერას ლეონ მელიქსეთ-ბეგი ათარიღებს 1135 წლით.

პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ პ. მურადიანმა სათუოდ მიიჩნია ძნელაის-მეთა ქართველობა. ეს დაახლოებით იგეგვა, როგორც პროფესორმა მარუთიანმა იშხნის ცნობილი ქართული წარწერის (1032) სომხურ თარგმანში ტაძრის ქართველი ხუროთმოძღვარი იოანე მორჩაიძე გადააქცია სომეხ მორაისცეანად.

ეფიქრობთ, მურადიანს ამგვარი პარალელების საფუძველი არ ჰქონდა, რადგან იქვეა ასეთი სხვა ქართული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე ძნელია მირიან“.

შაჰნაზირის ახლოს ჯუჯექენდაში, გორაკზე ერთნაიან, ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ნახა ნუსხა-ხუცურით შესრულებული ექვსსტრიქონიანი წარწე-

რა — „სახელითა ღმრთისაითა ესე ჩუენ გორაკელთა, ფიჩოსანთა, დაწერეთ: ვინ უწინა მოკუდეს, ი დღე ჟამი უწირონ ყოველთა“.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ქართული წარწერის კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. პ. მურადიანს კი იგი მიაჩნია XII-XIV საუკუნეების ნიმუშად. თუ გავიხსენებთ, რომ მეფე ალექსანდრე დიდმა (1390-1442) ლორე სვეტიცხოველს შესწირა, ქალკედონური ეკლესიების მშენებლობა და ქართული ეპიგრაფიკა ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ლორე-ტაშირში — ამ უძველეს ქართულ მხარეში. აღნიშნულ წარწერაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასში ნახსენები სახელი „ფიჩოსანთა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს — „ქართველ ან საერთოდ ქალკედონელთა ფიჩოსანთა არსებობას, ე.ი. ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს დაქვემდებარებულ სამონასტრო აღმშენებლობას ლორე-ტაშირის ამ განაპირა მხარეში“ — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ქართული ეკლესიის ახლოს 1910 წელს ანისში, გათხრების დროს ნიკო მარმა იპოვა საქართველოს კათალიკოსის, ეპიფანეს ოცსტრიქონიანი ქართული წარწერა. ამ წარწერაში ქართველი კათალიკოსი მიმართავს ანისში მცხოვრებ ქართველებს. რაც შეეხება ამ ქართულ ეკლესიას, აკად. ი. ორბელის აღწერით — იგი არის ბაზილიკური ტიპის მომცრო ზომის საკულტო ნაგებობა. მის სამხრეთის კედელზეა 1329 წლის ქართული წარწერა.

ნიკო მარმა ანისში ნახა აგრეთვე მდიდარი სომხის, ქალკედონიტ ტიგრან ჰონენცის მიერ „ნახევრად ქართული, ნახევრად სომხური, ერთი სიტყვით ქალკედონურ-მართლმად-

დიდებლური გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესია, რომელიც გადაუკეთებია ტიგრან ჰონენცს 1215 წელს“.

* * *

ქართული ეკლესია-მონასტრების, ქართული ეპიგრაფიკის არსებობა ლორე-ტაშირში ფაქტობრივად ადასტურებს, რომ XII-XIII საუკუნეებში ამ მხარეში ქართულ სამოციქულო ეკლესიას თავისი იურიდიული უფლებამოსილება ჰქონდა და შესაბამისად ადასტურებდა მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას. მის მრევლს შეადგენდნენ როგორც ქართველი, ისე სომეხი ქალკედონიტები. ეს უკანასკნელნი კი ქართველებად განიხილებოდნენ. ამდენად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილება აგარაკ-ტაშირის ქართული ეპარქიის აღდგენის შესახებ იურიდიულად და ისტორიულად დროული და გამართლებულია.

შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია, მოითხოვოს სომხეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების გადმოცემა. მართალია, ქართული მრევლი უკვე აღარ არის იქ, მაგრამ ამ საკანცეპტში შეუძლიათ იღვაწონ ქართველმა ბერ-მონაზვნებმა.

დასასრულ გვსურს აღვნიშნოთ, სულაც არ გვაქვს პრეტენზია, რომ სრულად აღწესდეს ქართული ეკლესიები სომხეთში. შესაძლოა ზოგი გამოგვჩნა, ზოგი კი სადავოა და შეგნებულად არ შევიტანეთ სომხეთის ქართულ ეკლესიათა სიაში.

პონდო არველაძე



ქართული
წარწერა
ქობურის
ტაძარზე



ირანის უკანასკნელ შაჰინშაჰთან — მოჰამად რეზა ფაჰლავისთან (1919-1980) ქართველებს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ (მისი სტალინთან შეხვედრის შესახებ უკვე წერდა „ისტორიანი“). ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება ამ ურთიერთობის ამსახველ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს მივაპყროთ.

შაჰინშაჰის სარუქმარი

უკლაველ ქართველ ფალავანს

მოჰამად რეზა ფაჰლავის — არიამეჰრს ანუ „არიელთა სინათლეს“ უწოდებდნენ. იგი გამოირჩეოდა ათლეტური აღნაგობით, გატაცებული იყო სპორტითა (ჯირითი, ავტორბოლა, თხილამურებით სრიალი) და მფრინავობით. მფარველობდა და ხელს უწყობდა პერსპექტიულ სპორტსმენებს, გამორჩეულად კი ფალავანებს. ჭიდაობა ხომ ირანში ტრადიციულად მიჩნეულია სპორტის უპირველეს სახეობად.

1971 წელს თეირანში გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირი „არიამეჰრის“ ანუ შაჰინშაჰის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად. ამ ტურნირზე მსოფლიოს მრავალ ცნობილ ფალავანს შორის გამოდიოდა 23 წლის ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილიც, მომავალში — ლეგენდარული სპორტსმენი,

მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი. ქართველმა მოჭიდავემ არიამეჰრის პრიზი ღირსეულად დაიმსახურა.

ასპარეზობა ღია ცის ქვეშ გაიმართა, ხალხით გაჭვდილ ვეებერთელა სტადიონზე. ფალავანთა ჭიდილს ესწრებოდა შაჰინშაჰიც თავის რიგით მესამე მეუღლესთან — ფარაჰ დიბასთან ერთად.

ირანის მონარქის სიახლოვეს იჯდა მისი საყვარელი, დაუმარცხებელი ფალავანი, რომელთანაც შერკინებამ ლევან თედიაშვილს მოუწია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ფალავანმა საუხეობით დამაჯერებლად გაიმარჯვა, მსაჯმა მეტოქეებს კვლავ უხმო ხალიჩაზე. რა

ყოველ პარასკევს,
 ჟურნალ „საბავშვო
 ქარუსელთან“ ერთად,
 დიდი ქართვლებს
 ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



27 - მაისიდან
 3 ივნისამდე

- 1 ვახტანგ გორგასალი
- 2 ვაჟა-ფშაველა
- 3 ფიროსმანი
- 4 ილია ჭავჭავაძე
- 5 თამარ მეფე
- 6 ბორის პაიჭაძე
- 7 გალაკტიონ ტაბიძე
- 8 ივანე ჯავახიშვილი
და სხვა
დიდი ქართველები



3 - დან
 10 ივნისამდე

გამოქანილი
 უღამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის



წიგნის ფასი: 2.50
 (ჟურნალთან ერთად 3.50)



ირანის შაჰი მოჰამად რუზა ფაჰლავი
ოჯახთან ერთად

თქმა უნდა, ირანელ ფალავანს განმეორებით დამარცხებას სიკვდილი ერჩია და თავგანწირვით იბრძოდა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

შაჰინშაჰი ისე მოიხიბლა ქართველი ფალავანის ოსტატობით, რომ გამარჯვებული თავისთან იხმო და ძვირფასი ბეჭდით დაასაჩუქრა.

საქართველოში დაბრუნებულმა გამარჯვებულმა ფალავანმა ეს ბეჭედი თავის საცოლეს, ნანა მჭედლიშვილს მიართვა...

საგულისხმოა, რომ ამ ასპარეზობის დაწყებამდე ირანელებმა საიდუმლოდ ინახულეს ლევან თედიაშვილი და მას წაგების სანაცვლოდ შესთავაზეს... 100 ათასი ამერიკული დოლარი, რაც მაშინ უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა.

ქართველმა ფალავანმა სიმდიდრეს სახე-

ლი ამჯობინა და შაჰინშაჰის ფავორიტი აბდუშაჰილივით გააკრა ხალიჩას. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გახმაურდა. გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც შეტანილია ნანა მჭედლიშვილის მიერ შედგენილ პრესაში გამოქვეყნებული მასალების კრებულში „ლევან თედიაშვილი — ფალავანი და მოქალაქე“:

„ლევან თედიაშვილი: — ფული შემომძლიეს. „ვიცოტავე“. კიდეც დაამატეს. ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში ყველაფერი ასი ათას დოლარამდე ავიდა. მერე გაუედი ხალიჩაზე და იმათი ფალავანი შაჰის თვალწინ დავამარცხე... ფულს ვინდა მომცემდა...

— მართლა არ დაგენანათ ასი ათასი?

— გაყიდული შეხვედრით არავინ გამდიდრებულა. მერე თვალეებში როგორ შემეხედა ჩემი შვილებისთვის“.

არიამეპრის პრიზი თეირანში ლევან თედიაშვილმა, მოგვიანებით კიდევ ორჯერ (1972 და 1977 წლებში) მოიპოვა.


1973 წელს თეირანში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეებსა და სამბისტა შორის.

თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილმა კვლავინდებურად იასპარეზა და ჩემპიონიც გახდა.

ჩემპიონატზე მოულოდნელად გახდა ავად გენადი რუსლიადევი, საბჭოთა კავშირის სამბისტა ნაკრების წევრი, რის გამოც გუნდს ნული ქულა ელოდა! რუსი და ქართველი მწვრთნელების, ს. იონოვისა და ვახტანგ ბალავაძის „შეთანხმებით“, ლევან თედიაშვილი სამბისტის ამპლუაში წარუდგა მოწინააღმდეგეს და ბევრისთვის მოულოდნელად, კიდევ ერთი ოქროს მედალი დაიმსახურა!

ქართველი ფალავნის ნამდვილი ტრიუმფით აღტაცებას ვერ ფარავდნენ მაყურებლები და თვით სახელგანთქმული თეირანელი ფალავნები — მანსურ მეჰთიზადე და აბდულაჰ მოვაჰედი. ისინი ზუმრობით ურჩევდნენ ლევანს, კლასიკურ ჭიდაობაშიც სცადე ბედო...


ეს უნიკალური შემთხვევა იყო მსოფლიო სპორტის ისტორიაში, როდესაც ერთი სპორ-



*მსოფლიო
ჩემპიონატი ირანში,
1973 წ.*



გადაწყვეტი წამის მოლოდინში



ტსმენი ერთდროულად ორ სახეობაში, ექვს დღეში გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ლევან თედიაშვილი იმ დღეებში თეირანის სტადიონზე ნამდვილ გამირად იქცა, ტრიბუნები ოვაციებისგან ზანზარებდა. თვით ირანელები უკრავდნენ ტაშს უძლეველ ქართველ ფალავანს. პატარა ფალავნები კი ერთმანეთს ასწრებდნენ გამარჯვებულთან მისვლასა და კოცნას. აღმოსავლური ტრადიციით, თუ პატარა ირანელ ბიჭს მძლეთამძლე მამაკაცი აკოცებს, იგი ასეთივე უძლეველი გაიზრდება...

1977 წელს არიამეჰპრის პრიზზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 143 უძლიერესი ფალავანი ასპარეზობდა.

ლევან თედიაშვილი: „შეჯიბრება თეირანში ოლიმპიური ცენტრის ახალაშენებულ უნიკალურ სპორტის სასახლეში გაიმართა. ასპარეზობის ოთხი დღის განმავლობაში ტრიბუნებზე მართლაც ნემსი არ ჩავარდებოდა. ფინალურ შეჯიბრებას ირანის შაჰიც დაესწრო. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კი გამარჯვებულებს ჯილდოები მისცა 17

წლის ვაჟმა გადმოგვცა (ირანის სამეფო ტახტის მემკვიდრე, 1960 წელს დაბადებული მოჰამად რეზა (II), რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს. — ნ. ჯ.)...

კენჭისყრამ პირველ წრეში ირანელ ჯაფარისთან შემახვედრა, რომელიც 20 წაშში დაჟამარცხე. შემდეგ შეხვედრებშიც ასევე წმინდა გამარჯვებები მოვიპოვე... ფინალში კი ირანელ სულეიმანთან მომიწია ბრძოლა. იგი საჭიდაოდ რევანშის წყურვილით გამოვიდა და თანაც უნდოდა, შაჰისთვის თავი მოეწონებინა... ცოტა კი გამიჭირდა, მხოლოდ მეოთხე წუთზე გააკარი ხალიჩას! სულეიმანის დამარცხება, რომელზეც, ჩანს, დიდ იმედებს ამყარებდნენ, ირანელმა გულშემატკივარმა მტკივნეულად განიცადა, მაგრამ ობიექტურობის გრძნობა არ დაუკარგავთ“.

ამრიგად, თეირანში ზედიზედ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებით ქართველმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა უდიდესი სიხარული აჩუქა როგორც თავის სამშობლოს, ასევე ირანში მცხოვრებ ქართველებს.

ნიკო ჯავახიშვილი

ჯორჯ კობი ოჯახთან ერთად. სხედან მმა და რბალი, დგანან კობი, დისშვილი ზინა და კობის მეუღლე. გადაღებულია სოფელ თხმორში



ჯორჯ კობი

უფდიდრესი ქართველი ამერიკაში

დაიბ, გასულ საუკუნეში ქართველებს ოფიციალური მილიონერი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გვყავდა. იგი მსოფლიოში სახელგანთქმული მინის მრეწველი ჯორჯ კობი, იგივე გრივოლ კობახიძე გახლდათ. ჯორჯ კობის წარმოების საქონელბრუნვა 1929 წლისთვის 15 მილიონ დოლარს აღწევდა, სუფთა შემოსავალი კი — 4 მილიონს.

გრივოლი დაიბადა 1883 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში, რაჭველი გლეხის, დავით კობახიძის ოჯახში. წერა-კითხვა სოფლის მღვდელმა შეასწავლა. პატარა გიგოს დიდ ნიჭთან ერთად, კარგი ხმა და მუსიკალური სმენაც აღმოაჩნდა, მაგრამ სწავლის გაგრძელების ნაცვლად, 10 წლისა შინიდან გაიპარა, ბორჯომში ჩავიდა, სადაც მინის ქარხანაში მისი უფროსი მმა ლევანი (ლეონტი) მუშაობდა. ოთხ წელიწადში დაეუფლა ლამის ყველა ტექნოლოგიას, რაც ქარხანაში იყო. გამოგონებლობის ნიჭიც აღმოაჩნდა — შეიმუშავა პროდუქციის გაზრდის მეთოდი. ქარხნის გამგებელმა, გერმანელმა შუქანმა ბიჭი ბორჯომის მეპატრონეს, დიდ მთავარ მიხეილსა და მის მეგობარ კონსტანტინე მუხრან-ბატონს წა-



ბორჯომის მინის ქარხანა, სადაც გრივოლ კობახიძე ოთხი წლის განმავლობაში მინის ჩამოსხმის ტექნოლოგიებს ეუფლებოდა



კონსტანტინოვის მინის ქარხანა და იქ დამზადებული ლუდის ბოთლი

რუდგინა. ქებითა და ფულადი ჯილდოთი წახალისებული გიგო ჯერ თბილისის, 1902 წელს კი ოდესის შუშის ქარხანაში გადავიდა სამუშაოდ. 1903 წელს 20 წლის გიგო კრასნოდარის გუბერნიაში, დონბასის სამრეწველო ცენტრ კონსტანტინოვკაში მუშაობს ფრანგი გამანის მინის დიდ ქარხანაში. გამანის ყურადღება მისმა ათლეტურმა აღნაგობამაც მიიქცია და ჭიდაობის მწვერთელთან მიიყვანა. მალე გიგო გამანის ფალაუნად იქცა, ფულადი ჯილდოები კი მისთვის შემოსავლის დამატებითი წყარო გახდა. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, მშვენიერი დაშა ნოდვიკოვა და მეგობარიც შეიძინა, შემდგომ შეერთებულ შტატებში მისი პარტნიორი, ვეგენი იგნატიევი.

1907 წლის გაზაფხულზე გრიგოლი პოლონეთის გავლით ჯერ გერმანიაში, მიუნხენში დასახლდა. გერმანელ სპეციალისტთა დახმარებით მინის პროდუქციის დამამზადებელ მცირე საწარმოს აარსებს, შემდეგ ინგლისში მიემგზავრება. 1908 წელს ლონდონში მინის ქარხანაში ეწყობა უბრალო მუშად. იქაც გამოადგა ცოდნა, თავისი გამოცდილება, მალე შეამჩნიეს და დააწინაურეს. იქაც ჭიდაობდა და ცირკშიც გამოდიოდა. მალე ფინანსურად ისე მომაგრდა, რომ ცოლიც ჩაიყვანა, მაგრამ მოშურნეები გამოუჩნდნენ. ამიტომ იძულებული გახდა, მრავალთა მსგავსად ბედი ამერიკაში ეძებნა.

1909 წელს 26 წლის გრიგოლ კობახიძე ნიუ-იორკში ჩადის. იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ იყვნენ ქართველები, მათ შორის რაკველები, რომელთა ერთ ნა-

წილს ჩვეული ხელობისთვის, მეპურეობისთვის მოეკიდა ხელი. გრიგოლი სწორედ მათი დახმარებით მოეწყო ამერიკაში. ცხრა წელიწადს ცოლთან ერთად კომპანია „ჯენერალ ელექტრიკში“ მუშაობდა და თავისი საქმის დასაწყებად ფულს აგროვებდა. დამატებითი შემოსავალი მისთვის ამჯერად გამოგონებებს მოჰქონდა, რამდენიმე პატენტით მიიღო ავტომატურ საწერ-კალმებზე. მცირე ბიზნესიც წამოიწყო. კალმებითა და სხვა წვრილმანი საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობით იმდენი ფული დააგროვა, რომ 1919 წელს დიდი ქარხნის გამართვა შეძლო მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონთან, ქალაქ ეტლბოროში. 1922 წელს მისი წარმოება ფეხზე დადგა. სულ მალე მისმა The Coby Glass Products Company-მ ამერიკის აღმოსავლეთის შტატებში სახელიც გაითქვა და ნდობაც მოიპოვა.

პირველ სარეკლამო ფურცლებზე აღბეჭდილია ფირმის პროდუქცია — სამედიცინო, ქიმიური, ლაბორატორიული და სხვა 45 სახის ნაირგვარი ფორმის ნაწარმი, ზომა-წონის მაჩვენებლებით. უშვებდა აგრეთვე ფანჯრის მინებს, ოთახის გასატეხრ ფილებსა და ყიდდა ნელდ მასალას. კობის პროდუქცია ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. იგი მუდმივად აუმაჯობესებდა ტექნოლოგიას. გრიგოლი 300-მდე მუშისა და ათეულობით ტექნიკოს-ოსტატისთვის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას ცდილობდა. მილიონერის სტატუსის მიუხედავად, უსაქმოდ არასოდეს მჯდარა — მისი 60-ზე მეტი პატენტით წარმოებას პრესტიჟს მატებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობას აღტაცებით შეეგება. სამშობლოში დაბრუნება და ქვეყნის სამსახურში ჩადგომა სურდა, მაგრამ 1918-21 წლებში მისი ბიზნესი ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ოკუპაციის შემდეგაც ცდილობდა სამშობლოს დახმარებას და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხელისუფლებასთან მინის დიდი ქარხნის მშენებლობის თაობაზე. „ნეპი“ ნების რთავდა და ხელს უწყობდა უცხოურ კონცესიებს, ამიტომ შესთავაზეს კაპიტალის ჩადება, მაგრამ გრიგოლი ამას არ დათანხმდა — მას თვითონვე სურდა მშენებლობისთვის ეხელმძღვანელა, რადგან ბოლშევიკებს ფულს ვერ ანდობდა. უარის შემდეგ გადაწყვიტა, თავის სოფელს დახმარებოდა და თანხმობაც მიიღო. 1925 წელს სამშობლოში ჩამოვიდა, ფეხით გაიარა ის გზა, რომელიც პატარა ბიჭმა განვლო 33 წლის წინ. სახლი აუშენა იმ ოჯახს, ვინც მაშინ ბავშვს დამე გაათევეინა და მოუარა, დედას კი ბავშვობაში შეპირებული 10.000 მანეთის საჩუქრები ჩაუტანა. მეორედ 1928 წელს ეწვია საქართველოს. ოთხ წელიწადში ბევრი რამ გაუკეთა თავის კუთხეს. დაეხმარა მრავალ გაჭირვებულ ოჯახს, სოფელ თხმორს აუშენა სკოლა, აფთიაქი, მდინარე შარეულაზე გადო ორი ხიდი, შეაკეთა ეკლესია და მღვდლის სახლი, გახსნა სავაჭრობები, მოამარაგა საქონლით და მოაგვარა მრავალი



გრიგოლი მეუღლესთან ერთად ეტლბოროში თავიანთი სახლის წინ





ჯორჯ კობის კომპანიის მიერ გამოშვებული სახალწლო სათამაშოები

წვრილმანი პრობლემა. მასთან დახმარების სათხოვნელად არა მარტო რაჭისა და იმერეთის სოფლებიდან, არამედ ქუთაისიდანაც მიდიოდნენ. ამ დროს ძმისშვილი ჩავიდა თბილისიდან და შეატყობინა, რომ დაჭერას უპირებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ გაემგზავრა სოფლიდან და ქვეყნიდანაც.

1929-1933 წლების „დიდ დებრესიად“ მონათლული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ჯორჯ კობისაც შეეხო. მისი წარმოებაც გაკოტრდა. მისმა კომპანიონმა იუჯინ (ევგენი) იგნატიევმა თავი მოიკლა. ჯორჯ კობი მართალია მილიონებს „დაემშვიდობა“, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. იმდენი შეძლება კიდევ ჰქონდა, რომ გაჭირვებულ ქართველებს დახმარებოდა არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და საქართველოშიც. ჰყავდა სტიპენდიატებიც, მათ შორის ცნობილი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. უმოქმედობას ვერ ეგუებოდა, ამიტომ თავის სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა და ბევრ რამეს თავისივე ხელით აკეთებდა. გაიხსენა საწერ-კალმებისა და საკანცელარიო ნივთების დამზადების ხელობა და მუშტარიც გაიჩინა. მისი წარმოების გასაფართოებლად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გიორგი მაჩაბ-



სუნამო „პრინც მანაბელისთვის“ მინის ცნობილი ფლაკონი სწორედ ჯორჯ კობიმ შექმნა

ლის შეკვეთა — სუნამო „საქართველოს დედოფლის“ ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის უმშვენიერესი ფლაკონის დამზადება. აგრეთვე ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილის თვითმფრინავისთვის ზემტკიცე მინის კაბინის დამზადება, რომელიც აფრენის შემდეგ ფიუჯელაჟში ჩადიოდა.

1941 წლის 7 დეკემბერს ამერიკის შვერტბული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაება. გრიგოლმა ამერიკის მთავრობას ფინანსური დახმარება სთხოვა საომარი შეკვეთებისთვის მინის წარმოების აღსადგენად. როცა მისი საბუთები და მონაცემები შეისწავლეს, დაუყოვნებლივ მიიღო ლიცენზია და თანხა — 2 მილიონი დოლარი. მოკლე ხანში მოაწყო წარმოება და გახსნა ქარხანა მასაჩუსეტსის მოსაზღვრე როდ-აილენდის შტატის ქალაქ პატაკეტში. შეიძინა ოთხი პოლანდიური დანადგარი, დაიქირავა 300-მდე მუშა და დაიწყო ქიმიური და სამედიცინო ლაბორატორიების, საველე პოსპიტალებისა და რიგითი საავადმყოფოებისთვის აუცილებელი პროდუქციის დამზადება. მალე The Coby Glass Products Company კვლავ მძლავრ საწარმოდ იქცა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ახალგამოგონებულ მინის ამპულაებზე ინექციებისთვის. მისი ნაწარმი მიეწოდებოდა როგორც კანადას, ასევე მოკავშირეებსაც.

ომის შემდეგ წარმოება მშვიდობიან რეღსებზე გადაიყვანა და სიახლე დანერგა — ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლებში, ე.წ. Babel light-ში, ქსელში ჩართვის შემდეგ ფერადი ბუშტები იწყებდნენ მოძრაობას. მანამდე ნაძვის ხეებს ნამდვილი სანთლებით რთავდნენ, რაც ხშირად ხანძარს იწვევდა. მოგვიანებით სანთლებს ფერადი მინისგან ამზადებდა და ქიმიური სითხეც საჭირო აღარ იყო. ფერადი მინისგან სხვადასხვა ფორმის სათამაშოების დამზადება დაიწყო და „ორნამენტები“ უწოდა. ქართულ დროშისფერ ყუთებში ჩაწყობილ სათამაშოებს ეწერა: „კობი. მინის საშობაო ხის ორნამენტები. კობი — ეს შობაა“. სათამაშოები კანადაში გადიოდა, ამიტომ წარწერა ფრანგულადაც კეთდებოდა.

სამწუხაროდ, გრიგოლ კობახიძეს შვილი არ ჰყავდა. თავის დროზე სურდა, ძმისშვილები ან ახლო ნათესავები ჩაეყვანა ამერიკაში და წარმოებაში ჩაება, მაგრამ ვერ შეძლო და საბჭოთა კავშირში დაწყებული რეპრესიების გამო მათთან ურთიერთობა სულაც შეწყვიტა, რათა ისედაც დაზარალებულ ოჯახს მის



ჯორჯ კობის 1958 წლის დათარიღებული წერილი

გამო ახალი რეპრესიები აღარ დასტეხოდა თავს. რაკი ქართველთაგან ვერავინ დააინტერესა წარმოებით, გრიგოლმა კომპანიონებად იტალიური წარმოშობის ძმები ჯიმ და ჯული პაგლისები აიყვანა, რომლებიც გახდნენ კიდევ მისი საქმის გამგრძელებლები.

84 წლის გრიგოლ კობახიძე გარდაიცვალა 1967 წელს. პაგლისებს დაუიწყებისთვის არ მიუციათ ჯორჯ კობის ღვაწლი და არც სახელი შეუცვლიათ წარმოებისათვის. მისი ბიოგრაფის, ემიგრანტ გივი კობახიძის ცნობით, 1980-იან წლებში მათ კედელზე ეკიდათ მინის ქარხნისა და წარმოების დამფუძნებლის, ქართველი მრეწველის გრიგოლ კობახიძის დიდი ფოტო. კობის მინის ორნამენტები დღემდე იყიდება ინტერნეტმარაზაში. მათ შორის ორიგინალური ფორმის ნაძვის ხის კენწეროს მოსართავი — შექმნილი ჯორჯ კობის — გრიგოლ კობახიძის მიერ.

რუსულად დაუბვილი

ესროლა თუ არა ჰარვი ოსვალდმა პრეზიდენტ კენედის?

საქმე თითქოს მარტივი იყო — დალასის პოლიციას ოსვალდის წინააღმდეგ უამრავი სამხილი ჰქონდა. ეჭვი უფრო გაძლიერდა, როცა პატიმარი ლი ჰარვი ოსვალდი, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არც ჰყავდათ დაკითხული, ჩაცხრილეს. რაც უფრო მეტად ეფინებოდა ნათელი ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს, მით მეტად იზრდებოდა უნდობლობა გაურკვევლებული ოფიციალური ვერსიის მიმართ. ორმოცი წლის შემდეგაც შეთქმულების შესახებ ახალ-ახალი თეორიები ჩნდება.

პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის მკვლელობა 1963 წლის 22 ნოემბერს დალასში, დილი-პლაზაზე, თანამედროვეობის ერთ-ერთი იდუმალეობით მოცული ისტორიაა. მართალია, ლი ჰარვი ოსვალდი დანაშაულის ჩადენიდან 90 წუთში დააპატიმრეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, კენედის მკვლელობა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთია ყველაზე ძნელად გასახსნელ საქმეთაგან.

თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ყველა ფაქტი საკმარისად ნათელი იყო.

ნოემბრის იმ მზიან დილას პრეზიდენტის თავახდილ ლიმუზინს მოტოციკლეტისტთა კორტეჟი დილი-პლაზას გავლით მიუძღვებოდა და დალასის სავაჭრო ცენტრისკენ, სადაც სადღესასწაულო ბანკეტი უნდა გამართულიყო. კორტეჟი ნელა მიემართებოდა. ლიმუზინის უკანა სავარძელზე პრეზიდენტი კენედი და მისი მეუღლე ჟაკლინა ისხდნენ, წინ კი ტეხასის გუბერნატორი ჯონ კონელი და მისი მეუღლე ნელი. ქუჩის ორივე მხარეს შეკრებილი ხალხი პრეზიდენტს ესალმებოდა. ნელი კონელი კენედის მიუბრუნდა: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ დალასში ძალიან უყვარხართ!“

როცა ლიმუზინმა ჰიუსტონ-სტრიტზე შეუხვია და იქვე მდებარე სკოლის ბიბლიოთეკის საცაგს ჩაუარა, რამდენიმე გასროლა გაისმა.





*პრეზიდენტ კენედის ესკორტი
დალასის ქუჩებში*


პრეზიდენტმა ყელზე იტაცა ხელი და მარცხნივ, მეუღლისკენ გადავარდა. გუბერნატორი კონელიც დაიჭრა და გონება დაკარგა. როცა საიდუმლო სამსახურის აგენტი პრეზიდენტსა და პირველ ლედის გადაეფარა (ეს მხოლოდ მეორე გასროლის შემდეგ მოახერხა), ლიმუზინმა სიჩქარეს უმატა და პრეზიდენტი პარკლენდის მემორიალურ ჰოსპიტალში გააქანეს — ჰოსპიტალში მიყვანიდან ნახევარ საათში ჯონ ფიცჯერალდ კენედი გარდაიცვალა.

ამასობაში დალასის პოლიციის ოფიცრებ-

მა დაიწყეს თვითმხილველთა დაკითხვა და წიგნსაცავის დათვალიერება: ნახეს ფანჯარა, რომელიც დილი-პლასას გადაჰყურებს და საიდანაც მკვლეელი ისროდა, იპოვეს სამი მასრა და ჩანთა. იქვე, კიბესთან ახლოს, ყუთების უკან კი ჩამალული იყო 6,5 მმ-იანი „კარკანოს“ კარაბინი. სასამართლო ექსპერტიზამ თითებისა და ხელისგულის ანაბეჭდები აღმოაჩინა — ყველა მათგანი ლი ჰარვი ოსვალდის ანაბეჭდებს დაემთხვა.

ნახევარსაათიანი ძებნის შემდეგ ლი ჰარვი ოსვალდი დააპატიმრეს, ოღონდ თავდაპირ-

ამ უნიკალურ ფოტოზე აღბეჭდილია პრეზიდენტ კენედიზე განზორციელებული თავდასხმა — პირველი ტყვიის მოხვედრის მომენტი





იარაღი, რომლითაც მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი



ლი ჰარვი ოსვალდი საკუთარი სახლის ეზოში იმ იარაღით ზელოში, რომლითაც კენედის ესროლა

ველად პოლიციის ოფიცერ ჯ. დ. ტიპიტის მკვლელობისათვის. ოფიცერმა პრეზიდენტის მკვლელობიდან სულ ცოტა ხანში ქუჩაში მიმავალი ოსვალდი შემთხვევით გააჩერა.

საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერთნენ გამოძიებლები. ჯონ ედგარ ჰუვერმა, გამოძიების ფედერალური ბიუროს გენერალურმა დირექტორმა, იუსტიციის მინისტრ რობერტ კენედის, პრეზიდენტის ძმას, კონფიდენციალურ სატელეფონო საუბარში მიანიშნა, რომ მკვლელი იყო ყოფილი მეზღვაური, საბჭოთა კავშირის მომხრე, რომელსაც ცოლად რუსი ქალი ჰყავდა. ამასთან, ფიდელ კასტროს თავგამოდებული ქომაგიც გახლდათ. 16 საათზე თეთრი სახლის კომუნიკაციის ცენტრის სიტუაციათა ოთახიდან (კრიზისული სიტუაციების დროს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩვეელი სწორედ ამ ოთახში მუშაობს და პრეზიდენტს უკანასკნელ ცნობებს აწვდის) ახალ ფიცადებულ პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს შეატყობინეს, რომ მკვლელობა ერთმა პირმა ჩაიდინა და შეთქმულების ვერსია გამოირიცხა.

მოგვიანებით მოვლენები კიდევ უფრო უცნაურად განვითარდა. მკვლელობის მეორე დღეს, დილით, როცა ლი ჰარვი ოსვალდი პოლიციის შტაბბინიდან საპატიმროში გადასაყვანად გამოჰყავდათ, ის დაცხრილეს. მკვლელი ღამის კლუბის მეპატრონე ჯეკ რუბი აღმოჩნდა.

მკვლელობიდან ერთ კვირაში პრეზიდენტმა ჯონსონმა შექმნა კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა, რა მოხდა სინამდვილეში. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა უზენაესი სამართლოს თავმჯდომარე ერლი უორენი. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ კომისიის დავალებით დაჰკითხა 25 ათასი ადამიანი, ხო-

ლო საიდუმლო სამსახურმა — 1550. თავად კომისიამ 552 მოწმეს ჩამოართვა ჩვენება, მათგან 94 ადამიანი უკვე დაკითხული იყო. ათი თვის შემდეგ კომისიამ ვრცელი დასკვნა წარმოადგინა (ის 10 მილიონი სიტყვისგან შედგებოდა) პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის შესახებ. მასში დაბეჯითებით იყო ნათქვამი, რომ პრეზიდენტი მოკლა ლი ჰარვი ოსვალდმა, რომელიც მართო მოქმედება და თანამზრახველები არ ჰყოლია.

ოსვალდიც ერთმა კაცმა მოკლა — ჯეკ რუბიმ, რომელიც არასოდეს შეხვედრია ოსვალდს, არც იცნობდნენ ერთმანეთს. ოსვალდმა სამჯერ ესროლა პრეზიდენტს: სავარაუდოდ, პირველი ააცილა, მეორე ტყვია პრეზიდენტს ყელის არეში მოხვდა, გაიარა ზურგის, გულმკერდის არე და კენედის წინ მჯდომარე გუბერნატორი კონელიც დაჭრა. მესამე და ბოლო გასროლამ პრეზიდენტს ბოლო მოუღო, მას ტყვია თავის მარჯვენა მხარეს მოხვდა. მოხსენების თანახმად, წიგნსაცავის მექექსე სართულის ფანჯრიდან სულ რვა წამში სამჯერ ისროლეს.

ყველაფერი თითქოს სარწმუნო იყო, მაგ-


რამ იყო კი ეს სიმართლე? ჯერ კიდევ უორენის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე საზოგადოებას უამრავი კითხვა გაუჩნდა. ოსვალდზე უკვე აღარ იყო ლაპარაკი. ამაზე ჯეკ რუბიმ იზრუნა. როგორც მან სასამართლო პროცესზე განაცხადა, შური იძია პრეზიდენტის მოკვლისათვის და ჟაკლინ კენედის თავიდან ააცილა ოსვალდის სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლა, მაგრამ იყო კი ეს დასაჯებელი? უორენის კომისიის დასკვნის კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ კომისიის მონაცემები ფაქტებს არ ემთხვეოდა ან ბევრსაც გვერდს უვლიდა.

რა ვუყოთ იმ მოწმის ჩვენებას, რომელიც აცხადებდა, რომ გასროლის ხმა გაიგონა გორაკიდან, რომელიც დილი-პლაზას გადაჰყურებს? თუ ასეა, სულ ცოტა, ორი მკვლეელი მაინც უნდა ყოფილიყო: ერთი გორაკზე და მეორე — წიგნსაცავში.

კომისიის დასკვნა უგულებელყოფდა ამ შესაძლებლობას.

რა უნდა ითქვას კომისიის დასკვნაში მოყვანილ ფაქტზე, რომლის მიხედვითაც, გუბერნატორი კონელი და პრეზიდენტი ერთი და იმა-

პრეზიდენტს ერთმა ტყვიამ ყელის არეში გაუარა, ხოლო სასიკვდილო მეორე ტყვია აღმოჩნდა, რომელიც მას თავის მარჯვენა მხარეს მოხვდა





1. სკოლის ბიბლიოთეკა, რომლის მეექვსე სართულის ფანჯრიდან ოსვალდმა ესროლა აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის; 2. ადგილი, სადაც გასროლის მომენტში პრეზიდენტის ავტომობილი იმყოფებოდა; 3. საპრეზიდენტო ესკორტის მოძრაობის ტრაექტორია; 4. ფანჯარა, საიდანაც ისროლა ჰარვი ოსვალდმა

ვე ტყვიით დაიჭრენ? დასკვნის მიხედვით, ტყვიამ გაიარა პრეზიდენტის ყელში, შემდეგ გულმკერდის არეში და გარეთ გამოვარდნილმა გუბერნატორი კონელი ზურგში დაჭრა. შემდეგ ტყვია გამოვიდა მისი გულმკერდის მარჯვენა მხრიდან, შებრუნდა კვლავ გუბერნატორის სხეულში, გაუგლიჯა წინამხარი, გამოვიდა მაჯიდან, გაიარა ბარძაყის არე და ბოლოს ჰოსპიტლის საკაცეზე იპოვეს. ტყვიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის დაზიანებული არ იყო. როგორ შეიძლება ეს ყველაფერი ერთ ტყვიას გაეკეთებინა? ნაკლებსარწმუნოა, ტყვიას ამ ტრაექტორიით ემოდრავა. ამიტომაც უორენის კომისიის კრიტიკოსებმა ტყვიას ირონიულად „ჯადოსნური ტყვია“ უწოდეს.

რა შეიძლება ითქვას იმ რამდენიმეწამიან ფილმზე, რომელიც ხალხში მდგომმა აბრაამ ზაპრუდერმა გადაიღო? ფირზე სწორედ მკვლელობის მომენტია ასახული. როგორც ანალიზმა დაადასტურა, სამივე გასროლა ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ ეს მხოლოდ ერთი იარაღით იყო შესაძლებელი.

დასასრულ, უორენის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებიდან კარგა ხნის შემდეგ ახალი სამხილი გამოჩნდა — პოლიციის აუდიოჩანაწერი, რომელშიც დაფიქსირებული იყო სროლის ხმა. როგორც აკუსტიკურმა ექსპერტი-

ზამ დაადასტურა, ისროდნენ არა მარტო პრეზიდენტის ზურგს უკან, წიგნსაცავის მხრიდან, არამედ წინიდანაც — გორაკიდან. გამოდის, სულ ცოტა, ორი მსროლელი მოქმედებდა. აუდიოჩანაწერით დამტკიცდა, რომ სულ ოთხჯერ გაისროლეს, მესამე გასროლა სწორედ გორაკიდან გაისმა.

რა მოტივი უნდა ჰქონოდა ლი ჰარვი ოსვალდს პრეზიდენტის მოსაკლავად? უორენის კომისიამ ოსვალდს „მარტოხელა“ და „უკმაყოფილო“ უწოდა. მას მართლაც ჰქონდა კომუნისტური წარსული: კითხულობდა მარქსისტულ ლიტერატურას, ორ წელიწადზე მეტხანს ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში და კუბელ რევოლუციონერებთანაც ჰქონდა კავშირი.

თუ პრეზიდენტის მკვლელობას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა და ოსვალდი მემარცხენე ფანატიკოსი იყო, რასაც ადასტურებდა კიდევ, მაშინ მკვლელობაზე პასუხისმგებლობა უნდა აეღო, მაგრამ ოსვალდი ამტკიცებდა, რომ უდანაშაულოა და თავს „სიცრუის მსხვერპლს“ უწოდებდა. როცა ჯვკ რუბიმ ესროლა, ოსვალდმა რეპორტიორებს დაუყვირა: „მე მსხვერპლი ვარ!“

არსებობს ბევრი კითხვა, რომლებსაც, სკეპტიკოსების აზრით, პასუხი არასოდეს გაცემა. წიგნსაცავის თანამშრომლებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ოსვალდი პირველ

სართულზე, საწყობში იჯდა და სადილობდა. თუ მან გაისროლა, ექნებოდა კი იმის დრო, იარაღი გადაეძალა, მეექვსე სართულიდან ჩამოერბინა და გარეთ გამოსულიყო, სადაც დალასის პოლიციის ოფიცრებმა დაინახეს კიდეც?

ოსვალდის სხეულზე დენთის კვალის აღმოსაჩენად ჩატარებულმა ქიმიურმა ანალიზმა უარყოფითი პასუხი აჩვენა. რატომ?

როცა სულ ადვილად შეიძლებოდა კარაბინისა და პისტოლეტის მაღაზიაში ყიდვა, კაცს, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰქონდა განზრახული, განა შეიძლებოდა იარაღი ფოსტით შეეძინა და შემდეგ თავისი სააბონენტო ყუთის მისამართზე გაეგზავნა? ეს ყველაფერი ბევრს აფიქრებინებდა, რომ პრეზიდენტის მკვლელობა შეთქმულების შედეგი იყო. წლების განმავლობაში ლაპარაკი იყო შეთქმულთა ხუთ ჯგუფზე. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, მკვლელობის ორგანიზატორი იყო აშშ-ის მთავრობის მემარჯვენე ფრთა, რომელშიც მოისაზრებოდნენ ცენტრალური სადაზვერუო სამმართველო და ჯონ ედგარ ჰუვერი. ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება გამოიწვია კენედის გადაწყვეტილებამ სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ-ის სამხედრო მრჩეველების გამოწვევის შესახებ. გარდა ამისა, ასახელებდნენ მემარჯვენე დისიდენტებს, კუბელ ემიგრანტებსა და მათ მხარდამჭერებს. არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებანიც, რომელთა მიხედვით მკვლელობა ჩაიდინეს კასტროს მომხრე მემარცხენეებმა. ბოლო თეორიის მიხედვით კი ეს იყო მაფიის ორგანიზებული მკვლელობა, რომელმაც შური იძია პრეზიდენტზე იმის გამო, რომ მან ბრძოლა გამოუცხადა ორგანიზებულ დანაშაულს აშშ-ში.

არ არსებობს არც ერთი მყარი არგუმენტი, რომელიც შეთქმულების შესახებ თეორიებს გაამყარებდა. მეტიც, პრეზიდენტის მკვლელობამდე დალასში რამდენიმე უცნაური ფაქტი მოხდა. ერთი თეორიის მიხედვით, პრეზიდენტის მკვლელობამდე ორი თვით ადრე ოსვალდის მსგავსი პირი, ოლონდ სხვა გვარისა (ჰეიდლი), მეტად საეჭვო ქმედებებში შენიშნეს. მან სცენა გაითამაშა იარაღის მაღაზიაში: ჯერ „კარკანოს“ კარაბინით დაცხრილა უცნობი ქალის რაღაც ნივთი, მასრები იქვე დატოვა, ცოტა ხანს სპორტულ ტირთან იტრიალა, მერე ხელოსანს იარაღი შეაკეთებინა და ბოლოს, გაიკითხ-გამოიკითხა, ახლომახლო თუ იყო ისეთი სასტუმრო, „რომლის ფანჯრე-

ბიდანაც ლამაზი ხედი იშლებოდა“. დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ როცა ეს ამბები ხდებოდა, ნამდვილი ლი ჰარვი ოსვალდი სულ სხვაგან იყო. ეტყობა, ის ვიღაც ოსვალდზე ეჭვის მისატანად სამხილებს ამზადებდა.

როგორც უნდა ყოფილიყო სიმართლე, ოსვალდის საქმე კრიტიკას ვერ უძლებდა. თუმცა მის ბრალმდებლებს ჰქონდათ უამრავი მასალა, რომელიც ნაფიც მსაჯულებს პირდაპირ ლი ჰარვი ოსვალდზე აღუძრავდა ეჭვს. შესაძლოა, როგორც ერთი ამერიკელი მწერალი ფიქრობს, ოსვალდი მკვლელობაში გარეული არ ყოფილა, ის „საიდუმლო სამსახურის ვერაგი აგენტების, კუბელი შეთქმულებისა და ბოროტმოქმედთა ზაფანგში გაება“.

„მარტოხელა მკვლელის“ ვერსიით გამოძიებისთვის თავიდანვე რომ არ აერიათ თავგზა, პოლიცია უთუოდ იპოვიდა ნამდვილ მკვლელს (ან მკვლელებს), არადა, რაც დრო გადის, მით ნაკლებია შანსი, რომ კენედის მკვლელობის საქმეს ფარდა აეხდება. ჯერ კიდევ იმაზე ფიქრობენ, ვინ შეუკვეთა მკვლელობა ან რა მოტივით.

მოზადებულია National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანის“ მიხედვით



დამის კლუბის შეპატრონე ჯეკი რობი კლავს ლი ჰარვი ოსვალდს. გამოძიების ფედერალურ ბიუროს უცნობმა პირმა შეატყობინა, რომ ოსვალდს ციხეში გადაყვანისას მოკლავდნენ



უცნობი ოსამა ბენ ლადენი...

2 მაისს მთელი დედამიწა მოიარა ამბავმა, რომ მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი, ოსამა ბენ ლადენი ამერიკელ „ზღვის ლომების“ სპეცოპერაციისას ლიკვიდირებულია პაკისტანის ქალაქ აბუტაბადში. ამის შესახებ მსოფლიოს თავადვე აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

წლების განმავლობაში ოსამა ბენ ლადენს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში განხორციელებული ტერაქტების უმრავლესობა მიეწერებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრთან საერთოდ არ ჰქონია კავშირი. იმასაც ამბობდნენ, რომ ბენ ლადენი არარსებული პიროვნებაა, რომელიც ამერიკელებმა გამოიგონეს თავისი მიზნებისთვის. 2 მაისის სპეცოპერაციის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება მოვუთხროთ, ვინ იყო სინამდვილეში ოსამა ბენ ლადენი.

ოსამა ბინ მუჰამად ბინ ავად ბენ ლადენი საუდის არაბეთის დედაქალაქ არ-რიადში დაიბადა. 1998 წელს მიცემულ ინტერვიუში მან

თავისი დაბადების თარიღად 1957 წლის 10 მარტი დაასახელა. მისი მამა, მოჰამედ ბინ ავად ბენ ლადენი მდიდარი ბიზნესმენი და საუდების სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირი იყო. ის 1930 წელს გადავიდა იემენიდან საუდის არაბეთში. მამის ბევრი არაფერი გააჩნდა, სულ მალე კი სამეფოში უმსხვილესი სამშენებლო კომპანიის მფლობელი გახდა. მისი კომპანია იმდენად ავტორიტეტული იყო, რომ 1969 წელს, ხანძრის შემდეგ ლეგენდარული ალ-აქსას მეჩეთის რეკონსტრუქცია ანდეს. დედა, ჰამიდა ალ-ატასი (ალია ხანემი), წარმოშობით სირიელი ქალი, მამამისის მეათე ცოლი იყო. მათი ოჯახი ოსამას დაბადე-

ბიდან მალევე დაინგრა და ჰამიდა მეორედ გათხოვდა, მოჰამედ ალ ატასზე. ოსამა მეშვიდე ვაჟი იყო მამის ორმოცდაათამდე შვილს შორის.

ოსამა ვაჰაბიტად იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, მან განათლება პრესტიჟულ სეკულარულ სკოლაში მიიღო, ხოლო შემდეგ მეფე აბდულაზიზის უნივერსიტეტში ეუფლებოდა ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებას. ზოგიერთი ცნობით, უნივერსიტეტი სამოქალაქო ინჟინერიის განხრით დაასრულა, ზოგი კი ამტკიცებს, რომ 1981 წელს სახელმწიფო მართვაში დაიცვა ხარისხი. იმასაც ამბობენ, რომ ბენ ლადენმა სწავლა სულაც მესამე წელს მიატოვა.

უნივერსიტეტში დაინტერესებული იყო ყურანითა და ჯიჰადით. იტაცებდა პოეზია და სამხედრო საქმე. აიდეალებდა მარშალ მონტგომერისა და შარლ დე გოლს. უყვარდა ფეხბურთი. თვითონაც თამაშობდა ცენტრალურ თვდამსხმელად და ლონდონის „არსენალს“ გულშემატკივრობდა. მიუხედავად არაერთი ცნობისა, ბენ ლადენის ბავშვობისა და სტუდენტობის პერიოდი ბურუსითაა მოცული.

პირველად 17 წლისამ იქორწინა თავის ბიძაშვილზე, რომელიც მას 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაეყარა. ნაიფა ხანუმის გარდა მას კიდევ ხუთი ცოლი ჰყავდა, რომელთაგან ორი გაუჩინარდა და მათი ბედი დღემდე უცნობია. ასევე უცნობია მისი შვილების ზუსტი რაოდენობაც.

გამომიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ოსამა ბენ ლადენი 195-198 სმ სიმაღლისა იყო და 75 კილოგრამს იწონიდა. ეცვა უბრალოდ, ისე როგორც მის მეზობლებს და არასოდეს იზიდავდა ფუფუნებაში ცხოვრება.

მსოფლიოს მოსახლეობის თვალში ბენ ლადენი ყოველთვის ავღანეთთან ასოცირდებოდა. საბჭოთა ინტერვენციიდან ორიოდე კვირაში ოსამა პაკისტანში ჩავიდა. მას ორი მიზანი ჰქონდა: ენახა ლტოლვილთა ბანაკები და ავღანური წინააღმდეგობის ლიდერებს შეხვედროდა. მათ შორის იყვნენ ბურჰანუდინ რაბანი, ავღანური წინააღმდეგობის ლიდერი და მოგვიანებით ავღანეთის მეთერთმეტე პრეზიდენტი, ასევე უსტად აბდულ რაბ რასულ საიაფი. ისინი იყვნენ პირველი მოჯაჰედები, რომელთა დაჯგუფებებიც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უქმნიდნენ საბჭოთა ჯარებს. ოსამა მალევე დაბრუნდა სამშობლოში, რათა ავღანური წინააღმდეგობისათვის ფინანსები



ბენ ლადენი, 1990-იანი წლების დასაწყისში

მოეძიებინა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ იყო პაკისტანში, ავღანეთის საზღვარი 1982 წლამდე არ გადაუკვეთავს. აქედან მოყოლებული, მონაწილეობდა საომარ ოპერაციებშიც, თუმცა არც ერთი ორგანიზებული დაჯგუფების წევრი არ ყოფილა. ცდილობდა, ავღანელთა დასახმარებლად რაც შეიძლება მეტი არაბი მოეზიდა. 80-იანი წლების დასაწყისში პალესტინელ აბდალა აზაზთან („მუსლიმანური სამოს“ წევრი) შექმნა „მაკალ-აკ-



აბდულ რასულ საიაფი (მარცხნივ)



მოჯაჰედები ავღანეთში რუსული წარმოების იარაღით. 1987 წ.

ჰადამატი“ და დაკავებული იყო „ბოვეიკების“ გადაყვანითა და ფულის გადარიცხვით ავღანური წინააღმდეგობისათვის. ამ ბიურომ გადაბირების ცენტრები გახსნა 50 ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, პაკისტანში, და ხალხს საბჭოთა კავშირთან ბრძოლისთვის აგზავნიდა. ჰქონდა „ბოვეიკთა“ მოშადების ბანაკები ავღანეთსა და პაკისტანში. რამდენიმე წყაროს ინფორმაციით, ამ პერიოდში ბენ ლადენი აშშ-ის სპეცსამსახურების დახმარებითაც სარგებლობდა. 1984 წელს ბენ ლადენმა ფეშავარში სასტუმრო გახსნა, რომელიც ავღანეთსა და სახმარებლად წამოსულ არაბთა პირველ თავშესაფრად იქცა. ამერიკის ცენტრალური სადაზვერუო სამსახურის წარმომადგენლები ამ სასტუმროს ხშირი სტუმრები იყვნენ.

1986 წელს ბენ ლადენმა ავღანეთში შვიდი ბანაკი მოაწყო და გადაწყვიტა, საკუთარი სამხედრო ფორმირება ჩამოეყალიბებინა. გადამდგარი ეგვიპტელი და სირიელი ოფიცრებისგან დაკომპლექტებული რაზმით გამართა ბენ ლადენმა თავისი პირველი ბრძოლა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბაქტრიის ერთ-ერთ პა-

ტარა სოფელთან. 1989 წლამდე მისმა რაზმებმა ხუთი დიდი და ასობით მცირე ბრძოლა გადაიტანეს. 1984-86 წლებში ის უკვე ავღანეთში ცხოვრობდა. წელიწადში მხოლოდ 2-3 თვით ბრუნდებოდა საუდის არაბეთში, ისიც ფინანსების მოსაძიებლად. მისი ბანაკები ავღანეთის ტერიტორიაზე ყველაზე კარგად აღჭურვილი და კომფორტული იყო. თუმცა წლების განმავლობაში საუდის არაბეთში სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდებოდა მისი ოჯახის წევრების გაქრობით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბენ ლადენმა ორგანიზებული ქსელის შექმნა გადაწყვიტა. 1988 წლის 11 აგვისტოს შეიქმნა „ალ-ყაიდა“ – რაც ქართულად ბანაკს, საფუძველს, პრინციპს ნიშნავს. ორგანიზაციის საქმიანობა პირველ ეტაპზე საჯარო იყო. ორგანიზაციას დონორობას ბენ ლადენი თავად უწევდა. მისი ოჯახის ფინანსური შესაძლებლობები, რომელიც მამის დატოვებული დიდი სამშენებლო კომპანიისა და რამდენიმე შვილობილი კომპანიის შემოსავლისაგან შედგებოდა, სოლიდური იყო. ბენ ლადენის მიერ 1990-იან წლებში ალ-ყაიდასთვის გაღებული მისი პირადი დახმარება 300 მილიონ დოლარს აღემატებოდა. გარდა ამისა, იყო არაბ ბიზნესმენთა შემოწირულობებიც, რომელთა ნაწილმაც ალ-ყაიდასთვის ფინანსური დახმარება ბენ ლადენის მისი საუდების სამეფო ოჯახთან დაპირისპირების შემდეგ შეწყვიტა.

ავღანეთის ომის დასრულების შემდეგ ბენ ლადენი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა პრობლემები შეექმნა სამეფო ოჯახის მხრიდან. ამის მიზეზი კი იყო მისი განზრახვა, გაეხსნა ჯიჰადის ფრონტი სამხრეთ იემენში. ამავე დროს ოსამა ხამადლა აკრიტიკებდა სადამ ჰუსეინს, კუვეითში შეჭრის გამო. ამის გამოც ბენ ლადენს საჯარო გამოხვედები აუკრძალეს, ვინაიდან სამეფო ოჯახს ერავის მაშინდელ მმართველთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ამ ეტაპზე ბენ ლადენის ქმედებები ჯერ კიდევ არ იყო საუდების საწინააღმდეგო. მან წერილიც კი მისწერა მეფეს და ჰუსეინის გვემების შესახებ გააფრთხილა. ცოტა ხანში კუვეითის ოპერაცია მართლაც დაიწყო და მანაც აქტიურად განაგრძო წერილების გაგზავნა სამეფო ოჯახის წევრებთან. სთავაზობდა სხვადასხვა გეგმასა და სამხედრო დახმარებასაც, მაგრამ მალე მოხდა ის, რამაც ოსამას ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მისთვის შოკის მომგვრელი იყო ცნობა, რომ კუვეითის გათავისუფლების ოპერაციას ამერიკელი-

ბი წარმართავდნენ. სწორედ მაშინ დაიწყო იმ მეომართა შეკრება, ვინც მასთან ერთად ავღანეთში იბრძოდა, რამაც სამეფო ოჯახის უკმაყოფილება გამოიწვია. საუდები ცდილობდნენ ბენ ლადენი მიეხვედრებინათ, ხელი აეღო თავის განზრახვაზე. საუდის არაბეთის ეროვნულმა გვარდიამ მისი ფერმაც კი დაარბია, როცა ოსამა იქ არ იმყოფებოდა. ამის გამო მან საყვედურით საესე წერილი გაუგზავნა პრინც აბდულას, რომელმაც ინციდენტისთვის ბოდიში მოუხადა.

ბენ ლადენმა კუვეიტის ოპერაციაში მონაწილეობა ვერ მოახერხა და ქვეყანა დატოვა. ის ჯერ პაკისტანში წავიდა, შემდეგ კი კვლავ ავღანეთში, ვინაიდან პაკისტანის ხელისუფლება და დაზვერვა მჭიდროდ უკავშირდებოდა საუდის არაბეთის მმართველ ოჯახს. ოსამას ქვეყნიდან გაქცევამ დიდი პრობლემები შეუქმნა მის ძმებს, რომელთაგან ერთი შინაგან საქმეთა, ხოლო მეორე თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო საუდის არაბეთში.

1991 წელს ოსამა სუდანში გადავიდა. ამ ნაბიჯს არაფერი ჰქონდა საერთო ტერორიზმთან ან ჯიჰადთან. მას სურდა დახმარებოდა სუდანს მაშინ, როდესაც ყველამ ზურგი აქცია. იქ მან წარმატებით განახორციელა რამდენიმე მსხვილი სამშენებლო პროექტი. ფინანსების მოზიდვას კი სხვადასხვა არხით კვლავ სამშობლოდან ცდილობდა, სადაც მის ძმებს ჯერ კიდევ გააჩნდათ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. სუდანში საუდების სამეფო ოჯახის დაკვეთით მისი მოკვლაც სცადეს. მის ლიკვიდაციას არაბული დაზვერვა პაკისტანსა და ავღანეთშიც შეეცადა.

სუდანში მის ყოფნას დაემთხვა რამდენიმე ანტიამერიკული ინცინდენტი სომალისა და იემენში, რომლებიც ავღანეთში გაწვრთნილმა მეომრებმა განახორციელეს, თუმცა ამ მოვლენებთან ბენ ლადენს კავშირი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, საუდის არაბეთის მმართველობამ ეს სათავისოდ გამოიყენა და ბენ ლადენის ფინანსური აქტივები გაყინა. 1994 წელს კი მას ქვეყნის მოქალაქეობა ჩამოართვეს. ამის შემდეგ ისიც დაად დაუბრისპირდა საუდის არაბეთს და განაცხადა, რომ მისი მოქალაქეობა არაფერში სჭირდებოდა. მან ყველანაირი კავშირი გაწყვიტა თავის ძმებთანაც. დაზვერვამ რამდენჯერმე კვლავ უშედეგოდ სცადა მისი ლიკვიდაცია.

სუდანიდან ისევ ავღანეთში დაბრუნდა. ამ დროიდან მოყოლებული, ის უკვე იქცა მსოფ-

ბენ ლადენის მიერ ორგანიზებული ტერაქტების „სერიალი“

- 1992 წლის დეკემბერი. აფეთქება ქალაქ ადენის (იემენი) სასტუმროში, მიმართული იქ განთავსებულ ამერიკელ ჯარისკაცთა წინააღმდეგ. დაიღუპა ორი ავსტრალიელი ტურისტი.
- 1993 წლის თებერვალი, ნოე-იორკი. მსოფლიო საავტორო ცენტრში მომხდარ აფეთქებას 6 კაცი შეეწირა, ასობით ადამიანი დაშავდა.
- 1995 წლის ნოემბრისა და 1996 წლის ივნისის ორი ტერაქტი საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადსა და ქალაქ დახრანში, ქვეყანაში განთავსებული ამერიკული სამხედრო კონტინენტის წინააღმდეგ. ბენ ლადენის თქმით, ამით მან სათავე დაუდო ისლამური სამყაროს წმინდა ომს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. დაიღუპა დაახლოებით 30 კაცი, მათ შორის 22 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.
- 1996 წელი. საუდის არაბეთში ავტომანქანაში დამონტაჟებული ბომბის მძღვერი აფეთქების შედეგად დაინგრა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი კომპლექსი.
- 1998 წლის 7 აგვისტო. ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მახლობლად აფეთქდა ავტომანქანაში დამონტაჟებული ბომბი. საგარეოდ, ამ ტერაქტის მონაწილე ორი ტერორისტი განკუთვნილია ბენ ლადენის დაჯგუფებას. დაიღუპა 10 და დაშავდა 77 კაცი.
- 1998 წლის 7 აგვისტო. ტერაქტში კენის დედაქალაქ ნაირობიში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან. ჩამოინგრა ხუთსართულიანი შენობა. ტერაქტის მონაწილე შვიდი ტერორისტი ბენ ლადენის დაჯგუფების წევრი იყო. ვარაუდობენ, რომ ორივე ტერაქტი დაგეგმილი იყო იმამ ან-ზავაჯირის მიერ. დაიღუპა 254 და დაშავდა დაახლოებით 5000 კაცი.
- 2000 წლის 12 ოქტომბერი. იემენის ქალაქ ადენში, ამერიკულ სამხედრო ხომალდ „კოულსე“ მიხდა ტერორისტული აქტი. ასაფეთქებელი ნივთიერებით აღჭურვილი პატარა ნავი, „კოულის“ კორპუსს დიდი სიჩქარით შეეჯახა. ამ ტერაქტზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია, თუმცა ამერიკულ სპეცსამსახურებს აქვთ მონაცემები, რომ ეს აქცია დაგეგმილი და დაფინანსებული იყო ალ-ყაიდას მიერ. მათი განცხადებით, შეტევა გასაოცარი სისუსტით იყო მომზადებული. დაიღუპა 15 და დაშავდა 33 მეხდღეაური.
- 2001 წლის 9 სექტემბერი. ავღანეთის ქალაქ ტახარში მოკლეს სავიღო შეთაური ახმად შახ მასუდი.
- 2001 წლის 11 სექტემბერი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტერორისტთა მიერ გატაცებული ორი „ბოინგი“ შეეჯახა მსოფლიო საავტორო ცენტრის ცათამბავილებს ნოე-იორკში, ხოლო ერთი „ბოინგი“ – ვაშინგტონში, პენტაგონის შენობას ფრთას. შედეგად დაიღუპა 2974 კაცი (მათ შორის 19 ტერორისტი), 24 უკვლავ დღეაიკარგა.
- 2003 წლის 15 ნოემბერი. თურქეთის ქალაქ სტამბოლში ორი სინაგოგის სიახლოვეს აფეთქდა დანადგარი ავტომობილები, რომელთაც მართავდნენ თვითკმეკლელები. დაიღუპა 25 და დაშავდა 300-ზე მეტი კაცი.
- 2004 წლის 11 მარტი. ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ააფეთქეს ოთხი სამგზავრო მატარებელი. დაიღუპა 191 და დაშავდა დაახლოებით 2000 კაცი.
- 2005 წლის 7 ივლისი. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონის მეტროში განხორციელდა ტერორისტული აქტების სერია. დაიღუპა 56 და დაშავდა დაახლოებით 700 კაცი.
- 2005 წლის 5 ნოემბერი. იორდანის დედაქალაქ ამანში განხორციელებულ აფეთქებათა სერიის შედეგად დაიღუპა 67 და დაშავდა 295 კაცი.
- 2007 წლის 27 დეკემბერი. პაკისტანის ქალაქ რავალპინდში მოკლეს პენაზირ ბხუტო. ტერაქტის შედეგად მასთან ერთად დაიღუპა 25 და დაშავდა 90 კაცი.
- 2011 წლის 4 მაისი. ერაყის დედაქალაქ ბაღდადში დანადგარი ავტომობილი შეეჯახა ხალხმრავალ კაფეში, ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟის დროს. დაიღუპა 16 და დაშავდა 37 კაცი.



ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტერაქტი ისტორიაში — 11 სექტემბერი, 2001 წ. ნიუ-იორკი. ბენ ლადენი ბოლო მომენტამდე ამტკიცებდა, რომ ეს საშინელება მას არ მოუწვია

ლიოში ყველაზე საშიშ ტერორისტად. ხშირად ვრცელდებოდა მისი ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ინტერვიუები კი მხოლოდ ყატარის ტელევიზია „ალ-ჯაზირას“ აძლევდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა თალიბანის რეჟიმთან და მის ლიდერებთან, სულ მალე კი თალიბ მებრძოლთათვის წმინდანად იქცა.

დროთა განმავლობაში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხდებოდა ტერაქტები ბენ ლადენის ორგანიზებით. მათ შორის პირველი 1992 წლის 29 დეკემბერს, იემენის ქალაქ ადენში განხორციელდა, რომელსაც ორი კაცის სიცოცხლე შეეწირა. ტერაქტების გეოგრაფია ფართო იყო, ყველა ტერაქტის მიზანი ერთი — აშშ-ის პოზიციების შესუსტება და ისლამური ძალაუფლების დამყარება. ამ მიზნით თავდასხმები და აფეთქებები ეწეობოდა როგორც აშშ-ის, ისე ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში, თვით საუდის არაბეთშიც კი. ოსამა ბენ ლადენის სახელს ასობით ფართომასშტაბიანი თუ მცირე ტერაქტი უკავშირდება, რომელთა უმრავლესობაზეც ის თავის პასუხისმგებლობას აღიარებდა. 1998 წლის თებერვალში ოსამა ბენ ლადენმა და აიმან ალ

ზავაჰირმა მსოფლიოს ისლამური ფრონტის გახსნის შესახებ გამოაცხადეს. მათი მთავარი მიზანი იყო ისრაელებისა და „ჯვაროსნების“ წინააღმდეგ ბრძოლა. მათი განცხადებით, მუსლიმები მოვალენი იყვნენ, გაეთავისუფლებინათ ალ-აქსას მეჩეთი იერუსალიმში და ქაბას წმინდა მეჩეთი მექაში ურჯულუობისაგან. ბენ ლადენმა საკმაოდ ხმაძიებელი განცხადება გააკეთა, როცა ჟურნალისტებს მიმართა: „ამერიკელები და მათი მოკავშირეები ადვილი სამიზნეები არიან. ამის დასტურს თქვენ სულ ცოტა ხანში იხილათ“. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფროზილებდა პრეზიდენტ ბილ კლინტონს, რომ ალ-ყაიდას მებრძოლები ინტენსიურად ემზადებოდნენ და მომავალი საფრთხე სერიოზული იყო. 24 ივნისს ბენ ლადენმა და ალ ზავაჰირმა ალ-ყაიდას კონგრესი შეკრიბეს. როგორც ჩანს, ბევრი რამ სწორედ ამ კონგრესზე გადაწყდა.

ყველასთვის თავზარდამცემი მაინც 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია აღმოჩნდა. ნიუ-იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებულმა გრანდიოზულმა თავდასხმამ მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო,

ოსამა ბენ ლადენის მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტობა კი ამის შემდეგ ეჭვქვეშ აღარავის დაუყენებია. თუმცა განსხვავებული იყო ბენ ლადენის ოფიციალური პოზიცია. — მე ამ საქმესთან არაფერ შუაში ვარ. ბედნიერი ვიქნებოდი, ეს მე გამეკეთებინა, მაგრამ სამწუხაროდ, არ გამიკეთებია, — განაცხადა მან. მეტიც — 11 სექტემბრის ტრაგედიის ორგანიზატორად აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დაასახელა.

ტერაქტის პასუხად აშშ-მა დაუყოვნებლივ დაიწყო სამხედრო ოპერაცია ავღანეთში. თალიბებმა ქვეყნის უდიდეს ნაწილზე კონტროლი დაკარგეს და მთებში გაიხიზნენ, მაგრამ ამერიკელებმა მთავარ სამიზნეს ვერ მიაკვლიეს. ოსამა ბენ ლადენმა აშშ-ის წინააღმდეგ საღვთო ომი — ჯიჰადი გამოაცხადა. ჯიჰადმა მოიცვა არა მხოლოდ აშშ, არამედ მისი მოკავშირეებიც.

ბენ ლადენისადმი ინტერესი არც ობამას ადმინისტრაციის დროს განუღებულა. ობამამ შეძლო ის, რაც ბუშმა ვერ მოახერხა. 2011 წლის 2 მაისს შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებისთვის მთავარი მოვლენა სწორედ ბენ ლადენის ლიკვიდაცია იყო. სპეცოპერაცია ისლამაბადის სიანლოვეს, პატარა ქალაქ აბუტაბადში მოეწყო. ბენ ლადენის გარდა მას კიდევ რამდენიმე ადამიანის, მათ შორის მისი ერთ-ერთი ვაჟისა და ერთი ქალის სიცოცხლე შეეწირა, რომლის ვინაობაც დღემდე უცნობია. არსებობს მოსაზრება, რომ იგი ბენ ლადენის ერთ-ერთი ცოლი იყო.

ოფიციალური ინფორმაციით, ოსამა ბენ



ბენ ლადენის ვილა პაკისტანის პატარა ქალაქ აბუტაბადში, სადაც ის „ზღვის ლომებმა“ მოკლეს

ლადენის ცხედარი აბუტაბადიდან ისლამაბადში გადაასვენეს. ისლამური ტრადიციით აუგეს წესი და ზღვაში ჩაძირეს. დაკრძალვისგან თავი იმ მიზეზით შეიკავეს, რომ საფლავი შესაძლოა ექსტრემისტთა თავყანისცემის ადგილი გამხდარიყო.

როგორც ჩანს, მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი მართლაც ლიკვიდირებულია, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ტერორიზმის საბოლოო დამარცხებას არ ნიშნავს. იმედია ახალ ოსამა ბენ ლადენს მსოფლიო აღარ იხილავს.

თუმცა აღ-ყაიდას ახალ ლიდერად უკვე გამოცხადდა ეგვიპტელი ექსტრემისტი საიფ ალ-ადელი. ის სახელდებოდა აფრიკული ტერაქტების ერთ-ერთ ორგანიზატორად და იყო ეგვიპტური ჯიჰადის მეთაური...

დავით ბრატვიანი



ბენ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ მოზეიმე ამერიკელები

ქრისტიანობა

ქრისტიანობა მსოფლიოს უდიდესი რელიგიაა, რომლის მიმდევართა საერთო რაოდენობა კარგა ხანია მილიარდს აჭარბებს. იესო ქრისტე უნდა ჩაითვალოს ყველა დროის უდიდეს მოღვაწედ. მან ისეთი გარდატეხა მოახდინა სამყაროში, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს. ქრისტე შეუდარებელია როგორც პიროვნება და როგორც მოაზროვნე. შეიძლება, რომ მას ისტორიის ჭეშმარიტი სასწაული ეწოდოს.



თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ქრისტიანობას უამრავი მტერი გამოუჩნდა. ისინი არ ყოფილან არც უეცინი და არც გაუნათლებლნი. ამ ჯურის მოაზროვნენი მთელ თავიანთ განათლებასა და ენერგიას ახმარდნენ ქრისტიანული იდეების გაცამტვერებას, მაგრამ მათ ვერ შეარყიეს ამ უდიდესი მოძღვრების საფუძვლები. დღეს განათლებული კაცობრიობის რჩეული ნაწილი, რომელსაც ისტორიის სადავეები უპყრია ხელთ, ქრისტიანულ მორალს აღიარებს და მის უწმინდეს წიგნზე ხელის დადებით ადასტურებს სამყაროს უკეთესი მერმისისათვის თავდადების ფიცს.

ქრისტიანული რელიგიის წარმოშობისა და განვითარების შესახებ არსებობს ორი სახის წყარო — ქრისტიანული და არაქრისტიანული, რომელშიც შედის ანტიკური ხანის მწერლების ცნობები პირველქრისტიანული თემების შესახებ. ეს არის, ერთი მხრივ, რომის სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხი და მეორე მხრივ, პირდაპირი და მწვავე კრიტიკა ახალი რელიგიური მიმდინარეობისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან: ლუკიანე, ცელსუსი, ცეცილიუსი, პორფიროსი, იულიანე, პიეროკლესი და სხვანი. სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ ქრისტიანობის დაუძინებელი მტრის — ცელსუსისა და ქრისტიანობის აპოლოგეტის — ორიგენეს ნაშრომები, უფრო სწორად, ორიგენეს ნაშრომი, რომელშიც გაცამტვერებულა ცელსუსის ყველა შეხედულება ქრისტიანობის კრიტიკის შესახებ. ჩვენამდე ცელსუსის ნაწარმოებს არ მოუღწევია, მაგრამ ორიგენე, რომელსაც ხელთ უნდა ჰქონოდა ცელსუსის შრომა, პუნქტობრივად სცემს პასუხს ცელსუსის ბრალდებას, საიდანაც ვიგებთ როგორც ცელსუსის, ასევე ორიგენეს ნაშრომების ხასიათს.

არაქრისტიანულ ლიტერატურას განეკუთვნება აგრეთვე ცნობილი ავტორების: ტაციტუსის, იოსებ ფლავიუსის, პლინიუს უმცროსისა და სხვათა ნაშრომები.

ქრისტიანული წყაროებიდან უპირველესი ადგილი უჭირავს ახალი აღთქმის წიგნებს, ანუ სახარებას, სადაც მოთხრობილია იესოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მომენტები. სახარება მოიცავს ოთხ წიგნს და თითოეული სახელდება მისი ავტორის სახელით, ესენია: სახარება მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი. ქრისტიანული დოგმატიკის მიხედვით, სახარება დაწერილია სულიწმიდის ჩაგონებით, მოციქულთა და მათი მოწაფეების მიერ,



ამიტომაც მიჩნეულია, რომ ის, რაც სახარებაშია მოთხრობილი, არის ჭეშმარიტი.

მათე და იოანე უნდა ყოფილიყვნენ ქრისტეს მოწაფეები და, ბუნებრივია, მისი თანამედროვენიც, ზოლო მარკოზი და ლუკა მოგვიანებით უნდა შესდგომოდნენ მესიის ცხოვრების აღწერას.

სახარება, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ოთხთავი, არის კანონიკური წიგნი და საკვლევლო სახელმძღვანელო ქრისტეს გზაზე შემდგარი ყველა მორწმუნისთვის.

ქრისტიანული რელიგიის ჩამოყალიბება დაიწყო რომის იმპერიაში და მისი აღმავლობა პირდაპირ დაუკავშირდა ამ უზარმაზარი იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს.

რომის იმპერია, რომელიც გადაჭიმული



ბარება. უბისის ეკლესიის ფრესკა.
XIV საუკუნის ქართული მხატვარი დამიანე

იყო ეფერატიდან ატლანტის ოკეანემდე, კალედონიის მთებიდან საპარამდე, წარმოადგენდა მთელ სამყაროს და ყველა კულტურული მოვლენა მის საზღვრებში ხდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი მოქალაქე მსოფლიო მოქალაქედ იქცა. ნაციონალური ღმერთის თაყვანისცემა ცუდ ტონად ითვლებოდა. თავად რომაელთა დამოკიდებულება სხვა რელიგიის აღმსარებელთა მიმართ ერთობ ინდიფერენტული იყო. თითქოს მოთხოვნილებაც გაჩნდა ისეთი ღმერთისა, რომელიც ადამიანს ნაციონალიზმისა და ეთნიკური წარმომავლობის გარეშე დააყენებდა. ასეთი იყო ქრისტე, რომლის მოვლინებას მაშინდელი მსოფლიოს წიაღში უკვე ჰქონდა ნიადაგი მომზადებული.

როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში სახელმწიფო ენად ითვლებოდა ლათინური, არამცირედი როლი ეჭირა ბერძნულსაც. ფაქტობრივად, ამ ორი ენის გაბატონებულმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას. იმდროინდელ ქალაქებს: რომს, კართაგენს, ალექსანდრიას, ანტიოქიას, ეფესოს, კორინთოსა და მილანს, ფაქტობრივად არ ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სახე. აქ ერთად ცხოვრობდნენ იტალიელები, ბერძნები, ებრაელები, მცირე აზიიდან გამოსული ხალხები, რაც განაპირობებდა ნაციონალური ღმერთებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

ახალი აღთქმის მეცნიერ-მკვლევართა ვარაუდით, მაცხოვარი უნდა დაბადებულიყო ძვ.წ. 7 ან 6 წელს. მისი ამქვეყნად მოვლინება ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებშიც იყო გაცხადებული და როგორც მხსნელს, მას უკვე ელოდა ისრაელის ერიც.

ქრისტე ბერძნულად ნიშნავს „ცხებულს“, თავის მხრივ, იგი სათავეს იღებს ებრაული გამოთქმიდან — „ღმერთის ცხებული“. ამ გამოთქმას ხშირად ხმარობდნენ ებრაელები თავიანთი მეფისადმი, რითაც ხაზს უსვამდნენ მის უმაღლეს დანიშნულებას. მოგვიანებით, დაახლოებით ძვ.წ. II საუკუნის მწერლებთან იგი მოასწავებს აღთქმულ მხსნელს, ნაციონალურ ბელადს, რომელიც იხსნიდა მათ რომაელთა ბატონობისაგან.

როგორც მათეს სახარება მოგვითხრობს, ქრისტე დაიბადა ღმერთის ჩარევით და მისი ნებით. დედამისი მარიაში იყო ცოლი ხითხურო იოსებისა, რომელსაც წინასწარ ეუწყა მოსალოდნელი შობის შესახებ და ვინაიდან აღიარა ღმერთის მონაწილეობა ამ საქმეში, ყოველ-

*ბეთლემი. ადგილი, სადაც
იოსებმა და მარიამმა თავი
მწყემსთა სადგომს შეაფარეს*



მხროვ იკისრა ახალდაბადებულის მამობა.

ქრისტეს დაბადების წინ გამოიცა რომის იმპერატორის ბრძანება, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო მოქალაქეთა აღწერა. იოსების ოჯახი ნაზარეთში ცხოვრობდა, ხოლო წარმოშობით დავითის ტომიდან იყო და ამიტომაც ჩასაწერად დავითის ქალაქ ბეთლემს წავიდნენ. აქ მათ ღამის გასათევი ადგილი ვერ მონახეს და თავი გამოქვაბულს შეაფარეს, სადაც მწყემსებს სადგომი ჰქონდათ მოწყობილი. ღამით მარიამს მშობიარობა დაეწყო და გამთენიისას დაიბადა იესო, რომელიც დედამ სახვევებში გაახვია და ბაგაში ჩააწვინა.

ქრისტეს დაბადების ჟამს ცაზე გაბრწყინდა კაშკაშა ვარსკვლავი, რაც აღმოსავლელმა მოგვებმა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენის საწინდრად მიიჩნიეს და გაჰყვნენ მნა-

თობის ციალს, რათა ნაწინასწარმეტყველები მოვლენა ეხილათ.

ამ ფაქტით შეძრული მოგვები დაიძრნენ იერუსალიმისკენ და ღმერთმაც ინება, რომ ისინი შესწრებოდნენ ქრისტეს შობის სასწაულს. მოგვებმა დალოცეს ბაგაში ჩაწვნილი ჩვილი, მუხლი მოიყარეს მის წინაშე და რუდუნებით მიუძღვნეს ოქრო — როგორც მეფეს, გუნდრუკი — როგორც ღმერთს და მური — როგორც ადამიანს. მოგვთა თაყვანისცემა იყო მესიის მოვლინების აღიარება კაცობრიობის წინაშე.

იუდეის მმართველმა ჰეროდემ დიდმა, შემეღო თუ არა ქრისტეს დაბადების ამბავი, რომელსაც მეფობას უწინასწარმეტყველებდნენ, გადაწვიტა, ბეთლემსა და მის მახლობლად მიმდებარე დასახლებებში ამოეწვიტა ორ წლამდე ასაკის ყველა ყრმა, რათა წინასწარმეტყველება არ აღსრულებულიყო. ასეთი სა-

მაცხოვრის დაბადების ადგილი





წმინდა იოსები
ვრმა იესოთი.
გვილო რუბი,
დაახლ. 1635 წ.

შიშროების გამო, ღმერთის ჩაცონებით, იოსები თავისი ოჯახით ეგვიპტისკენ გაემშურა, რათა საშინელი მტარვალისგან თავი ეხსნათ. იოსები ეგვიპტეში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან პეროდუ დიდი მალე აღესრულა და წმინდა ოჯახი უკან დაბრუნდა.

ნაზარეთში მაცხოვარმა თითქმის 30 წელიწადს დაყო. ქრისტეს ბავშვობის შესახებ მხოლოდ ლუკას სახარებაშია მცირეოდენი მინიშნება, რომ იგი იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულთით.

12 წლის იესო პასექის დღესასწაულზე მშობლებს იერუსალიმში გაჰყვა. ეს იყო ებრაელთა უდიდესი დღესასწაული, რომელზე დასასწრებად ყოველი მხრიდან მიემართებოდნენ მორწმუნენი. თავად ქალაქი საუსე იყო მილეეთის ხალხით და წმინდა ოჯახი ქალაქგარეთ დაბინადა. რელიგიური ზეიმი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ერთ დღეს იესო ქალაქის შიგნით, ტაძრის მახლობლად, მშობლებს დასცილდა და მთელი დღე-ღამით დაიკარგა. მესამე დღეს, როცა შემფოთებულმა მშობლებმა როგორც იქნა, მიაკვლიეს, საყვედური უთხრეს: „მერე და რას მეძებთ? — უპასუხა იესომ — ნუთუ არ იცით, რომ მე მმართველს იქ ვიფუნა, სადაც ყველაფერი მამაჩემს ეკუთვნის“.

იესოს ცხოვრების 12 წლიდან მხოლოდ ტაძრად მიყვანების ეპიზოდი ცნობილი, დანარ-

ჩენი 18 წლის შესახებ მახარებლები ღუმან, თუმცა მარკოზს მოეპოვება მასზე წარმოთქმული ერთი მნიშვნელოვანი ფრაზა: „ის ხურო არაა“? — ეს თქვა კაცმა, ვინც იცნო იესო, ხოლო მახარებელმა საჭიროდ მიიჩნია ფრაზის ჩაწერა. ამ მაგიურმა სიტყვებმა განსაზღვრეს ქრისტიანული სამყაროს მომავალი. ირკვევა, რომ მაცხოვარი მთელი ცხოვრება შრომობდა თავისი ხელობით და იყო ღარიბი, რადგან მას, პროვინციული ქალაქის ხუროს, შეუძლებელია ბევრი და მდიდარი მუშტარი ჰყოლოდა. იესოსთვის პირველდაწყებითი განათლება მშობლებს უნდა მიეცათ, რაც ითვალისწინებდა ბიბლიის (ძველი აღთქმის წიგნები) შესწავლას.

იესოს სასაუბრო ენა უნდა ყოფილიყო არამეული, მაგრამ მან ებრაულიც ჩინებულად იცოდა. ვარაუდობენ, რომ ფლობდა ბერძნულსაც, რადგან ხშირად უხდებოდა ურთიერთობა ამ ენის მცოდნე ხალხთან. რაც შეეხება ლათინურს, როგორც რომის იმპერიის სახელმწიფო ენას, იგი ნაკლებად ან სულაც არ იცოდა.

რაც უნდა ესწავლა ქრისტეს ბავშვობასა და სიყმაწვილეში, მისი გულისყური მიმართული იყო მამადმერთისკენ. ეს იყო წლები შინაგანი მზადებისა, დიადი მისიის მოლოდინი და აპა, გაისმა ხმა უდაბნოდან, რომელიც ადამიანებს, განკითხვის მოახლოებით შეძრული, მონანიებისკენ მოუწოდებდა. ეს იყო ხმა იოანე ნათლისმცემლისა, რომელსაც ღმერთმა ქრისტეს სახალხოვად აღიარება დააკისრა.

ქრისტეს ცხოვრება დაემთხვა ეპოქას, როცა პოლიტიკურად და სოციალურად დაღლილი საზოგადოება დაქცევის პირას იყო მისული. რომის ტყვეობაში მყოფი ისრაელის ერი მშველელს ეძებდა. სამყარო უნდა შეცვლილიყო, მაგრამ საით? ისრაელის იდეალი იყო მესია მხოლოდ ებრაელთათვის, მხოლოდ მათ რომ გაათავისუფლებდა ტყვეობისგან, მაგრამ მხოლოდ ისრაელი არ ელოდა ასეთ მსხნელს. ეპოქა მოითხოვდა მესიას, რომელიც შეუდარებელი იქნებოდა არა მხოლოდ მოღვაწეობით, არამედ სასწაულებითაც და სიკვდილითაც. და ასეთ საჭირო დროს გაისმა ხმა უდაბნოდან. იგი იყო განდევილი, თავისუბური მემამბოზე, მოწოდებული, რათა თავისი შინაგანი ცეცხლით წარმოეთქვა მამხილებელი სიტყვები არსებულ საზოგადოებაზე და ეწინასწარმეტყველა მომავალი. მან მისცა ნიშანი ხალხს მესიის მოვლინებისა.

როცა იოანე ნათლისმცემელს შეეკითხნენ, თავად ის ხომ არ არის მესია, მან უპასუხა, რომ არც მესიაა და არც ილია წინასწარმეტყველი,

ის უბრალოდ „ხმა უდაბნოში“ და სხვა არაფერი, მაგრამ მას მოჰყვება კაცი, რომელიც წინაა მასზე.

მიუხედავად იოანეს წინააღმდეგობისა, მაცხოვარმა მისგან მიიღო ნათელი და მონათლა წყლით, რითაც კიდევ ერთხელ უარყო ამპარტაუნება. სწორედ ნათლობისას გადმოვიდა სულიწმიდა და მტრედის სახით გადმოველო ქრისტეს, ხოლო ჰაერში გაიღვივებოდა იღუმალმა ხმამ „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“. ამის შემდგომ იესო განმარტოვდა უდაბნოში, რათა გაეძლო ცდუნებისთვის, რომელიც მისთვის გაემზადებინა სატანას. მაცხოვარმა უდაბნოში 40 დღეს დაყო. იგი ვერ აცდუნა ვერც სხეულმა და ვერც ეშმაკმა.

როგორც ცნობილია, იესოს სულ 12 მოციქული (ანუ მოწაფე) ჰყავდა.

მონათვლის მეორე დღეს იოანე ნათლისმცემელთან კვლავ მივიდა იესო, ხოლო იოანემ მოჰკრა თუ რა თვალი, თქვა: „პაპა, ტარიგი ღმრთისაი“. ამის გაგონებისთანავე მის გვერდით მყოფი ორი კაცი, იოანეს მოწაფეები, იესოს გაჰყვნენ უკან. ამ ორიდან ერთი იყო ანდრია, ხოლო მეორე უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი

სახარების ავტორი იოანე (ფარარი). შემდეგ ანდრია თავის ძმას, სიმონს ახარა, რომ ნახა მესია. ანდრია მოწაფეთაგან პირველმა უწოდა ქრისტეს მესია და ამასთანავე, იგი იყო პირველი მოწაფე, რომელსაც მოუწოდა სამოღვაწეოდ ქრისტემ, რაც შემდგომ ანდრიას ზედწოდების საფუძვლად იქცა (ანდრია პირველწოდებული). ანდრია მაცხოვარს წარუდგინა სიმონი. იესოს თვალმა მაშინვე შეიცნო მასში კეთილი და დამყოლი კაცი, უწოდა მას პეტრე და დაიმოწაფა ისიც.


უდაბნოდან დაბრუნების მესამე დღეს ქრისტე შეხვდა ფილიპეს, რომლის ბერძნული სახელი ადასტურებდა, რომ იგი ახლოს იდგა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთან.

მეოთხე დღეს ამ კრებულს მიემატა ბართლომე, რომელსაც ადრე ნათანაილი ერქვა და იგი უშუალოდ ფილიპეს მცდელობით დაემოწაფა მაცხოვარს. ბართლომე გალილეის კანადან იყო, მაღალი სოციალური მდგომარეობით.

შემდეგი მოწაფე გახდა ხარკის ამკრეფი მათე, რომელიც მიწნეულია ერთ-ერთი სახარების ავტორად. დანარჩენი მოწაფეების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი.

იესო ქრისტე თორმეტ მოციქულთან ერთად. XII საუკუნის ფრესკა. კაპადოკია





„და ამისა შემდგომად გამოიჩინა უფალმან სხუანი სამეოც და ათნი და წარუვლინა ივინი ორ-ორნი წინამე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა ვიდრეცა ვგულუბოდა მას მისლად. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ (ლუკა 10, 1-2)“

თავისი მოღვაწეობის ზენიტში ქრისტემ საჭიროდ მიიჩნია, აერჩია 12 მოწაფე. მათს სახარების მიხედვით, მოციქულები ასე არიან განლაგებული: სიმონ-პეტრე, ანდრია პეტრეს ძმა, იაკობ ზებედეისი, იოანე მისი ძმა, ფილიპე, ბართლომე, თომა, მათე, იაკობ ალფესი, თადეოზი, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა გასცა იესო, რის გამოც სინდისით ქენჯნილმა თავი ჩამოიხრჩო. კრებულის შესავსებად მოწაფეებმა წილი ჰყარეს ქრისტეს ორ უახლოეს მიმდევარს შორის, რომელიც ერგო მატათას და იუდას ნაცვლად იგი შეირაცხა მეორემეტყ მოციქულად.

...ერთხელ ქრისტე ქორწილს დაესწრო კანაში, სადაც ღვთისმშობელიც იმყოფებოდა. მესამე იქ თავისი ხუთი მოწაფე მიიყვანა. ამდენ ხალხს ოჯახი არ ელოდა და ამიტომაც დააკლდათ ღვინო. მამინ ღვთისმშობელმა, რომელმაც კარგად უწყოდა იესოს ღვთაებრიობა, მიმართა მას, მოეხდინა სასწაული და

გაეჩინა ღვინო. ქრისტემ უბრძანა მსახურებს, აევსოთ წყლით ჭურჭლები და როცა მსახურებმა სუფრაზე მიიტანეს, მათგან საუკეთესო ღვინო წარმოდინდა. ეს იყო მისი პირველი სასწაული. ამით ქრისტემ პირველად გამოავლინა ღვთაებრივი ძალა.

თავისი ქადაგების ადგილად ქრისტემ თავდაპირველად ქალაქი კაპერნაუმი აირჩია, რომელიც პალესტინაში მდებარეობდა და გამოირჩეოდა შესანიშნავი ბუნებით.

პასექის დღესასწაული, რომლის დროსაც იერუსალიმიდან ათასი ჯურის ხალხი მიემართებოდა, ებრაელთა უდიდეს დღესასწაულად მიიჩნეოდა. იერუსალიმში ამ დროს საღვთისმსახურო რიტუალი დაკნინებული იყო. ტაძარი იერუსალიმის ვაჭრებისა და ლაზღანდარების ბუდედ გადაქცეულიყო. ღვთის სახლი პატივყრილი და იავარქმინილი გახლდათ. იესო განაცვიფრა ხალხის ასეთმა უღვთოებამ და გადაგვარებამ. დაერია ირგვლივ ყველაფერს, ააყირაუა დახლები, ტაძრიდან გამოყარა ხალხი და პირუტყვი, და ეს გააკეთა ისეთი რისხვითა და სამართლიანობის ისეთი განცდით, რომ გაოგნებულმა ბრბომ წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა. როცა ფარისევლებმა ამგვარი საქციელისთვის განმარტება მოსთხოვეს, იესომ მიუგო: „დაანგრეთ ეს ტაძარი და სამ დღეში აღვადგენ მას“. ამ ფრაზით იესო გამოხატავდა თავისი სხეულებრივი ტაძრის დანგრევას, რომელსაც ზეცად ამაღლება ქვერა სპი დღის შემდგომ.

როცა ქრისტემ თავის მშობლიურ ადგილს, გალილეას მიაშურა, თავისიანები გულცივად შეხვდნენ. თავად მესიამაც კარგად უწყოდა, რომ წინასწარმეტყველი არ არის დაფასებული თავის მამულში, მაგრამ არ სურდა, თავისიანები დიდი მადლის გარეშე დაეტოვებინა. ვერ მიუხვდნენ ნაზარეთში მას და ქვებით ჩაქოლვაც მოუნდომეს, ანაზდეულად რომ არ გამოერებოდა.

კაპერნაუმი ქრისტეს ქალაქად იქცა, საიდანაც იწყება მისი მოღვაწეობა. მაცხოვარი მიუღწეა ქადაგებაში ატარებდა და ამასთანავე კურნავდა ავადმყოფებსა და ხეიბრებს. შემდგომ მან შეარჩია სამოცდაათი მოწაფე და უთხრა: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ (მათე 9, 36-38)“. დააწყვილა ერთმანეთთან დაახლოებული ორ-ორი მოწაფე და წინასწარვე მიაუღინა იმ ადგილებში, სადაც თავად აპირებდა მისვლას.

ელდარ ნაღირაძე
(გაგრძელება შემდეგ ნომერებში)

ანსანერობა (1915-1920)



(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 4)

პატრიოტები ორ ცეცხლს შუა ლაზები „კონკოლავისა“ და ოსმალების წინააღმდეგ

დაპატიმრებულ ლაზებს დავით კლდიაშვილი ათავისუფლებს...

1917 წლის ივნისის ბოლოს, ბათუმიდან რიზეში მიავლინეს კაპიტანი ოპანეზოვი, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყის დაცარიელებული სოფლების აღრიცხვა ევალებოდა, რათა მერე იქ მთავრობას ყუბანელ კაზაკთა ოჯახები ჩაესახლებინა. „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტს“ ეს ამბავი ცნობილმა სარფელმა საქმოსანმა იბრაჰიმ თანთ-ოღლიმ (თანდილაყამ) აცნობა. კომიტეტის წევრებმა კაპიტანის განადგურება ერთხმად გადაწყვიტეს და ამ საქმის აღსრულება ათინელი მუსტაფა კაკალ-ოღლის ცხრაკაციან ჯგუფს მიანდეს.

მუსტაფა კაკალ-ოღლის დაჯგუფებამ კაპიტან ოპანეზოვს ტერაქტი 1917 წლის 10 ივლისს მოუწყო — ფირალები ეტლით მომავალ ოპანეზოვს რიზეს ცენტრალურ ქუჩაზე დაუხვდნენ და მისი დაცვა ბომბებით მოცელეს; თავად კაპიტანს კი ტყვია ვინმე ალი ბაცა-ზადემ პირდაპირ შუბლში ჰკრა. სხვათა შორის, ცხრავე თავდამსხმელი რიზელთა ხელშეწყობით მიიმალა, ხოლო პოლიციამ სრულიად უდანაშაულო ხალხი დააპატიმრა, რამაც მოსახლეობაში მღელვარება გამოიწვია.

უსამართლოდ დაპატიმრებულთა გამოსახსნელად ბესო ჭყონიამ და კომიტეტის კიდევ

რამდენიმე წევრმა ოსმალურ და რუსულ ენებზე შეადგინეს პროკლამაცია, სადაც ტერაქტის მიზეზები დაწვრილებით იყო ახსნილი და ისიც ეწერა, რომ დაკავებულებს მომხდართან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ლაზისტანის სანჯაყის იმეამინდელმა სამხედრო გუბერნატორმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დავით კლდიაშვილმა, რომელიც ლაზთა დიდი ქომაგი იყო, საქმის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა და მცირე ხნის შემდეგ, დაკავებულები გაათავისუფლა.

1917 წლის ბოლოს, როცა კავკასიის ფრონტი მოიშალა და რუსულმა არმიამ ტრაპიზონის ვილაიეთიცა და კავკასიაც მიატოვა, „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტსა“ და „ანსანერებს“ ბრძოლამ პონტოელ ბერძნებთან მოუწიათ — როგორც უკვე აღინიშნა, ამ უკანასკნელთა სახელმწიფოს შექმნას მხარს „ანტანტის“ ქვეყნები (რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი) უჭერდნენ. იმავე წლის ოქტომბერში მარსელში პონტოელმა ინდეპენდენტისტებმა „პონტოს რესპუბლიკის“ რუკა გამოსცეს, რომელზეც ლაზისტანის სანჯაყი ამ სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული. რა თქმა უნდა, ლაზებს პონტოელებთან გაერთიანება არ სურდათ; ამიტომაც ბრძოლის გარდა, სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდათ.



ტრაპიზონის ბერძენი ეპოსკოპოსი ხრისანთოსი

**ლაზები „პონტოს რესპუბლიკის“
წინააღმდეგ**

ოსმალურმა არმიამ ტრაპიზონი ჯერ კიდევ რუსების შემოსვლამდე — 1916 წლის მარტში დატოვა. ტრაპიზონის ვილაიეთის ვალიმ (მმართველმა), ჯემალ აზმი-ბეიმ ქალაქის გასაღები ბერძენ მიტროპოლიტ ხრისანთოსს ჩააბარა: „ეს ქვეყანა ჩვენ თქვენგან მივიღეთ და თქვენვე გაბარებთ. მართეთ ის, როგორც გსურდეთ და ტაძრები, რომლებიც ოსმალებმა მეჩეთებად გადააკეთეს, ისევ თქვენი წესით აკურთხეთ“ — განუცხადა ოსმალ დიდმოხელემ ბერძენ მღვდელთმთავარს. იმავე წლის აპრილში ტრაპიზონში რუსული არმია შევიდა. მიტროპოლიტმა მის სარდლობასთან საერთო ენა მალევე გამოიხატა.

რუსული საოკუპაციო ხელისუფლების ამკარა თუ ფარული ხელშეწყობით, 1917 წლის დასაწყისში, პონტოელმა ბერძენებმა ტრაპიზონში შექმნეს დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში კვლავაც ხრისანთოსი ჩაუდგა. გარდა ამისა, სამხრეთ რუსეთში მცხოვრებმა პონტოელებმა ე.წ. „პონტოელ ბერძენთა

ეროვნული კომიტეტი“ დააარსეს. მათ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მთელ ტერიტორიაზე — სინოპიდან ბათუმამდე, „პონტოს ბერძენული რესპუბლიკის“ შექმნა სურდათ; ამ მიზნით, ანტანტის ქვეყნებში ფართომასშტაბიან პროპაგანდას ეწეოდნენ. „ეროვნული კომიტეტის“ მთავარი შტაბბინა, როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთში, ქალაქ ნოვოროსიისკში მდებარეობდა, ხოლო ფილიალები მარსელიდან სტამბოლამდე იყო გაბნეული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „პონტოელ ბერძენთა ეროვნული კომიტეტის“ რიგებში მასობრივად გაწევრდნენ ისინი, ვინც ჯერ კიდევ 1908-1909 წლებში — „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის დროს, სულთნის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. ასე რომ, ბერძენი „ჩეტეჯიები“ (ამგვარად უწოდებდნენ „პონტოელ ბერძენთა ეროვნული კომიტეტის“ გასამხედროებელი ჯგუფის წევრებს) და ლაზი „ანსანერები“ ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

იმავედროულად, 1916 წლის დეკემბერში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, „ქართული ლეგიონი“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყველა თურქული ფილიალი გაუქმდა, გარდა ვიწეს ფილიალისა, რომელიც, როგორც ითქვა, უკვე ღრმა იატაკქვეშეთში, რუსთაგან ოკუპირებულ მიწებზე არსებობდა და ამის გამო გერმანელებსა და ოსმალებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ; 1917 წლის მაისში კი, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დავალებით, ოსმალეთის სარდლობის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან ლეგიონის წევრები რუმინეთში გადაიყვანეს. სწორედ ამ ფონზე, მიტროპოლიტმა ხრისანთოსმა დრო იხელთა და „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ წევრებს თანამშრომლობა შესთავაზა — მათ შემდგომში ტრაპიზონის დროებით მთავრობასთან კოორდინირებით უნდა ემოქმედათ, ხოლო სანაცვლოდ კი ლაზეთი — რიზედან ბათუმამდე, „პონტოს რესპუბლიკის“ შემადგენლობაში ავტონომიას მიიღებდა. სხვათა შორის, ხრისანთოსი ლაზების გულის მოსაგებად იმაზეც კი წავიდა, რომ სახელმწიფოს დასახელებიდან სიტყვა „ბერძენული“ საერთოდ ამოიღო.

აღსანიშნავია, რომ იმხანად ლაზეთში საკმაოდ იყვნენ ე.წ. „ფარული ქრისტიანები“ ანუ ისინი, ვინც მხოლოდ გარეგნულად, მოსაჩვენებლად მუსლიმანობდნენ, შინაგანად კი მა-

მა-პაპათა სარწმუნოების ერთგული რჩებოდნენ. ეს ხალხი დღისით ჩვეულებრივი მორწმუნე მუსლიმანებით ცხოვრობდა, ხოლო ღამით კი ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს საიდუმლოდ აღასრულებდა. რასაკვირველია, ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანობის აშკარად აღიარება არ ისჯებოდა, მაგრამ ლაზ „ფარულ ქრისტიანებს“ ტრაპიზონის ბერძენი მიტროპოლიტისადმი დამორჩილება არ სურდათ, რადგან ქართველები იყვნენ და კვლავაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლად მიიჩნეოდნენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ XVII საუკუნის შუა წლებიდან ლაზისტანის სანჯაყში ქართული ეკლესიის მოღვაწეობა მკაცრად იყო აკრძალული.

რასაკვირველია, ხრისანთოსმა ეს ყველაფერი კარგად იცოდა და იმედოვნებდა, რომ ლაზი „ფარული ქრისტიანები“ პონტოს რესპუბლიკაში შემოსვლას დათანხმდებოდნენ. აქვე დავძენთ, რომ რუსთა ოკუპაციის პერიოდში, მისი დაჯვლებით, „პონტოელ ბერძენთა ეროვნული კომიტეტის“ შეიარაღებული რაზმების ხელმძღვანელმა, გენერალმა ისტულაღადისმა „ანსანერებთან“ მჭიდრო კავშირი დაამყარა; თუმცადა, 1917 წლის ოქტომბერში, როცა რუსული არმიის ტრაპიზონიდან გასვლის შესახებ ხმა დაირხა, ბერძნებსა და ლაზებს შორის ურთიერთობა გამწვავდა.

სწორედ იმხანად, საფრანგეთში, ქალაქ მარსელში მცხოვრებმა პონტოელმა ბერძენმა კონსტანდინოს კონსტანდინიდისმა გამოსცა „პონტოს რესპუბლიკის“ რუკა, რომელზეც ლაზისტანის სანჯაყი აღნიშნული „სა-

ხელმწიფოს“ საზღვრებში იყო მოქცეული; ამავე დროს, ბერძენი ჩეტეჯიების რაზმმა ქალაქ ათინას (ამჟამად — ფაზარი) დასაკავებლად 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს შეტევა წამოიწყო. ბერძენები ლაზისტანის სანჯაყის პირველ დასახლებულ პუნქტს, სოფელ ოფს უბრძოლველად დაეუფლნენ, რადგანაც იქ მათივე თანამემამულეები ცხოვრობდნენ; თუმცადა სოფელ ქემერთან მათ „ანსანერების“ 100-კაციანი ქვედანაყოფი დაუხვდა, რომელთაც არქაბელი ძმები — მუსტავა და მეშქე თიბუკოლები (ორივე ფარული ქრისტიანი იყო) მეთაურობდნენ. ლაზებმა მომხდურებს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს და სამსაათიანი ბრძოლის შედეგად უკან დაახევინეს. 1917 წლის 25 ოქტომბერს, ადრე დილით, ბერძნებმა ისევ სცადეს შეტევის წამოწყება, მაგრამ ამაოდ — „ანსანერებმა“ ამის საშუალება არ მისცეს. მომხდურმა საბოლოოდ დაიხია უკან და ოფში გამაგრდა.

ჩეტეჯიების ათინაზე თავდასხმის ამბავი სწრაფად გახმაურდა იმხანად სინოპში, ტრაპიზონსა თუ გირესუნში მყოფ, ომის გამო იძულებით გადაადგილებულ ლაზებს შორის. ამ უკანასკნელთ შეეშინდათ, მათ უკან დაბრუნებამდე ლაზეთი ბერძნებს არ დაეკავებინათ და ბუნტი ატეხეს — ჯერ „პონტოელ ბერძენთა ეროვნული კომიტეტის“ აქტივისტები ჩაიგდეს მძევლად, მერე კი ნავსადგურებშიც შეიჭრნენ და მშობლიურ მხარეში დასაბრუნებლად გემების გადაცემა მოითხოვეს. აღსანიშნავია, რომ მძევალთა აყვანა ტრაპიზონსა და გირესუნში ერთდროულად განხორციელდა.

ვიწეს ნავსადგური 1918 წელს





ლაზ ფარულ ქრისტიანთა ჯგუფი ჰუსეინ და იუსუფ ქურუკოღლების პანაშვიდზე

ამასთან, ტრაპიზონში ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა — მიტროპოლიტი ხრისანთოსი აჯანყებულ ლაზ მუჰაჯირებს პირადად შეხვდა, გემებიც გამოუყო მათ და მძევლებიც უკან უენებლად დაიბრუნა; გირესუნში კი აჯანყებას მსხვერპლი მოჰყვა — ადგილობრივმა ჩეტეჯიებმა მოლაპარაკებისას ვერაგულად მოკლეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ ძველი აქტივისტები, ძმები ჰუსეინ და იუსუფ ქურუკოღლები, რომლებიც ბუნტს მეთაურობდნენ. მიუხედავად ამისა, ბუნტმა თავისი საქმე გააკეთა — ბერძენებმა ლაზისტანის სანჯაყზე ბოლოს მაინც უარი თქვეს.

ამ ამბებიდან კარგა ხნის შემდეგ, 1934 წელს მიტროპოლიტმა ხრისანთოსმა, ვინც მაშინ უკვე საბერძნეთში ცხოვრობდა, ათენში გამოსცა წიგნი, სახელად „ტრაპიზონის ეკლესიის ისტორია“, რომლის 134-ე გვერდზე წერს: „რიზეს აღმოსავლეთით მდებარე მიწებს ოდიტგანვე ქართველი მღვდელთმთავრები განაგებდნენ; ამიტომაც იქ დღემდე შემორჩა ლაზთა ტომი, რომელიც ბერძნულისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს“ — ეს ციტატა ეხმაურება ერთ დაუზუსტებელ ინფორმაციას, რომ 1918 წელს, ხრისანთოსი თავად შეხვდა ქართველ მღვდელ-

მთავრებს და ლაზეთის მთელი ტერიტორია — როგორც საერო, ისე ეკლესიური თვალსაზრისით — საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარა.

მისულ ფილეჰანოღლის გირუშლი აღსასრული

„საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტი“ 1918 წლამდე კვლავაც არსებობდა. მისი წევრები ლაზისტანის სანჯაყის ტერიტორიიდან რუსების გასვლის შემდეგ (1917 წლის დეკემბერი) პოლიციის ფუნქციების შეთავსებასაც ეცადნენ, თუმცა მალევე მოუწიათ შეტაკება ოსმალური არმიის საუკეთესო რეგულარულ ნაწილებთან, რომლებმაც 1918 წლის იანვარ-თებერვალში სანჯაყის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს. ოსმალები „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ახლა უკვე მტრულ ძალად განიხილავდნენ, რადგან ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლება (რომელთანაც ოსმალეთს ოფიციალურად ზავი ჰქონდა დადებული) აღარ არსებობდა და ამ რეგიონს „ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი“ განაგებდა. კომისარიატში კი ოსმალეთის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი.

ამასთან, საქართველოს დამოუკიდებლო-

ბის ლაზეთის კომიტეტი“ ცდილობდა, როგორ-მე მიეპყრო „ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატის“ ყურადღება და ლაზეთი ოსმალური არმიის შემოსვლისაგან ქართული საჯარისო ფორმირებების მეშვეობით გადაერჩინა. ამ მიზნით ბესო ჭყონიამ და მესუდ ფეილევანოვლიმ ბათუმში თავიანთი წარმომადგენელი გაგზავნეს, ვინმე იბრაჰიმ ჭერვათოვლი, თუმცადა ეს უკანასკნელი დანიშნულების ადგილზე ვერც კი ჩავიდა, ხოფასთან მძარცველებს გადაეყარა და მათთან შეტაკებისას დაიღუპა.

ოსმალური არმიის ვიწვეში შემოსვლისას „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტმა“ ერთხმად გადაწყვიტა არმიისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. ამ დროისთვის მის შემადგენლობაში ირიცხებოდა მხოლოდ და მხოლოდ 70-მდე მებრძოლი. ამის მიუხედავად, კომიტეტმა მაინც არ დაიხია უკან, რადგან მისი წევრები ფიქრობდნენ, რომ ბათუმიდან დამხმარე ძალა მალე მოვიდოდა. ამის საფუძველი მათ ერთმა ყალბმა ინფორმაციამ მისცა — ვიწვეში ვიღაცამ ხმა გააურცვლა, რომ ლაზეთში ქართული სახალხო ლაშქარი შემოდიოდა.

1918 წლის 10 მარტს, ლაზეთის კომიტეტის მიერ შეკრებილმა მებრძოლებმა ვიწვეს მისადგომებთან ოსმალები ერთი დღით შეაჩერეს, თუმცადა მაშველი არსად ჩანდა. უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ კომიტეტის ხელმძღვანელი ბესო ჭყონია, მუსტაფა თიბუკოვლი და ჰაფიზ ბიბინოვლი. შეფიკ-აღა კლარჯიოვლიმ და ჯედალ გურჯიოვლიმ მიმალვა მოახერხეს, ხოლო მესუდ ფეილევანოვლი ოსმალებმა ცოცხლად ჩაიგდეს ხელში.

იმავე საღამოს მესუდ ფეილევანოვლი ვიწვეს ბაზარში, ხალხის სასეიროდ თავის მოსაკვეთად გაიყვანეს. მესუდი ღიმილით ავიდა სახელდახელოდ მოწყობილ ეშაფოტზე და სწორედ აქ მოხდა ის, რასაც ლაზები დღესაც სიამაყით იგონებენ. კომიტეტის წევრმა ოსმალთა სარდალს, „კარგად იყავო“, უთხრა და სახეში შეაფურთხა. ამან, ცხადია, სარდალი გააშმაგა და საპასუხოდ მანაც იგივე გააკეთა. ეშაფოტზე მდგარი მესუდ ფეილევანოვლი კინაღამ სიცილით მოკვდა. გოცებულ ოსმალებსა და ბაზარში შეკრებილ ლაზებს მესუდმა ასე მიმართა: „სარდალმა სამაგიერო ვერ გადამიხადა, — მე ამ შეფურთხებულ სახეს ახლავე მოვიშორებ, ეგ კი სიცოცხლის ბო-

ლომდე სულ შეფურთხებული ივლისო!“

1918 წლის შემდეგ „ანსანერობა“ ლაზეთში შესუსტდა, თუმცადა „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ ყოფილი წევრები მონაწილეობდნენ თითქმის ყველა კონფლიქტში, რაც კი იმხანად სამხრეთ საქართველოში ხდებოდა. მათი დიდი ნაწილი ყოველთვის პროქართულ პოზიციაზე იდგა, მაგრამ ლაზეთი დედასამშობლოს მაინც ვერ შემოუერთდა. საბოლოოდ „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ სახელი 1920 წლის დეკემბერში გახმაურდა, როცა სტამბოლში შეფიკ-აღა კლარჯიოვლიმ მესუდ ფეილევანოვლის გამო შური იძია. მან ის გენერალი მოკლა, ვინც 1918 წლის 10-11 მარტს ვიწვეს ალებას ხელმძღვანელობდა, თუმცა გაქცევა ვეღარ შეძლო და პოლიციელებმა ქუჩაშივე ჩაცხრილეს.

მინილ ლაზაქი



„ანსანერების“ ვმირი მეთაური, ვიწველი მესუდ ფეილევანოვლი



კომპანიის თურთაღ განათუბული შტაბ-ბინა ნორთ-მიჩიგან-ავენიუზე ჩიკაგოს სიმბოლოდ მიიჩნევა და ამერიკის ერთ-ერთი ცნობილი ცათამბკენია

„ბიზნესუი წვრილბანი არ არსებობს“

სანამ კაცობრიობა „ყბას იქნევს“, ვრიბლი მდიღრღება

ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ტელეარხზე ნახვით კარგად ნაცნობ ვიდეორეოლებს. „ზოგჯერ უმჯობესია დაღეჭო“, – გვამცნობს რეკლამა. „ღეჭვა ღეჭვისათვის“ – ეს ვრიგლების საგვარეულო ბიზნესია. სანამ კაცობრიობა „ყბას იქნევს“, ვრიგლი მდიღრღება. ეს დიდი ბიზნესი კი წვრილმანებიდან დაიწყო...

11 წლის უილიამ ვრიგლი, 1872 წელს, ფილადელფიიდან ნიუ-იორკში გაიქცა. დიდ ქალაქში ბიჭი გაზეთების გაყიდვით ირჩენდა თავს, ღამეს კი ქუჩაში ათუდა. მოგვიანებით, 29 წლის უილიამმა, ჯიბეში 32 დოლარით, ბედის საქმენელად ჩიკაგოს მიაშურა. ენთუზი-აზმისა და მოჭარბებული ენერგიის გარდა, ვრიგლის ნამდვილი ნიჭიც ჰქონდა – ვაჭრობის ნიჭი!

თვედაბრველად საპნის გაყიდვას მიჰყო ხელი, რაშიც ბავშვობის დროინდელი გამოცდილება დაეხმარა, როცა მამას ფურგონით დაჰყვებოდა ქალაქიდან ქალაქში საპნის გასასაღებლად. ვაჭრობის წასახალისებლად უილიამში „პრემიებად“ სხვადასხვა საქონელს იყე-

ნებდა, მათ შორის, ფქვილსაც. მალე ფქვილზე მოთხოვნილება ძალზე გაიზარდა. მაშინ ვრიგლი საპონს შეეშვა და ფქვილით ვაჭრობაზე გადაერთო. ერთხელაც საზრიან მისტერ ვრიგლის აზრად მოუვიდა, ერთი ქილა ფქვილის ყოველი მყიდველი ორი პაკეტი საღეჭი რეზინით დაესაჩუქრებინა. ამან კლიენტები გვარიანად აღაფრთოვანა და... საღეჭ რეზინზე მეტი მოთხოვნილება გაჩნდა, ვიდრე ფქვილზე...

„საღეჭი ბიზნესის“ სათავეებიდან

იმხანად საღეჭ რეზინს აშშ-ში არაერთი კომპანია აწარმოებდა, თუმცა ინდუსტრია ჯერ განვითარებული არ იყო. უილიამმა მალე თა-

„ისტორიანი“

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ნაცნობი და უცნობი ფაქტები, პიროვნებები, მოვლენები-ახალი კუთხით!



თოქოუს ავტორი და წამყვანი ჯაბა სამუშია

ჩვენთვის გაუდადეგული თემები არ არსებობს!



უსვინათ!
FM 103.9

www.palitratv.ge

უყურათ!



ყოველ საგზაბათს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე



სადეკი რეზინების მეფე
ზმირად აბოლებდა ჩიბუხს

ვად დაიწყო სადეკი რეზინის დამზადება. 1893 წელს ქვეყანას ცნობილი Juicy Fruit-ი მოველინა, მოგვიანებით კი Wrigleys Spearmint-ი. 1899 წელს სადეკი რეზინის მწარმოებელი ექვსი კომპანია გაერთიანდა. ცხადი იყო, ეს კონცერნი დიდ საფრთხეს შეუქმნიდა ახალ ფეხადგმულ Wrigleys-ს. სხვათა შორის, კონცერნში გაერთიანება უილიამ ვრიგლისაც შესთავაზეს, მაგრამ მან საკუთარი გზით სიარული არჩია. საწარმო რამდენჯერმე დადგა კრახის წინაშე, მაგრამ მძიმე და თავდაუზოგავი შრომის შედეგად მისტერ ვრიგლი სიძნელეებს გაუმკლავდა. იგი თავად ზრუნავდა პროდუქციის გასაღებაზე. კარგად მუშაობდა ნაცადი მეოთხე — მყიდველის წახალისება მოულოდ-

ნელი სუვენირებით — პაწია ლამპით თუ სამართებლის პირით. საამისოდ კატალოგიც კი გამოუშვა, რათა მყიდველს არჩევანში დახმარებოდა.

უილიამ ვრიგლი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქონლის გასაყიდად რეკლამის გამოყენება დაიწყო. იცოდა, რომ Wrigley-ს მიმზიდველობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, თუ მყიდველს მის უპირატესობასა და სარგებლიანობაზე ჟურნალ-გაზეთებისა და პლაკატების საშუალებით მოუთხრობდა. რაც მეტი დაინტერესებული კლიენტი მოიკითხავდა ამა თუ იმ მაღაზიაში სასურველ Wrigley-ს, მით უფრო დაინტერესდებოდა მოვაჭრე დახლზე მისი გამოსაჩენ ადგილას მოთაფსებით... ძალე შტატებში თითქმის ყველა იღეჭებოდა. გამჭრიახი მეწარმე მუდმივად გასაღების ბაზრის გაზრდაზე ფიქრობდა. ერთ მშვენიერ დღეს მან წინ დაიღო ქვეყნის სატელეფონო ცნობარი და თითოეულ აბონენტს ოთხ-ოთხი ფირფიტა სადეკი რეზინი გაუგზავნა... საჩუქრად.

1920 წელს, მან 9 მილიარდი ფირფიტა დაამზადა და მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებელი გახდა. 1923 წელს კომპანიის აქციები ბირჟაზეც გამოჩნდა.

მსოფლიო აღიარება ვრიგლის სავაჭრო მარკამ ექსპორტის წყალობით მოიპოვა. საწარმოები გაიხსნა კანადაში (1910 წ.), დიდ ბრიტანეთსა (1927 წ.) და ახალ ზელანდიაში (1939 წ.). ბაზრის გაფართოებამ ნაწარმის გამრავალფეროვნება მოითხოვა.

მეორე მსოფლიო ომის დროს კომპანიას მი-



სი დამაარსებლის გაფიშვილი, ფილიპ ვრიგლი ედგა სათავეში. ომმა საღებავ რეზინზე მოთხოვნილება განსაკვიფრებლად გაზარდა. ჯარისკაცებს დამაბულობას უმსუბუქებდა და საბრძოლო სულისკვეთებასაც აუძვლებდა... ვრიგლის პროდუქციის დიდი ნაწილი შეიარაღებულ ძალებს მიეწოდებოდა. წარმოებიდან ყველა ძველი დასახელების საღებავი რეზინი მოიხსნა და „საომარი“ მარკა „ორბიტი“ გახდა, 1946 წლიდან კი ძველ დასახელების საღებავი რეზინების გამოშვება კვლავ აღდგა.

კომპანია Wrigley-მ 1976 წელს „ორბიტი“ მეორედ გამოუშვა, ამჯერად გერმანიაში და თანაც უმაქრო. არნახულმა წარმატებამ განაპირობა მისი გავრცელება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში, შუა აზიასა და სხვა ბაზრებზე. მას შემდეგ ამ რეგიონებში „ორბიტი“ ლიდერობს. იგი ნაირნაირი გამოდის — ფირფიტების, ბალიშების ფორმის, პიტნის, სხვადასხვა ხილის არომატით, „ზამთრის სიგრილით“... „ორბიტი“ 150-ზე მეტ ქვეყანაში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანია, ფაბრიკები 20-ზე მეტ ქვეყანაში აშენდა.

ლინასტია

უილიამ ვრიგლი 1932 წელს გარდაიცვალა. მისი საქმე გაფიშვილმა, ფილიპმა განაგრძო. მის შემდეგ საგარეულო საქმეს შვილიშვილი უილიამი გაუძღვა, 1999 წლიდან კი კომპანიას უილიამ ვრიგლი-უმცროსი მართავდა. კომპანიის შტაბბინა ნორტ მიჩიგან-აგენიუზე ჩიკაგოს სიმბოლოდ მიიჩნევა და ამერიკის



უილიამ ვრიგლი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქონლის გასაყიდად რეკლამის გამოყენება დაიწყო



„ტიმის“ გარეკანზე მოხვედრა 1929 წელსაც დიდი პატივი იყო





*უილიამ ვრიგლი
მეუღლესთან
ერთად. 1929 წ.*

ერთ-ერთი ცნობილი ცათამბჯენია. ამ შენობის გამოსახულებას ჩიკაგოსთან დაკავშირებულ უამრავ წიგნზე, ფილმში თუ საგანზე ნახავთ. შტაბბინის ორი ფრთა სამსართულიანი თალითა და ორი ხიდიტაა შეერთებული, რომელთაგან ერთ-ერთი მე-14 სართულის სიმაღლეზეა. შენობის მთლიანი საოფისე ფართობი 442.000 კვმ-ია. Wrigley-ს შტაბბინაში სხვა კომპანიების ოფისები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, სარეკლამო სააგენტოები, ეროვნული ბანკი, ორი რესტორანი, საპარიკმახერო, კოსმეტიკური სალონი, ასლის გადამღები ბიურო და ორი ტურისტული სააგენტოცაა გახსნილი. შენობაში 3000-ზე მეტი კაცი მუშაობს. ორივე ფრთაში 15 ლიფტია.

შენობის გარე განათება კი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია და მნახველს გაოგნებულს ტოვებს.

Wrigley გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება. თუ 1990-იან წლებში კომპანია საღებავი რე-

ზინის თითზე ჩამოსათვლელ სახეობებს უშვებდა, 2005 წლისთვის მისმა რაოდენობამ 72-ს მიაღწია — კაპუჩინოს გემო, სიგრილის შვერძნება, შოკოლადის სიამოვნება, საღებავი რეზინი... ძაღლებისთვის. „მე არავითარ შესაძლებლობას არ გამოვიცხავე“, — აი, ვრიგლის დევიზი. 2008 წლის დასაწყისისთვის კომპანიის შემოსავალმა 3 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა.

წინამორბედთაგან განსხვავებით, კომპანიის მმართველი ბილ ვრიგლი ამბობდა, რომ აღარ სურდა ყოფილიყო კომპანიის ცენტრი. ბიზნესის ზრდასთან ერთად კომპანიის მართვაც უფრო და უფრო რთული ხდება. ამიტომ ბილი ტოპმენეჯერთა „გარედან“ მოყვანას ცდილობდა.

ბილ ვრიგლის მამა პედანტურობით გამოირჩეოდა და ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფორმალობებს. ახლო მეგობრებსაც კი მისთვის „მისტერ ვრიგლით“ უნდა მიემართათ. ფანტიკურად აკვირდებოდა ყველა დეტალს. ერთხელ თავისი დიზაინერი საგანგებოდ გამოიძახა ჩიკაგოდან პრალაში, რათა დარწმუნებულიყო, რომ ჩხეთის დედაქალაქის ოფისში ლურჯი ხალიჩის ტონალობა ზუსტად შეესაბამებოდა ჩიკაგოს შტაბბინის ხალიჩის ფერს.

ბილ ვრიგლი განქორწინებულია, სამი შვილი ჰყავს, მაგრამ არც ერთი მათგანი კომპანიაში არ მუშაობს. ვრიგლი ამბობდა, რომ არ აპირებს იმ კომპანიის ფასეულობათა შეცვლას, რომელსაც საღებავი რეზინის ბაზარზე 99% უჭირავს. ერთხელ მან თანამშრომლებს ასეთი შინაარსის წერილები დაუგზავნა: „თუ შეცდომას არ ვუშვებთ, ეს ნიშნავს, რომ არ ვენერგავთ არავითარ სიანხლეს და არც ვრისკავთ!“! თუმცა ერთხელ ის უკვე შეცდა: სამკურნალო საღებავი რეზინის 10 მლნ-იანი პროექტი მოულოდნელად დაიხურა.

2008 წლის სექტემბერში „ვრიგლის“ აქციონერებმა თანხმობა განაცხადეს და კომპანია ტეკნოლოგიის ბიზნესის გიგანტს, „მარსს“ მიჰყიდეს. გაერთიანებული კომპანია დღეს მსოფლიოში უმსხვილესი კონდიტერია. გარიგების მოცულობამ 23 მილიარდი დოლარი შეადგინა და მის დადებაში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, უორენ ბაფეტიც მონაწილეობდა. ხოლო ბილ ვრიგლის თავის წილად 2010 წელს 2,1 მილიარდი დოლარი ჰქონდა და მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგშიც 463-ე ადგილს დასჯერდა...

მოამზადა ნატა ენუქიძემ



WRIGLEY



რკინის აბჯარი საქართველოსი...

ქართული საჭურველი იქმნებოდა და „იწრთობოდა“ იმ განუწყვეტელ ომებში, რომელიც თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ უწყვედა. საქართველოში დამზადებულ საჭურველს ძველთაგანვე საუკეთესოდ მიიჩნევდნენ არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საჭურველისა და მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოებაში საუკუნეების განმავლობაში ოსტატდებოდნენ ქალაქელი და ქვეყნის მთიანი რეგიონების ხელოსნები, რომლებიც საჭურველის დამზადების საიდუმლოებას თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჯავარდენის ანუ მაღალხარისხოვანი ფოლადის ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყნად საქართველოა მიჩნეული. საქართველომ ბოლო დრომდე შემონახა ჯავარდენის წარმოების საიდუმლოება და მისგან საბრძოლო იარაღის დამზადების ტექნიკაც.

საჭურველზე არსებული დამღებითა და წარწერებით დადგენილია არა მხოლოდ სა-

ხელგანთქმულ მეიარაღეთა, არამედ იმ ისტორიულ პირთა ვინაობაც, რომელთაც ეს იარაღი ეკუთვნოდა. ასეთი წარწერებია ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, სოლომონ II-ის, გიორგი XII-ის თოფებზე და სხვ.

ბევრი წარწერა ქართველ მეომართა მტერზე მოპოვებულ გამარჯვებებზე მეტყველებს. ნაალაფვე საჭურველს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დაცული ჯალალედინის მუსარადი, შაჰ-აბასის ხმალი. ერთნი პარადოქსად მიიჩნევენ, მეორენი კი კანონზომიერებად, რომ შაჰ-აბასის ხმალს „გვერდს უმშვენიებს“ ნაპოლეონის ხმალი ფრანგული წარწერით...

მუზეუმში დაცულ საჭურველს ორ ჯგუფად ვყოფთ: თავდასაცავი და შესატყევი იარაღი. პირველს მივაკუთვნებთ თავდაცვით საშუალებებს: თავსარქველს, ჯაჭვს, ჯავშანს, ფარს და სხვ. მეორე ჯგუფშია: დასარტყმელი, საძვერებელი, საკვეთი, სატყორცნი და ცეცხლსაფრქვევი.

მუზეუმის ექსპონატებისა და სხვა ისტორიული წყაროების მრავალწლიანი და გულდასმით შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მეომრები ოთხი სახის თავსარქველს ხმარობდნენ: მაღალწვერიან მუზარადს, ჯამის ფორმის ჩაჩქანს, ჯაჭვით ნაქსოვ ჩაბალახს, კომბინირებულ თავსარქველს, რომელიც ჯამის ფორმის ჩაჩქანსა და მასზე ჩამობმული ჯაჭვისგან შედგებოდა.

საქართველოში ოვალური რგოლებისგან ასხმული ჯაჭვის პერანგი იყო გავრცელებული, მისი კალთა კი უფრო წვრილი რგოლებისგან შედგებოდა. ჯაჭვის პერანგს ჩვეულებრივ სამოსზე ზემოდან იცვამდნენ, რომელიც გულთან ჩაჭრილი იყო და ყელთან დუგებებით იკვრებოდა.

დამზადების ტექნიკის მიხედვით განასხვა-

ვებდნენ ფარეშიან, უფარეშო და შედუღებულ ჯაჭვებს. ეს უკანასკნელი უფრო გამძლე ითვლებოდა. ჯაჭვის ფართო სახელოები მხრებს ფარავდა და თითქმის იდაყვებამდე ჩამოდიოდა.

ჯაჭვის დამზადების პროცესს ძველად ჯაჭვის „ქსოვა“ ან „ასხმა“ ეწოდებოდა, რომელსაც ქვიმით აკრიალებდნენ ხოლმე. ჯაჭვის დამზადება ცოცხლად და საინტერესოა აღწერილი ხევესურულ ფოლკლორში.

ქართველი მეომრის ადკაზმულობას ავსებდა ჯაჭვიანი კიდურთსაფარი — „საფუხრე“, რომელიც თითქმის მთელ ხელს ფარავდა და მხოლოდ თითის წვერებს ტოვებდა დაუცველს. მარცხენა ხელზე „საფუხრე“ არც იყო საჭირო, რადგან იგი ისედაც ფართო იყო დაცული.

ქართული ფარები უპირატესად მრგვალი ფორმისაა. დამზადების ტექნიკის მიხედვით ისინი შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: 1. ტყავგადაკრული ხის ფარი; 2. ლითონით შეკრულ-შეჭედილი ტყავის ფარი; 3. ცივად ნაჭედი ლითონის ფარი.

მცირე ზომის ხევესურული ფარი მრგვალი

ქართველი მეომრის აბჯარი. თელავის მუზეუმი



ან ოვალური ფორმისაა. იგი მზადდებოდა ფურცლოვანი რკინისგან. ფარის ჩონჩხი რკინის ან სპილენძის ნაჭრებისგან შედგება. რკალის გარედან ნაწიბურებზე „ჯვარას“ ამაგრებდნენ, რომელიც რკინის ზოლებისგან ანუ ხიდებისგან შედგებოდა. ფარის ცენტრში ჯვარა უერთდებოდა რკინის ზესადებს — „გუმბათს“, რომელიც შუაში ამოზნექილია. ამ ნაწილს ეწოდება „გუმბათის ვაშლი“. ფარს გარედან ჰქონდა ერთი ან ორი რკალი — „გირგოლი“, რომელზედაც წვეტიანი რკინის ფარეშები იყო დამაგრებული. ფარს შიგნიდან ტყავს აკრავდნენ, სარჩულზე ოთხკუთხა ფორმის ტყავის ნაჭერს აკრებდნენ, რომელზედაც ღვედებისგან დაწნულ სახელურს — „საბლუჯავს“ ამაგრებდნენ.

ფარისთვის განკუთვნილ ტყავს ხევესურები განსაკუთრებული წესით ამუშავებდნენ. ხარს რომ გაატყავებდნენ, ტყავს ჯოხებზე გაჭიმავდნენ და მასზე საჭირო ზომის წრეს ამოჭრიდნენ. შავად შესაღებად ნელდ ტყავს ჭვარტლს ჩააგლეხდნენ, ან ერთი დღე-ღამის განმავლობაში ჭვარტლის ხსნარში ხარშავდნენ. შემდეგ გააშრობდნენ და უშუალოდ ფარის გაკეთებას შეუდგებოდნენ. გაშხადებული ფარი კერაზე უნდა შეებოლათ, სანამ მთლად არ გაშვებოდა. სწორედ ამან მისცა საბაბი შუა საუკუნეების აღმოსავლელ ავტორებს, არაგვის ხეობის მცხოვრებლებისთვის „ყარაყალყანები“ ეწოდებინათ, რაც ქართულად შეფაროსნებად ითარგმნება. ყარაყალყანებში ხევესურები უნდა იყარაუდებოდნენ.

მკითხველს უთუოდ დაინტერესებს მუზეუმში დაცული ქართული საბრძოლო საჭურვლის ნიმუშები.

საბრძოლო მათრახი სხვადასხვა სიმსხოსი იყო და ძველად ქართული მეომრის აუცილებელ თანმხლებ საგანს წარმოადგენდა. „ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად“, — ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“.

საბრძოლო მათრახს, ჩვეულებრივი მათრახისაგან განსხვავებით, მსხვილი და ენაბრტყელი ბოლო ჰქონდა. იგი, როგორც წესი, ხარის ტყავის ღვედებისგან კეთდებოდა. ღვედს დასამრგვალებლად და მისთვის განსაზღვრული სიმსხოს მისაცემად წინასწარ შინდის ხის ფიცარში ამოჭრილ რგოლში (ადიდაში) უყრიდნენ. მათრახს მავთულს აწნავდნენ, ტარს კი ხის ან ძვლისგან ამზადებდნენ.

ქვის უძველეს სატყორცნ იარაღს წარმო-



სამკლავი. თულავის მუზეუმი



ორგირგოლიანი ფარი. სიღნაღის მუზეუმი



მათრახები. სახელმწიფო მუზეუმი



საფუხრე. სიღნაღის მუზეუმი



მეომარი შურდულით.
მინიატიურა
ღაჯითნიდან

ადგენს შურდული. მის დასამზადებლად იყენებდნენ ლაფანს (თელის, ტირიფის, თუთის და სხვ.), ტუას, შალის ძაფს. საუკეთესო მასალად ითვლებოდა ხბოს ან ხარის ტყავი. საშურდულე ქვის სატარებლად ქართველ მეომრებს საგანგებო აბგაჯებიც, ე.წ. „ხალთა“ ჰქონდათ.

დანიშნულების მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ საბრძოლო, სანადირო და სამწყემსო შურდული.

ქართული მშვილდი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რქის ან ხისგან მზადდებოდა. რქის მშვილდს ჩვენში „აჯიშშვილდს“ უწოდებდნენ. საქართველოში დამოწმებულია სამშვილდე ხის, უპირატესად შინდის მოხარშვა და რქის მოღობობა-გამოყვანა, რისთვისაც იცოდნენ მის მიწაში ან ნაკელში ჩაფვლა, მშვილდის ლარი კუთდებოდა ძვესების, ნაწლაგების, კანაფისა და სხვა მასალისგან. ისარი სამფრთიანი იყო და ფრინველის ფრთისგან მზადდებოდა. განთქმული იყო გუდამაყრელი მშვილდის ოსტატების ნახელავი. საქართველოში გავრცელებული ყოფილა ხელთოფა, რომელიც დიდ მანძილზე ზუსტი სროლის საშუალებას იძლეოდა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში საჭურველი ქართული ტანსაცმლის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. ხმალი და სატევარი ოჯახურ რელიკვიად მიიჩნეოდა და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ჭაბუკს მისი სრულწლოვანების აღსანიშნავად საჭურველს გადასცემდნენ ხოლმე. ხმალი საქართველოში ძალაუფლების სიმბოლოსაც წარმოადგენდა. მეფისთვის ან სარდლისთვის ხმლის გადაცემის დროს თავისებური წესი, რიტუალი სრულდებოდა. გარდა საბრძოლო იარაღისა, საქართველოში მზადდებოდა საგანგებო სააღლუმო იარაღი.

ქართული ორფხიანი სატევარი ახლო მანძილზე გამოსაყენებელი იარაღია, რომელიც ნადირობის დროსაც იხმარებოდა. საქართველოში XIX საუკუნემდე მზადდებოდა სწორი ან ოდნავ მოხრილი ერთ და ორღარიანი სატევრები, მასიური ტარით. შემდეგ შემოვიდა უფრო პატარა, წვრილი სატევარი, რომელიც ქართველი ვაჭაკაცის ნაციონალური სამოსელის აუცილებელ სამკაულს შეადგენდა. სატევრის ტარსა და ქარქაშს სამკაულით ამკობდნენ. ბევრი ამ სატევართაგანი მხატვრული ოსტატობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

ქართული ხმალი ორგვარია: ვადიანი და უვადო. ქართველ ოსტატთა მიერ დამზადებულ ხმლის პირებს სახელი ჰქონდა მოხვეჭი-



კაპარჭი (ქარქაში
ისრებისთვის) საბრძოლო და
სანადირო ისრებით



ხმალი და სატევარი



ლი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ჩვენში უკანასკნელ დრომდე განთქმული იყო ხმლის პირები: დავითფერული ფრანგული, გორდა, კალდიმი და სხვ. ძველად ქართველი ხელოსნები საიდუმლოდ ინახავდნენ ჯავარდენის დამზადების ხერხს. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებმა ამოხსნეს ეს საიდუმლოება და მაღალხარისხიანი ფოლადის დამზადების რეცეპტი თავის დროზე რუსთაველ მეტალურგებს გადასცეს. დღეს კი ეს „საიდუმლოება“, სამწუხაროდ, აღარავის აინტერესებს...

გვიან ფეოდალურ ხანაში ქართველმა ხელოსნებმა აითვისეს ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება. ბევრი მათგანი ისე დახელოვდა ამ საქმეში, რომ თავისი დროისთვის სრულყოფილ საჭურველს ამზადებდა. ისტორიამ შემოგვინახა ისეთ გამოჩენილ ოსტატთა სახელები, როგორებიც იყვნენ: გუდამაყრელი პაპო და ხევსური სამნა. ამ უკანას-

კნელს პირადად იცნობდა მეფე ერეკლე II. და ახლოებით ამავე დროისათვის ოზურგეთელმა ოსტატებმა აითვისეს ღარლულიანი თოფების წარმოება.

მაღალი საბრძოლო თვისებებით ხასიათდებოდა ქართული დამბაჩები. ქართული სისტემის დამბაჩას „მაჭახელას“ სახელი დაერქვა დამბაჩების წარმოების ერთ-ერთი ცენტრის მიხედვით, რომელიც აჭარაში მდებარეობდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში თბილისში, ერეკლე II-ის თაოსნობით, ცეცხლსასროლი საჭურველის ქარხანა დაარსდა, სადაც ქვემეხებსა და მორტიერებს ამზადებდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ნაციონალური საჭურველის უმდიდრესი კოლექციის გვერდით მუზეუმში დაცულია ინდური, ჩინური, იაპონური, არაბული, თურქული, სპარსული, რუსული და ევროპული იარაღის საუკეთესო ნიმუშებიც.

კობა ჩოლოყაშვილი

დამბაჩა





თენგიზ ჩანტლაძე ღიმილით გაჩერებული დრო

5 ივნისს 78 წლისა გახდებოდა, თუმცა მის მეუღლეს — მსახიობ ზაირა ჩანტლაძეს ძალიან უჭირს ამ ასაკის დასახელება: 78 წელი ძალიან ბევრია ადამიანისთვის, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე დაამარცხა ასაკი. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენი წლისა იყო მეგრული მილიციელი, ან გაბუტული ლუარსაბი... ან იმას რა მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენი წლის იყო თამადა, რომელიც თავის ფაცხაში მოწყობილ ლხინს ნამდვილ სანახობად აქცევდა ხოლმე... ბავშვებით იცოდა მოღვინა — მთელი სულითა და გულით... ლექსებსაც წაიკითხავდა. ბევრს არა, სულ რამდენიმე ლექსს კითხულობდა... მაგრამ ისე კითხულობდა, ვერასდროს ვეღარავინ რომ ვერ წაიკითხავს.

...საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, არც ხუთი წლის ბიჭვით სკამზე ასვლას დაგზარდებოდათ. საოცარი სანახავი იყო: იდგა ჭიქით ხელში, თვლებიდან სიკეთეს ასხივებდა და იმას ამბობდა, რაც უნდა ეთქვა, რომ ყველას ირგვლივ დაიწყო თავისი სატკივარი, ფაცხის მიღმა გაშვებული ცხოვრების რიტმი — უკვე რომ ნელ-ნელა გადადიოდა ჯუნგლების კანონების ქვეშ მყოფთა ცხოვრების რიტმში. თენგიზ ჩანტლაძესთან დრო გაჩერებული იყო. თვითონ ბავშვურად ლაღი და ალაღი ვერ შეეგუებოდა, რომ დროს შეეტანა ღვარძლი ან და-

პირისპირება მის ახლობლებში. იდგა ადამიანის კეთილბუნებულების სადარაჯოზე და აცინებდა ყველას... კარგად იცოდა, ასე კეთილ დიმილში უფრო ადვილი იყო ტკივილით საესე ცხოვრების გზის გავლა.

არტისტიზმით ბუნებამ დააჯილდოვა, სულ 8 წლისა იყო, როცა პოლში ოთხ ხმაზე ლაპარაკობდა, ვითომ მამამისის მეგობრები მოვიდნენ და მათ ესაუბრებოდა. იმდენად დამაჯერებელი იყო ეს „გათამაშება“, რომ გაკვირვებული მამა გაფაციცებით ეძებდა მოსულ სტუმრებს...

— მგონი, თენგიზმა ფეხი რომ აიდგა, უკვე თენგიზ ჩანტლაძე იყო... ჩამოყალიბებული პიროვნება გახლდათ, — ამბობს მისი მეუღლე.

ახალგაზრდაც ისეთი იყო, როგორიც ბავშვი... შუახნისაც ისეთი იყო, როგორიც ახალგაზრდა...

ახალი პროგრამა მზადდებოდა და პლაკატისთვის ფოტოები უნდა გადაეღოთ... მაშინ 28 წლისა იყო. ზაირა — 23 წლისა. რეპეტიციაზე მიდიოდა, თენგიზმა დაუმახა და მოახედა... ასეთები იყვნენ, როცა ერთმანეთი შეუყვარდათ... ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო. 1961 წელს ინსტიტუტი დაამთავრა, სოხუმის თეატრში არ გაუშვეს მშობლებმა... დარჩა თბილისში უმუშევარი... მაშინ იკრიბებოდა თენგიზ ჩანტლაძის ჯგუფი, რომელიც ფილარმონიაში ამზადებდა პროგრამას. მეგობრის ოჯახში შეიკრიბნენ. თენგიზმა პროგრამა წაიკითხა. ძალიან მომეწონა, — იხსენებს ქალბატონი ზაირა, — მაგრამ პროგრამაზე მეტად თენგიზი მომეწონაო. იმ საღამოს შეროზიაზე, სახლამდე მიაცილა თენგიზმა და უთხრა: დღეიდან სიგარეტს აღარ მოწვევ და პომადას აღარ წაისვამო... ასე დაიწყო. ხუთი წლის შემდეგ იქორწინეს.

„ისტორიანის“ მკითხველს ექსკლუზიუ-



პატარა თენგიზ ჩანტლაძე



რად ვთავაზობთ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილია პირველი საჩუქარი, რომელიც თენგიზ ჩანტლაძემ შეყვარებულს მიართვა. ორი მხიარული ჭუკი, რომელიც მხატვარმა ალბათ ბავშვებისთვის შექმნა, ზაირას უყვია და პაემანზე აჩუქა... დღემდე ინახავს და უყვარს... ძალიან იაფფასიანი საჩუქარი იყო, მაგრამ თენგიზის მოძღვნილს ფასი არ ეზომებოდა.

საერთოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა. მაშინ ერთ გამოსვლაში 8 მანეთს აძლევდნენ... და ყოველი 8 მანეთიდან ცოტას ზოგავდა კიდევ, რომ მანქანა ეყვია... მანქანა მისი ოცნება იყო... და იცით, ვიდრე ახალგაზრდა იყო და ამ ოცნების ასასრულებლად ძალას იკრებდა, ფეხსაცმელი არ ჰქონდა რიგიანი, წყალი რომ არ შესულიყო... ჟურნალ „ოგონიოკის“ ყდა ჰქონდა ჩაფენილი...

მეუღლეს ყველაფერი უსიტყვოდ ესმოდა. ამიტომაც უყვარდა უსაზღვროდ. თუმცა ენუმ-

თვითონ ბავშვურად ლაღი და ალაღი ვერ შეეგუებოდა, რომ დროს შეეჭანა ღვარძლი ან დაპირისპირება მის ახლობლებში



სცენა სპექტაკლიდან

რებოდა კიდევ: შენ ჩემი მონაპოვარი ხარ — ანუ მონაცა და „პოვარიცო“...

თენგიზ ჩანტლაძე ძალიან მგრძნობიარე იყო, მშობლებზე მუდმივად დარდობდა. გასტროლებზე ჩავიდოდა თუ არა, სულ ფოსტაში გარბოდა, რომ თბილისში დაერეკა და მშობლების ამბავი გაეგო.

ერთხელ მამამისი მოსკოვში წავიდა. იქ ავად გახდა. სასწრაფოდ გაფრინდა თენგიზი. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა, უნდა გენახათ, როგორ ჩამოვიდა აეროპორტში, როგორ გაფაციცებული ეკითხებოდა მეუღლეს, როგორ ხარო...

ზაირას სამკაულები უყვარდა... ერთხელ ოდესაში ძალიან ლამაზი ბეჭედი ნახა. თენგიზმა: ოღონდ ახლა ეს არ მაყიდვინო... თბილისში მოგცემ ფულს და უკეთესს გიყიდი, მაგრამ ახლა ვერ დავხარჯავ ამაზე თანხას, საჩუქრებისთვის მჭირდებაო.

საჩუქარი კი ყველასთვის უნდა ჩამოეტანა, წესად ჰქონდა. ყველაზე ძვირად ღირებულ საჩუქარი მამის ბავშვთა სახლში აღზრდილი ბიჭისთვის, გვარად კოლცოვისთვის იყო.

და, თეატრში სცენის მუშა იყო. დამლაგებელი არ დარჩებოდა უყურადღებოდ და კარისკაცი... იმ დღესაც, ოდესიდან რომ დაბრუნდნენ, 40-ზე მეტი საჩუქარი ჩამოიტანა საქართველოში...

რომ გაბრაზდებოდა, აბოხოქრდებოდა, მაგრამ წუთის შემდეგ აღარ ახსოვდა წყენა. ბოლმა გულში არასოდეს ჩაუდევს.

ერთი ჩვევა ჰქონდა, სადაც უნდა ყოფილიყო, უსათუოდ თეატრში უნდა გამოეყო.

გამთენიისას ბრუნდებოდა წვეულებიდან და ჩვეულებას არ უღალატა, თეატრში გამოიარა. აბრაზუნებს კარზე, არავინ უღებს... არადა, დარაჯს უნდა ესმოდეს წესით... არავინ გამოდის. იმდენი ქნა, სულ ჩამოიღო კარი, გვერდით მიაყუდა და თეატრში შევიდა. წაადგა დარაჯს თავზე, რომელიც იმ საღამოს დამთვრალიყო და ეძინა. კაცი იფიქრებდა, ახლა ამ უპასუხისმგებლო დარაჯს შუაზე გაგლეჯსო... არადა, რომ დაინახა ფერწასული დარაჯი, მოლბა, აღარაფერი უთქვამს.

თეატრი მისი ცხოვრება იყო: ყველა გზას თავის თეატრთან მიჰყავდა... სხვათა შორის,

თავის კაბინეტში სხვა ფოტოების გვერდით თავისი ძაღლის — ჯუღბარსის ფოტოც ეკიდა...

ძაღლი სულ ჰყავდა და ყველა ძაღლს ჯუღბარსს არქმევდა... ერთი მუზობელმა მოუწამლა — ბევრს ყფესო, მეორე — მილიციის სკოლაში დაჰყავდა... იმისი დიპლომის აღება მეგობრებთან ერთად აღნიშნა... ჰყავდა მსახიობი ჯუღბარსიც... სპექტაკლში შეჰყავდა. სწორედ ბოლო ჯუღბარსის ფოტო ეკიდა კაბინეტში... ერთხელ მოხუცებულმა დედამ შორიდან ვერ გაარჩია, რა ფოტო იყო კედელზე და შიამიშად იკითხა: ეს რა ნიღაბიაო... თენგიზი ხომ ნიღებით თამაშობდა. დიდხანს ეცინებოდათ ამ ამბავზე... ნიღაბი კი არა, ჯუღბარსი იყო, რომელმაც პატრონის გარდაცვალების შემდეგ კარგა ხანს წყალიც კი არ დალია...

რაიკინის თეატრი მინიატიურების თეატრთან მეგობრობდა, ფაცხაში გამართული ქეიფები რომ ნახეს, გაოცდნენ, ამის სცენარსაც წერთო? არაუითარი სცენარი არ არსებობდა. ეს თენგიზ ჩანტლაძის ჩვეულებრივი მასპინძლობა იყო...

ხშირად ამ ფაცხაში სპეციალურად აწყობდა „მიღებას“, რომ გულნატკენი მეგობარი გახალისებინა. ნოდარ ახალკაცთან მეგობრობ-



რომ გაბრაზდებოდა, აბობოქრდებოდა, მაგრამ წუთის შემდეგ აღარ ახსოვდა წვეწა. ბოლმა გულში არასოდეს ჩაუღვდეს



*სცენაზე
მეუღლესთან ერთად*



პირველი საჩუქარი, რომელიც თენგიზ ჩანტლაძემ შეყვარებულს მიართვა. ორი მხიარული ჭკუი, რომელიც მზატვარმა ალბათ ბავშვებისთვის შექმნა, ზაირას უყიდა და პაემანზე აჩუქა...

და. მისი ბედი ძალიან აწუხებდა — საშინლად მოექცნენო... იყო ასეთი შემთხვევა: ფაცხაში დიდი მხიარულება ჰქონდა, გარეთ გამოვიდოდა, ვითომ საქმეზე, ზაირასთან მივიდოდა: ძალიან ცუდად არის ნოდარი, გული მიკ-



კაბინეტში სხვა ფოტოების გვერდით თავისი ძაღლის — ჯულბარსის ფოტოც ეკიდა... ძაღლი სულ ჰყავდა და ყველა ძაღლს ჯულბარსს არქმევდა...

ვლებო, ცრემლს სახელოთი მოიწმენდა და სუფრასთან შებრუნდებოდა. ვითომ აქ არაფერი — მხიარული თენგიზი იყო, რომელიც სასაცილო ამბებს ჰყვებოდა, მღეროდა, ცეკვავდა. გული კი უდუღდა. როცა თვითონ ატკინეს გული, აღარავინ ჰყავდა ისეთი, რომ მისი ტკივილი გაეზიარებინა...

ფაცხის კარზე ჭედური ჭადრის ფოთოლი ეკიდა, ზედ ამოჭედვით იყო სიტყვა „ძმობა“. თენგიზ ჩანტლაძეს მართლაც შეეძლო ალალი ძმობა.

საერთოდ, ადამიანებთან ისეთივე თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც თავის პერსონაჟებთან. უყვარდა და ჩვენც გვაყვარებდა... ასე შემოვიდა მაყურებლის გულში მილიციელი, დიდი სიყვარულით რომ გაამარჟა.


მილიციის უფროსი გვარამია თენგიზ ჩანტლაძის ერთ-ერთი საუკეთესო როლია. მაშინ როცა საბჭოთა მილიცია არავის პატივისცემას აღარ იმსახურებდა, მან შეძლო და სიკეთით აავსო თავისი პერსონაჟი, არც ტენდენციურობა დაუკარგა, არც საქმისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, არც საქართველოს ულამაზესი კუთხის — სამეგრელოს წარმომადგენლისთვის დამახასიათებელი მეგრული შინაურულობა მეგრელისადმი, ყველაფერს ერთად კი საფუძველში სიყვარული ჩაუდო. ამიტომაც შეიყვარა საქართველომ მილიციის უფროსი გვარამია. ამ მინიატიურას დღემდე აქვს უდიდესი ძალა, რომ გაგაცინოს და გაგახალისოს. გახსოვთ, როგორ შეუყვანენ ოთხ წესრიგის დამრღვევ სტუდენტს განყოფილებაში? როგორ ეუბნებიან, ესენი ოპერის წინ ღრიალებდნენ და ძილს უფრთხოებდნენ პატიოსან საზოგადოებასო... ვინ თქვაო... ზემდემა ჯამასპიშვილმაო...

„ — ჯამასპიშვილს სმენა არა აქვს... ჯამასპიშვილის აზრით თუ სიმღერა ხულიგნობაა, ცეკვა ბანდიტიზმი იქნება, ბიჭო!“ — ამბობს თენგიზ ჩანტლაძის გმირი და მაყურებელი გულიანად იცინის. მისი ყველა სიტყვა ფრთიან ფრაზებად დადიოდა თბილისში.

საოცარია, მისი ფრაზები დღესაც ცოცხალია. არც ერთ სპექტაკლს არ რეგებია ასეთი მასშტაბური ხალხური სიყვარული და აღიარება, როგორც მის სპექტაკლებს. თენგიზ ჩანტლაძე ახსოვთ და უყვართ, და თუმცა ცოცხალი აღარაა, მისი ხმა, მისი სპექტაკლების კადრები ისევ მხიარულ ტალღად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში.

ლელა ჯიყაშვილი

თულუხები მტკვრის ნაპირას.
ალექსანდრე ენგელის ფოტო,
1890 წ.



თულუხები

კველი თბილისის ისტორიიდან

თბილისის მოსახლეობა ოდითგანვე წყალს ქალაქიდან საკმაო მანძილით მოშორებული წყაროებიდან ეზიდებოდა. არქეოლოგიური მასალებით დადასტურდა, რომ წაგვისიდან, ოქროვანასა და სოლოლაკის ქედიდან ნარიყალის ციხესა და თბილისის მოსახლეობას სასმელი წყალი თიხის მილებით მიეწოდებოდა. მთაწმინდის ქედიდან კი სარწყავი წყალიც იყო გამოყვანილი.

მტრის გაუთავებელ შემოსევათა შედეგად XV საუკუნიდან ქვეყნის განვითარება შეფერხდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მრავალწლიანმა ბატონობამ, სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად, დიდი ზიანი მიაყენა კარგად გამართულ საირიგაციო სისტემას, რომელიც ჯერ მოიშალა, ხოლო შემდეგ თანდათან დაზიანებასაც მიეცა.

ძველი თბილისის მოსახლეობას, საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის თუ სასმელად, ბუნებრივია, დიდი რაოდენობით წყალი სჭირდებოდა. წყალსადენების არარსებობის პირობებში კი ქალაქელები იძულებული გახდნენ,

წყალი მდინარე მტკვრიდან ამოეღოთ. დახრამული და ფლატე ადგილების გამო წყლის ამოღება ყველგან ვერ ხერხდებოდა, ამიტომაც მდინარეზე ჩასასვლელად საგანგებო ბილიკებს აწყობდნენ.



თბილისელი თულუხები




XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში დაახლოებით 240 თულუხნი იყო. თბილისში წყალსაზიდმა თუ წყალზე მისასვლელმა ბილიკებმა ახალი მიკროტოპონიმებიც წარმოქმნა. ძველ გარეთუბანში – წყალსაზიდის ქუჩა, ხოლო ჩუღურეთში მტკვართან ახლოს – წყალსაწვეის ქუჩა გაჩნდა.

მტკვრიდან ამოღებულ წყალს ხარის ტყავისგან სპეციალურად, წყლის ჩასასხმელად შეკერილ რუმბებში ანუ თულუხებში ჩაასხამდნენ და ისე დაჰქონდათ ქვლაქში. თულუხს ტყავის ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული, ხოლო წყალს მასში ვიწრო ყელიდან ასხამდნენ. თითო თულუხი 4-5 ფუთ (1 ფუთი დაახლოებით 16 ლიტრია) წყალს იტევდა, ცხენს ან ჯორს ორივე გვერდზე გადაკიდებდნენ და უნაგირის კეზზე ყულფებით ამაგრებდნენ. ცხენს რომ ზურგი არ გახეზოდა და წყლის შხეფებისგანაც დაცული ყოფილიყო, თულუხს ქვეშ ბეწვიან ტყავს უფენდნენ. ვისაც ცხენი ან ჯორი არ ჰყავდა, თულუხს ზურგით ატარებდა. ზოგს წყალი ზურგზე მოკიდებული კოკებითა და კასრებითაც დაჰქონდა. რადგან ძველ თბილისში წყლის ჩასასხმელ ჭურჭელს თულუხი ერქვა, წყლის გამყიდველებს თულუხჩებს ეძახდნენ.

თულუხჩები თულუხთან ერთად, საწყაოსაც (ვედროს) ატარებდნენ. ვედრო წყალი იმ დროს 1-3 კაპიკი ღირდა. წყალს ფასს კი იმის მიხედვით ადებდნენ, რა სიმორიდან და მტკვრის რომელი ნაპირიდან იყო აღებული. თულუხჩი გაყიდული წყლის ფულს მუშტრისგან კვირის თავზე იღებდა. ანგარიში რომ არ არეოდა, მუშტარს ჯოხს — ლარტყას აძლევდა, რომელზეც წყლის ყოველი მიტანისას ახალ ნაჭდევს აკეთებდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში დაახლოებით 240 თულუხნი იყო, რომელნიც, ხელოსნების მსგავსად, თავიანთ ამქარში იყვნენ გაერთიანებული.

თბილისში წყალსაზიდმა თუ წყალზე მისასვლელმა ბილიკებმა ახალი მიკროტოპონიმებიც წარმოქმნა. ძველ გარეთუბანში — წყალსაზიდის ქუჩა, ხოლო ჩუღურეთში მტკვართან ახლოს, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის გვერდით მდგარი წყალსაქაჩის გამო — წყალსაწვეის ქუჩა გაჩნდა.



ბასტა – თულუხნები ამ სიტყვას ხმარობდნენ, როცა თულუხი წყლით აფესობდა...
იოსებ გრიშაშვილი

ძველი თბილისური ყოფა-ცხოვრება თულუხნების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ქალაქელები სასმელ წყალს მტკვრიდან იღებდნენ და ხარის ტყავისაგან საგანგებოდ შეკერილი თულუხით დაჰქონდათ.

1893 წლიდან ქალაქის თვითმმართველობამ თბილისში თულუხები ხის კასრებით შეცვალა, მაგრამ წყლის მზიდავს ძველებურად თულუხნი ან მეთულუხე ერქვა.

თულუხების პარალელურად ქალაქის სხვადასხვა უბანში კერძო პირები, მემამულეები და ვაჭრები ცდილობდნენ წყალსაქაჩების მოწყობას. ზოგან წყალი მიღებითაც გაიყვანეს. 1851 წელს ქალაქის პოლიციის შენობის

წინ სოლოლაკის წყაროებიდან გამოყვანილი წყალსადენის საშუალებით შადრევანი და აუზი მოეწყო (1000 ვედრო წყლის ტევადობით).

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, წყლის პრობლემისთვის საკუთარი ხარჯებით მოეწყო. ახალი წყალსადენისთვის ადგილის გამონახვა ქალაქის არქიტექტორ ალექსანდრ ოზეროვს დაევალა. პირველი საძიებო სამუშაოები დი-



თულუხნი — ალექსანდრე როინაშვილის ფოტო

დუბეში დაიწყო. არ გასულა დიდი ხანი, რომ გადაწედა წყალსადენის მშენებლობის ავჭალაში დაწევა. ავჭალის წყალსადენის საბოლოო პროექტი ინჟინერმა მასკელემ შეადგინა. მშენებლობის ხელმძღვანელებად დაინიშნენ ინჟინრები კონრადი და ოზეროვი. 1883 წელს დაწყებული მშენებლობა 1887 წლის სექტემბერში დამთავრდა.

ძალიან მალე კი ქალაქი ისე გაიზარდა, რომ სასმელი წყლით ვეღარც ავჭალის წყალსადენი აკმაყოფილებდა. ამიტომ ავჭალის წყაროს წყლებში დაიწეეს გაფილტრული მტკვრის წყლის შერევა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობა დღითი დღე იმატებდა და წყალზე მოთხოვნილებაც გაცილებით მეტი იყო, XX საუკუნის დასაწყისისთვის ახალი წყალსადენების მოწყობამ მეთულუხნეებზე მოთხოვნილების თანდათან შემცირება და ბოლოს, ამ „პროფესიის“ გაქრობა გამოიწვია.

ალექსანდრე ზოზიშვილი



კასრებიანი თულუხნი. ტფილისი, 1908 წ. იოსებ გრიშაშვილის ფოტოკოლექციიდან

ქართული ღვინის ზეიმი ეთნობრაფიულ მუზეუმში

მევენახეობა-მელვინეობას საქართველოში რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია აქვს. მსოფლიოში აღიარებულია და ამას არქეოლოგიური აღმოჩენებიც ადასტურებენ, რომ აქ მოაშენეს პირველად კულტურული ვაზი, აქ დაიწერა პირველად ღვინო.



„ხომ წარმოგიდგინებთ, ერთბაშად მილიარდი კაცი რომ მიინდობაგს ჩვენაბური ღვინის დაბამოვნებას“

ქართული ვაზი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა, ჩვენს ქვეყანაში 525 ჯიშის ვაზი იყო გაერცელებული. ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარემ ყურძნის მრავალი სახეობა შექმნა და ჩვენამდე მოიტანა, ღვინის დაყენების სხვადასხვა მეთოდი გამოიმუშავა და ღვინის მრავალფეროვანი სახეობანიც დაგვიტოვა.

იგივე ითქმის თვით ისლამური თურქეთის რამდენიმე ასწლოვანი ბატონობის უღელქვეშ მყოფ აჭარასა და სამცხე-ჯავახეთზე. მევენახეობა-მელვინეობის კლასიკურ კუთხეში, კახეთში კი დღეს ყურძნის სამოცდაათამდე უნიკალური ჯიშში დასტურდება.

ჩვენი ეთნიკური სიმიდრეა რქაწითელი და ბუდეშური, საფერავი და ხარისთვალა, ხისვი და შავკაპიტო, ჩინური და ძველშავი, თავკვერი და ალადასტური, ციცქა და ცოლიკაური, ალექსანდროული და ოჯალეში.

მრავალფეროვანი იყო საქართველოში ღვინის დაყენების წესებიც და ამის გამო სრულიად სხვადასხვა ელფერის, გემოსა და სურ-

ნელების ღვინო დგებოდა. ამიტომაც გააჩნდა ჩვენს წინაპარს გამორჩეულ და გამოსაჩინებელ ღვინოებთან ერთად რიტუალური ზედაშე და სადვთო, საქორწილო და საღვინო, ყოველდღე სახმარი და მუშა-შემწის გასამასპინძლებელი, საღაღობო და ქაღებისთვის განკუთვნილი მსუბუქი ღვინოები. ერთი და იგივე სახეობის ვაზი სხვადასხვა კუთხეში, ზოგჯერ სხვადასხვა სოფელშიც კი სხვადასხვა სახისა და არომატის ღვინოს იძლევა.

ვაზი და ღვინო იყო ისტორიულად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი. ამიტომაც გაზღდათ მსოფლიო ისტორიისთვის გამორჩეული და განსაკუთრებული ქართველთა ბრძოლა ვაზის დასაცავად. მტერი ხომ ქართულ გენოფონდთან ერთად კულტურულ ფლორას — ვაზს, კაკალს, თუთის ხეებს „ებრძოდა“.

ღვინის ისტორია, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან იწყება და მისმა ნაკვალევმა ყველაზე ცხადად საქართველოში იჩინა თავი. საქართველო რომ პირველი ღვი-



ღავით ლორთქიფანიძე:
სიმბოლურია, რომ ამ ფესტივალს ღია ცის ქვეშ მუზეუმი მასპინძლობს



ნიკა ლალიაშვილი:
ღღეს აქ თითქმის მთელი საქართველოა



მალხაზ ხარბაღია:
ფესტივალზე არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება, უცხოელებიც ეცნობიან ჩვენს ღვინოებს

ნის ქვეყანაა, ეს იქიდანაც თვალსაჩინოა, რომ ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ, ქვემო ქართლში, თბილისის სამხრეთით, მარნეულის ველზე უძველეს ნასახლარში არქეოლოგებმა ძვ.წ. VI-V ათასწლეულების ვაზის წიპწები აღმოაჩინეს. ეს წიპწები მეცნიერებმა ვაზის კულტურულ სახეობას მიაკუთვნეს.

რაც შეეხება უძველეს ღვინის ჭურჭელს, საქართველოში ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის არაერთი ქვევრია აღმოჩენილი...

ეთნოგრაფიული მუზეუმი სწორედ ის ადგილია, სადაც დაცულია ქვევრის უნიკალური სიმდიდრის ნიმუშები, რომლებიც ღვინოსა და ვაზს უკავშირდება.

ახალი ღვინის ფესტივალს წლეულს მეორედ მასპინძლობს მუზეუმი. ფესტივალზე წარმოადგინეს ქვევრის თითქმის ყველა რეგიონში შარშან მოწეული ყურძნისგან დაყენებული ღვინოები.

ღავით ლორთქიფანიძე (ეროვნული მუზეუმის დირექტორი): „სიმბოლურია, რომ ამ ფესტივალს ღია ცის ქვეშ მუზეუმი მასპინძლობს. აქ მოსულთ საშუალება აქვთ არა მხოლოდ ქართულ ღვინოებს, მის ახალ სახეობებსა და ახალ მწარმოებლებს გაეცნონ, არამედ ისტორიულ მარნებს, ყურძნის მოყვანისა და ღვინის დაყენება-მოვლის უამრავ ხელსაწყო-იარაღს, ღვინის დაგემოვნების უნიკალურ ჭურჭელს — ვერცხლის სურა-ყარყარებით დაწყებული, ორშიმო-ჭინჭილებით დამთავრებული. ამიტომაც ასე უხდება აქაურობას ზეიმი ვაზისა და ღვინისა“.

ნიკა ლალიაშვილი (პარლამენტარი, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი): „ღღეს აქ თითქმის მთელი საქართველოა. 31-მა ოჯახმა 50-მდე სახეობის ღვინო წარმოადგინა, ასევე მრავალფეროვანია ოცზე მეტი კომპანიის ასორტიმენტი, მათ შორის ქვევრის ღვინოებიც. ვფიქრობთ, ამ გამოფენით ხელი შევუწყვით ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ასეც არის. დამეთანხმებით, უცხოელი, რომელმაც ღღეს უგემრიელესი ქართული ღვინოები დააგემოვნა და აღფრთოვანება ვერ დამალა, თავის სამშობლოში პირველ რიგში ქართულ ღვინოს იყიდის...“

მალხაზ ხარბაღია („ღვინის კლუბის“ პრეზიდენტი): „არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება, უცხოელებიც ეცნობიან ჩვენს ღვინოებს. ჩინელებმა ისე მოიწონეს ჩვენი ღვინო, რომ თავიანთი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის არაერთი სიუჟეტი მოამზადეს. ხომ

*ფესტივალზე ღვინის
ჭურჭლის ხალხური რეწვის
ოსტატებიც გამოჩნდნენ...*



*მრავალფეროვანი იყო საქართველოში
ღვინის დაყენების წესები... ჩვენი წინაპარი
გამორჩეულ და გამოსაჩინებელ
ღვინოებთან ერთად აყენებდა რიტუალურ
ზედაშე და საღვთო, საქორწილო და
სალხინო, ყოველდღე სახმარ და მუშა-
შემწის გასამაჰინებელ, სალაღობო და
ქაღებისთვის განკუთვნილ მსუბუქ
ღვინოებს.*

წარმოვიდგენიათ, ერთბაშად მილიარდი კაცი რომ მოინდომებს ჩვენებური ღვინის დაგემოვნებას...

ფესტივალზე ჯონ ვურდემანს ვეცნობით, შოტლანდიურ-გერმანული წარმოშობის სიდნალში „გადმოსახლებულ“ ამერიკელს, კომპანია „ხოხბის ცრემლებს“ ხელმძღვანელს. მისი თქმით, აქ მოსულია ყველა, ვისაც აინტერესებს და უყვარს ღვინო, ოღონდ ნაღდი, ნატურალური ღვინო. „ხოხბის ცრემლებს“ ღვინოებს უკვე არაერთ ქვეყანაში იცნობენ. კომპანიისთვის ეს სახელი კი იმიტომ დაურქმევიათ, რომ ძველქართული თქმულების მიხედვით, კახელი გლეხის მიერ დაწურულ მაღლიან ღვი-



ნოს ხოზობიც კი აუტირებია სიხარულით...

თუ სიღნაღელი ამერიკელი ჩინურს, ქისის, მწვანეს, რქაწითელს, საფერავს, შავკაპიტოს, თავკვერს ბოთლებში ასხამს, კომპანია „ალავერდის მონასტრის მარანი და მისი მეგობრები“ ქვევრის ღვინოს ანიჭებენ უპირატესობას. მამა გერასიმე თიხის დოქიდან გვისხამს მადლიან რქაწითელს და ტაძრის მრევლზე საუბრობს, ვახის მოვლა-მოყვანით რომ დაუსაქმებიათ. აღსანიშნავია, რომ ალავერდის მონასტრის ისტორიული მარანი XI საუკუნის ძეგლია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ 50-ზე მეტი სხვადასხვა ზომის ტევადობის ქვევრი აღმოაჩინეს, რომელიც თავის დროზე 70 ტონაზე მეტ ღვინოს იტევდა. ამ რამდენიმე წლის წინ ისტორიული მარანი აღადგინეს და მას ალავერდის მამათა მონასტერი პატრონობს. მარნის ერთ ნაწილში ჩაიყარა ახალი ქვევრები, სადაც ღვინო ტრადიციული კახური წესითაც მზადდება და ევროპული ტექნოლოგიითაც.

1882 წელს სანქტ-პეტერბურგში, საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა ცქრიალა ღვინომ გრან-პრი დაიმსახურა. „ბაგრატიონი 1882“ ქართველ მეფეთა შთამომავლის, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სახელს უკავშირდე-

ბა, რომელმაც XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო ქართული ცქრიალა ღვინის წარმოება ფრანგული მეთოდით. ეთნოგრაფიულ მუზეუმში ხალხმრავლობა იყო ბაგრატიონელთა მრავალფეროვანი ცქრიალა ღვინოების დასაგემოვნებლად. ფესტივალის მონაწილეებს ელოდათ სიურპრიზიც. თბილისის მერმა გიგი უგულავამ ორგო (ქვევრის სახურავი) ახადა საგანგებოდ ამ დღისთვის მუზეუმის ეზოში ჩამარხულ ქვევრს და ორშემოთი თაგადვე ჩამოუსხა ფესტივალის სტუმრებს შარშან შემოდგომაზე დაყენებული მადლიანი რქაწითელი.

გაიოზ სოფრომაძის, დარჩიაშვილის, ვეფხვაძის, ციხელაშვილების, ნიკოლაძეების მარნები, ჯაყელების ღვინოები, „თელიანი ველი“, „თბილღვინო“, „ოქროღვინო“, „მანავის სამეფო ზერები“, „შუხმანის ღვინოები“, „ხარება“ და ოჯახური მარნები... — აი, არასრული ჩამონათვალი იმ არაჩვეულებრივი და უგემრიელები ღვინოების მწარმოებლებისა, რომელთაც 14 მაისს თბილისელებსა და მათ უცხოელ სტუმრებს გაზაფხულის მზიანი დღე ბახუსით გაუფერადეს და ღია ცის ქვეშ მუზეუმიდან გახალისებულ-გამსუბუქებული გამოუშვეს.

ნოდარ შოშიტაშვილი

ღვინის ფესტივალზე...



მის ოჯახში ყოველთვის ბევრი წიგნი იყო. სანამ კითხვას ისწავლიდა, უფროსები უკითხავდნენ. ყველაზე მეტად მოსწონდა, როცა ბებია კითხულობდა მისთვის. არ ახსოვს, დამოუკიდებლად რომელი წიგნი წაიკითხა, მაგრამ კარგად ახსოვს ის შთაბეჭდილება, რაც ძმები გრიმების ზღაპრებსა და „ათას ერთი ღამის“ თავგადასავლებს მოჰყვა. ზღაპრებს ახლაც სიამოვნებით კითხულობს. ამბობს, რომ ზღაპრებში ერის ხასიათი კარგად იკითხება. „ერუდიტი“ სტუმარი ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი, ფილოლოგი-გერმანისტი **ლაშა ბაქრაძე** გახლავთ.

ლაშა ბაქრაძე:

„კარბია, როცა საკუთარი წარსული იცვი, როგორც ნაწილი საერთო საპაციობრიო ისტორიისა“

■ ბატონო ლაშა, ამჟამად რას კითხულობთ?

— უკვე წლებია, ერთდროულად რამდენიმე წიგნს ვკითხულობ. ლიტერატურის მუზეუმში საგამოცემლო საქმიანობასაც მივლევეთ და ამის გამოც უამრავი ტექსტის გაცნობა მიწევს. ბოლო დროს მხატვრულზე მეტად სამეცნიერო ლიტერატურას ვკითხულობ, მათ შორის, ისტორიულს. კაცმა საკუთარი წარსული უნდა იცოდეს, მაგრამ მხოლოდ ამით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ყველაზე კარგია, როცა საკუთარი წარსული იცვი, მაგრამ არა ამოვარდნილად მსოფლიო კონტექსტიდან, არამედ იცვი, როგორც ნაწილი საერთო საპაციობრიო ისტორიისა. ასე რომ, არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნაა საჭირო, არამედ მეზობლების, მათი მეზობლების და სხვ. საერთოდ, თუ ბევრი იცვი, ამას რა ჯობია (*იცინის*)?

■ ინტელექტუალური თამაშები გიყვართ?

— „რა? სად? როდის?“ მსგავსი თამაშები არ მიყვარს. მძულს, როცა დასმულ კითხვაზე პასუხი სწრაფად უნდა გაცხე.



■ ამ რუბრიკაში მოსაფიქრებელი დრო გაქვთ.

— დავიწყეთ.

■ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკაში ეს ჩვეულება ზრუნვითაა შემოიტანა, მაგრამ საქმის ნამდვილ კლასიკოსად ბრუნველი ითვლება...

— ოფიციალური შეხვედრების დროს ლიდერთა გადაკონცნას გულისხმობთ. ასეა?

■ დიახ. „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარ ნახავ“. — ვისი დაკრძალვის დღეს წარმოთქვა ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა.

— ამას სხვა როდის იტყოდა თუ არა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს.

■ ეს რაღაც პირველად პეტრე I-მა დააარსა და მას „სააფთიაქო ბოსტანი“ უწოდა, ახლა ის თითქმის ყველა დიდ ქალაქშია, მაგრამ სხვა სახელს ატარებს. რას გუწოდებთ ჩვენ მას?



„ბოლო დროს მხატვრულზე მეტად სამეცნიერო ლიტერატურას ვკითხულობ, მათ შორის, ისტორიულს“

— არ ვიცი.

■ მიგანიშნებთ, თბილისშიც არის.

— ვერ გიპასუხებთ.

■ ბოტანიკური ბაღი.

— ბოტანიკური ბაღი პეტრე I-ის მოგონილია? ვფიქრობ, ასე რუსული ისტორიოგრაფიის გამო ვიცი. რუსები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაზე ყველაფერი მათი მოგონილია. ერთი ანეკდოტი გამახსენდა. უნგრეთში მომიყვანენ და გაიამბობთ:

პატარა იანუში ქუჩაში მამასთან ერთად სეირნობს, ხედავს, ერთად ორი კაცის ძველი დგას. „მამა ესენი ვინ არიანო?“ — იკითხავს ცნობისმოყვარე პატარა. „ესენი ივანოვი და პეტროვი არიან“. — უხსნის მამა. „ივანოვი ვინ არის?“ — ჩაეძიება შვილი. „ივანოვი ის კაცია, რომელმაც მოიგონა ნათურა, ორთქლმავალი, ტელეგრაფი, რადიო...“ „აბა, პეტროვი ვინდა არის?“ — იკითხავს გაკვირებული ბავშვი. „პეტროვი ის კაცია, ვინც ივანოვი მოიგონა“.

კარგი, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.

■ რას უწოდა ლენინმა „გაზეთი ქაღალდისა და დისტანციის გარეშე“?

— რადიომაუწყებლობას. პირველი შემ-

თხვევა, როცა რადიომ გადასცა რევოლუციის ამბავი, მართლაც რუსეთში მოხდა. პეტერბურგში მომხდარი ოქტომბრის რევოლუცია რადიოთი გადაიცა.

■ ძველ გალებს ჰქონდათ ასეთი მკაცრი წესი, — ომის დაწყების წინ, ყველა მამაკაცი ვალდებული იყო ყრილობაზე შეიარაღებული გამოცხადებულიყო. ერთ-ერთ მათგანს სიკვდილით სჯიდნენ. რა ნიშნით ირჩევდნენ მას? — არ ვიცი.

■ რომელიც ბოლო მივიდოდა, მას სჯიდნენ. ახლა ერთი არაბული ანდაზა გაუიხსენოთ: „დედამიწაზე ყველაფერს ეშინია დროსა...“ ამ ანდაზის მიხედვით, რისი ეშინია დროს?

— ვერ გიპასუხებთ. დროს რამის ეშინია?

■ პირამიდების.

— ჰო! ეს ანდაზა არ ვიცოდი.

■ ბოლო პერიოდში ეგვიპტის პირამიდებს ტურისტებისგან დიდი საფრთხე დაემუქრათ. დამთვალიერებელთა უმეტესობა ცდილობს სახლში პირამიდის პატარა ნატეხი მიანიც წაიღოს. რა მოიძოქმედა ეგვიპტის მთავრობამ ამის საწინააღმდეგოდ?

— არ ვიცი, მგონი დამთვალიერებლებს პირამიდებზე აღარც უშვებენ.

■ სატვირთო მანქანებით მიაქვთ ქვის ღორღი და პირამიდებზე ყრიან.

— ეგვიპტეში ნამყოფი არ ვარ.

■ „სამშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე / მამულზე ფიქრი, / ხანდახან გულში ღიმილით ვიღყვი: — / რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა, / მამულო ჩემო, გიჭირს თუ გილხინს! — / რომელი მეფე ერეკლე მე ვარ! / ანდა რომელი მსაჯული მისი! / პასუხად მფისვე, / ვითარცა სეტყვა / ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ — / იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად — / ღალატითაო მაგგვარი ფიქრი!“ ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ძალიან ნაცნობი ლექსია (ფიქრობს). თუ არ ვცდები, მუსრან მაჭუარაიანს ეკუთვნის.

■ ნამდვილად ასეა. რა მეტსახელითაა ცნობილი მეფე დავით VII?

— ულუ.

■ უნგრეთის ერთ-ერთი ქალაქის არქივში იპოვეს 200 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს უნდა გადაეხადა ე.წ. კვამლის გადასახადი. ეს თანხა სახანძრო სამსახურის შესანახად გამოიყენებოდა. ვინ იხდიდა ამ გადასახადს?

— ალბათ ყველა, ვისაც ბუხარი ჰქონდა.

■ არა, ეს გადასახადი ადამიანის ჩვევასთან არის დაკავშირებული.

— ვერ ვხვდები.

■ იმ პერიოდის უნგრეთში რომ გვეცხოვრა, ამ გადასახადს თქვენ გადაგახდევინებდნენ, მე — არა.

— სწორმა პასუხმა ძალიან დამაინტერესა, კარგი მინიშნებები მითხარი, უნდა დავფიქრდე და გამოვიცნობ (*პაუზის შემდეგ*). თამბაქოს მომხმარებლებს ხომ არა? აბა, სხვა რა იქნება?

■ გამოიცანით. საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: წულრულაშენი, ქვეშის ციხე და ორბელიანთა კარის ეკლესია?

— ბოლნისის რაიონში.

■ შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი, — არტემიდეს ტაძარი ამ ადამიანმა დაწვა, რათა მთელ ქვეყანაზე სახელი გაეთქვა, მაგრამ კანონის ძალით, ვინც მის სახელს ახსენებდა, სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ამისა, მისი სახელი ისტორიამ მაინც შემოგვინახა. დაასახელეთ იგი.

— ჰეროსტრატე.

■ ახლა კი „არაისტორიული“ კითხვა. რამდენი წუთი აშორებს დილის 10 საათსა და 30 წუთს იმავე დილის 9 საათსა და 15 წუთისგან?

— ერთ დღეზე მეკითხებით, არა?

■ დიახ.

— (*ფიქრობს*) 75 წუთი არ გამოდის?

■ ნამდვილად ასეა. ამ ქანდაკების სიმაღლე 92,99 მეტრია. იგი პარიზში 1882 წელს, მოქანდაკე ფრედერიკ ბარტოლდომ დაამზადა, მაგრამ დღეს სხვა ქვეყანაში დგას, რომელ ქანდაკებაზეა ლაპარაკი?

— „თავისუფლების ქანდაკებაზე“, რომელიც შემდეგ ამერიკელებს აჩუქეს.

■ წელიწადის 12 თვიდან რომელ ორ თვეს დაერქვა სახელი რომის იმპერატორთა პატივსაცემად?

— ივლისსა და აგვისტოს.

■ იმპერატორებიც დაასახელეთ.

— გაიუს იულიუს კეისარი და ოქტავიანე ავგუსტუსი.

■ რა პროფესიის ადამიანებს უწოდებდნენ ძველი ბერძნები დროის გადამცემებს?

— ისტორიკოსებს.

■ ქართველ მეფეთა შორის ყველაზე მეტ ხანს რომელი ზეობდა?

— ზუსტად არ ვიცი, ერეკლე II ხომ არა?

■ ერეკლე II-ს ქართველი მეფეებიდან ყვე-

ლაზე მეტი შვილი ჰყავდა. ყველაზე დიდხანს ფარნავაზი მეფობდა.

— როგორც ისტორიკოსი, გეტყვით, რომ ფარნავაზი შეადგენს ქართული ისტორიის ლეგენდას და რამდენად რეალურია ის, რაც მისი ცხოვრებიდან ვიცით, ძალიან საეჭვოა.

■ „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ ის ტახტზე 27 წლის ავიდა და 65 წელი მეფობდა.

— „ქართლის ცხოვრება“ არის ქართული ისტორიის ძირითადი წყარო, მაგრამ ზოგიერთი რამ, განსაკუთრებით ფარნავაზის დროინდელი ეპოქა, სხვა წყაროებით დადასტურებული არ არის. „ქართლის ცხოვრებაში“ ბევრი რამ წერია, რომელიც შეგვიძლია ეჭვქვეშ დავაყენოთ, მათ შორის ფარნავაზის მეფობის წლები. იმასთან დაკავშირებით, რომ ფარნავაზი საერთოდ არსებობდა, სხვა არანაირი წყარო არ გვაქვს.

■ იმერეთის მეფე ალექსანდრე V მოულოდნელად დაბრმავდა. რას მიაწერეს ეს მოვლენა მისმა თანამედროვეებმა?

— არ ვიცი.

■ რამდენიმე დღით ადრე, მეფემ გელათის მონასტერი გაძარცვა და ხახულის ღვთისმშობლის ხატზე შვირფასი თვლები ამოყარა. ალექსანდრე V დაბრმავდა და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

— ხედავთ, რამდენი რამ არ მცოდნია? აქვე გეტყვით, დღეს ძალიან ბევრი რამის ნახვა შეიძლება ინტერნეტის საშუალებით, ბევრი რამის ზეპირად ცოდნა საჭირო არ არის, მათ შორის არც თარიღების.

■ შემდეგი კითხვა სწორედ თარიღთან არის დაკავშირებული. რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?

— რა უნდა მომხდარიყო (*ფიქრობს*)? ჯორდანო ბრუნოსთან დაკავშირებული ამბავია?

■ არა.

— აბა ვისთან არის დაკავშირებული?

■ პაპ გრიგოლ XIII-სთან.


— ა! მიუხედავად, რომში ასეთი დღეები არ არსებობდა, პაპმა გრიგორიანული კალენდარი შემოიღო 6 ოქტომბერს, პირდაპირ 14 რიცხვი მოჰყვებოდა (*იღიმის*). გამოვიცანო.

■ დაასრულეთ ნოდარ დუმბაძის ცნობილი გამონათქვამი: „სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე...“

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს.

■ „ვიდრე დაღვინება და დღესასწაული“.

თამარ კვიციანი



500-წლიანი სხეულთა ფიჩხი

სამბა

ყველაზე, ყველაზე
ცეცხლოვანი და...
სექსუალური!

ენერგიული და ცეცხლოვანი, ემოციური და მხიარული, და ყველაზე, ყველაზე სექსუალური — სწორედ ასე ხასიათდება პოპულარული ლათინურამერიკული ცეკვა, რომელიც სინამდვილეში სამხრეთამერიკული სულაც არ არის.

დღეს სამბა ბრაზილიური სახელგანთქმული ყოველწლიური კარნავალის სიმბოლოა და ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიო სამეჯლისო ცეკვების კონკურსებზე. დასარტყამი ინსტრუმენტების ტაქტს აყოლილი ჩქარი ნაბიჯებითა და თემბების გრაციოზული მოძრაობით



შემსრულებელმა ცეკვას საკუთარი იმპროვიზაციით ემოციურობა და გრძნობა უნდა შეჰმატოს — ამის გარეშე სამბა ბევრს კარგავს. ფესტივალი კათოლიკური სააღდგომო მარხვის დაწყებამდე იმართება.

სხვაგვარად, სამბას სამხრეთამერიკულ ვალსს ან ტანგოს უწოდებენ. მართალია, მის სამშობლოდ ბრაზილია მიიჩნევა, მაგრამ ფესვები აფრიკული აქვს. თავის დროზე ძალიან პოპულარული იყო სამბას შესრულების შედარებით მარტივი, პრიმიტიული ვარიანტი, თუმცა თანამედროვე მოცეკვავეები მის ტიპურ, რთულ შესრულებას ანიჭებენ უპირატესობას.

სამბა აფრიკული, ესპანური და პორტუგალიური ცეკვების ერთგვარი ნაზავია. ამ ცეკვის რიტმი, მუსიკა და მოძრაობები ბრაზილიაში XVI საუკუნეში კონგოელმა და ანგოლელმა მონებმა ჩაიტანეს. ამბობენ, რომ იგი აფრიკელთათვის ერთგვარი რელიგიური ცეკვა იყო და ტამტამების ჟღერადობით მისი შემსრულებლები ღმერთების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ. რაც სამბას აფრიკელებმა „დააკლეს“, სამხრეთ ამერიკის ევროპელმა დამპყრობლებმა შეჰმატეს. სამბას ერთ-ერთი პირველი სახეობა ასე სრულდებოდა — მოცეკვავეები წრეზე იდგნენ და ჩარლსტონის მსგავს მოძრაობებს აკეთებდნენ, წრეში კი წყვილი ცეკვადა. ისინი თქმობით უხერხულ მოძრაობებს აკეთებდნენ და ჭიპებით ეხებოდნენ ერთმანეთს. სამბა მალე აიტაცა რიო-დე-ჟანეიროს მაღალმა საზოგადოებამ, ოდნავ გადასხვაფერეს, დახვეწეს და ქუჩების გარდა, სადაც მას ძირითადად ბრაზილიის ღარიბი მოსახლეობა ცეკვადა, მდიდართა დახურულ წვეულებებზე გადაიტანეს. სახელიც შესაფერისი შეურჩიეს — „ნატიფი ბრაზილიური ცეკვა“ უწოდეს. აი, ევროპელები კი თავდაპირველად აფრიკული და ევროპული ცეკვების სინთეზს ძალიან კრიტიკულად შეხვდნენ. ცეკვის დროს პარტნიორთა ზედმეტად და ვნებიანად ჩახუტებამ განსაკუთრებით ინკვიზიცია განარისხა. ამ ცეკვაში ვულგარული, მეტიც, გარყვნილების ელემენტები დაინახეს. პორტუგალიის მეფე მანუელ I-მა სპეციალური დადგენილება კი გამოსცა, რომელიც ამ აფრიკულ ცეკვას კრძალავდა.

1944 წლამდე ეს ცეკვა ცნობილი იყო **Maxixe**-ს სახელით, მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო ასევე ჩარიოცა. ევროპაში კი სამბასმაგვარი ცეკვებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ამ ცეკვისაღმძი ყურადღება ბრიტანეთის პრინცესა მარგარეტმა გამოიჩინა. პრინცესა მარგარეტს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბრიტანეთის მაღალ საზოგადოებაში, ამიტომ XIX საუკუნის 50-იან წლებში სამბას წინამორბედი სახეობები დიდ ბრიტანეთშიც გაიცნეს. მსოფლიო აღიარება კი სამბამ 1939 წელს, ნიუ-იორკში გამართულ ფოლკლორული კულტურის საერთაშორისო გამოფენის შემდეგ მოიპოვა. სხვათა შორის, სწორედ სამბამ დაუდო საფუძველი ისეთ ცნობილ თანამედროვე ლათინურამერიკულ ცეკვებს, როგორებიც არის ლამბადა და მაკარენა.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს სამბას სახელწოდების გარშემო. ერთნი ფიქრობენ, რომ სამბა ბრაზილიური „ზამბოს“ სახეცვლილებაა, რაც ნიშნავს ბავშვს, რომლის მამა შვედეთშია, დედა კი — ადგილობრივი მულატი. სხვებს მიაჩნიათ, რომ სამბას საფუძვლად უდევს ბრაზილიური სიტყვა — მესემბა, რაც ლამაზ ქალთან შეხებას ნიშნავს. კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, სამბა აფრიკული სემბას სახეცვლილი ვარიანტია, რაც ჭიპს ნიშნავს. არსებობს კიდევ ერთი ვარაუდი, რომ სიტყვა სამბა აფრიკული ზმნის, კუსამბას სინონიმია, რაც მათ ენაზე ლოცვას აღნიშნავს. აკი გითხარით კიდევ, რომ აფრიკელები ჭიპების ცეკვით ღმერთებისგან მოწვევლებას ითხოვდნენ.

რიო-დე-ჟანეიროში გამართულ ყოველწლიურ კარნავალზე სამბას რამდენიმე სახეობა სრულდება. მათ შორისაა Carioca, Bation, Conga, Mesemba, Batucado და Carnivale. სხვათა შორის, ბრაზილიის მთავრობამ 1930 წლიდან სამბას სკოლების სუბსიდირება დაიწყო, მაგრამ ამან ბრაზილიაში რასობრივი საკითხები წამოჭრა — საზოგადოებაში მძაფრდებოდა მოწოდება, ერთმანეთისგან გაემიჯნათ სამბას აფრიკული და ნაციონალური სტილი. დროთა განმავლობაში, სამბას სკოლების უმრავლესობა ტურისტული ბიზნესის მსხვერპლი გახდა, მათ ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობას აიძულებდნენ. სახელმწიფოს მხრიდან სკოლების სპონსორობა მხოლოდ იმ პირობით ხდებოდა, თუ ისინი სამბას პოლიტიკურ დატვირთვას მისცემდნენ და ტურიზმის განვითარებას შეუწყობდნენ ხელს. ამის პასუხად 1980-იან წლებში რიო-დე-ჟანეიროში ფართომასშტაბიანი სახალხო მოძრაობა დაიწყო — სამბას, როგორც ხელშეუხებელი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის განადგურებისგან დასაცავად. ამის შემდეგ უკვე გაჩნდა სამბას კერძო სკოლები, დამოუკიდებლად კულტურული ინტერვენციისგან.

ამჟამად კარნავალის სპეციალური ჟიური სამბას საუკეთესო სკოლასა და კარნავალის მეფეს ირჩევს. სხვათა შორის, კარნავალის მეფეს ქალაქის მერი ქალაქის გასაღებს გადასცემს და ის ოთხი დღის განმავლობაში ქალაქის სრულყოფილებიანი მმართველი ხდება — ენიჭება უფლება, ნებისმიერი კანონი გააუქმოს ან გამოსცეს.

სამბას მუსიკას საფუძვლად ანგოლის




ტრადიციული მუსიკა — სემბა უდევს, რომელიც სხვადასხვა დასარტყამი ინსტრუმენტით სრულდება, წუთში 50-52 ტაქტი. უძველესი სამბა თანამედროვე მუსიკას შეერწყა, რამაც ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას. მაგალითად, დღეს ერთმანეთისგან განასხვავებენ სასიმღერო, საკარნავალო, თემატურ სამ-



ბას და რუქსამბასაც კი. ამის მიუხედავად, სამბამ დღემდე შეინარჩუნა აფრიკული საწყისი. რაც შეეხება სამბას საკარნავალო კოსტიუმს, ის ძალიან შილიფად ჩაცმას გულისხმობს: ბიკინი, თავმორთულობა სირაქლემას ბუმბულებით, ოქროსფერი ან ვერცხლისფერი ფეხსაცმელი, ჩექმა მაღალ ქუსლზე.

წვილებში შესრულებისთვისაც სამბას კოსტიუმი ძალიან მსუბუქი, ცეკვის დროს მოსახერხებელი და რაც მთავარია, სექსუალური უნდა იყოს. სამბა ხომ სხეულთა ფლირტია, რომელსაც თითქმის 500-წლიანი ისტორია აქვს.

ევა ტუხიაშვილი

				1 მეფის მრეველი მუსლიმანებში		2 ადამიანები გაჭრობა				
				3 მუსლიმთა საერო და სასულიერო ხელმძღვანელი						
						4 იფეგა, რაც ჭანი				
5 ქართლის სამეფოს პირველი მეფე	6 მე, რომის მონათა უღელსი აუანყების ბელადი									
	7 უკუვლენო აღმანი				8 წერილობითი მით ხონა ძეგლად	9 ქლაქი შუა საუკუნეების სომეხთში			10 ფაშის სამშობლო	
	11 11. პირველი კოსმონავტი									
				12 ერესტო გვერას მტსაზელი		13 ფულის ზოგადი სახელწ მკ საქართველოში				
	14 მეკობრეთა „პროფესიული სასული“	15 ერთი ქვეყნის თავდასხმა მუორის დასაპრობად								
					16 ამერიკის შტატი	17 კუნძული ხმელთაშუა ზღვაში				
		18 ...დე-ჯანერიო			19 ავტორი რომანისა „მითრადტე“					
		20 კავკასიელ მთიელთა სიფელი	21 ინდოელი პოლიტიკური მოღვაწე	22 მე ინდოესური ოქროს ფული	23 აშშ-ის კოსმოსური სააგენტო					
									24 ირანის შაჰის ბრძანებულება	

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:

1. პერუთი; 2. ხევი; 3. ცირიკი; 4. ვეზე; 5. რაბინი; 6. რეტროვრადი; 7. ნინეფია; 8. მანდარინი; 9. მითრადტე; 10. ემელიონი; 11. ტიტოვი; 12. ნეი; 13. ისრაელი; 14. სპინოზა; 15. აიათი; 16. დუბაი; 17. ვერისი; 18. რომი; 19. დრაქმა; 20. აია; 21. აბისინია; 22. ღია; 23. ადლი; 24. ავლიანი. სურათზე: პეროდოტე.